

სს „კორპორატიული საკრედიტო პორტფელის ფონდი“

შეთავაზების პირობები (მემორანდუმი)

თავდაპირველი რედაქციის დამტკიცების თარიღი: 05.02.2025;

ბოლო ცვლილებების შეტანის თარიღი: 03.02.2026;

სარჩევი

მნიშვნელოვანი ინფორმაცია	3
მომავალზე ორიენტირებული განცხადებები.....	6
შეთავაზების პირობების (მემორანდუმის) მოქმედება	7
საინვესტიციო ფონდის მართვა.....	10
ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოება	12
ახალი ერთეულების ემისია	12
საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა უფლებები	14
ინტერესთა კონფლიქტის განაცხადი	16
რისკის პროფილი.....	19
რისკ ფაქტორები.....	19
I. მაკროეკონომიკური რისკები და საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკები:.....	19
II. საინვესტიციო სტრატეგიებთან, საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებთან და საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებული რისკები.....	29
III. საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული სხვა რისკები:.....	40
საინვესტიციო რისკის აპეტიტი და ლიმიტები.....	47
საინვესტიციო რისკის მართვა.....	49
ლიმიტების სტრუქტურა	50
პორტფელის სტრატეგიული ალოკაცია.....	52
ანექსი:.....	53
ფონდის სტრატეგიული მიზანი.....	54
საინვესტიციო სტრატეგია.....	55
კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირება	56
ინვესტიციების ღირებულების შეფასება.....	57
ანგარიშგება	59
საინვესტიციო ფონდის ამონაგების განაწილება.....	60
საინვესტიციო ფონდის ერთეულის მიყიდვის/გამოსყიდვის უფლება.....	61
აქტივების მმართველი კომპანიის საკომისიო.....	64
გადასახადები.....	67
განცხადებები და გარანტიები	69

სანქციებთან დაკავშირებული პრობემები.....	70
კონფიდენციალურობა	71
პერსონალურ მონაცემთა დაცვა	72
ტერმინთა განმარტებები	74

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

სს „კორპორატიული საკრედიტო პორტფელის ფონდი“ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი და „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინტერვალური საინვესტიციო ფონდი.

საინვესტიციო ფონდის ერთეულის ყიდვამდე ინვესტორი ასევე გულდასმით უნდა გაეცნოს სადამფუძნებლო დოკუმენტს.

ინტერვალური საინვესტიციო ფონდი: ერთეულის მფლობელებს აქვთ მათი ერთეულების საინვესტიციო ფონდისთვის მიყიდვის უფლება სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

საინვესტიციო მიზანი:

საინვესტიციო ფონდი მიზნად ისახავს მიმდინარე შემოსავლის გამომუშავებას საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ, განსხვავებული რისკის პროფილით და დაფარვის ვადით, გაცემულ სხვადასხვა კორპორატიულ საბანკო კრედიტში ინვესტირების გზით. ფონდი მაქსიმალურ ძალისხმევას გამოიყენებს რათა მიაღწიოს ფონდის ინვესტორებისთვის რისკის შესაბამისი შემოსავლის მიღებას, თუმცა არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ფონდის მიზნები მიღწეული იქნება.

საინვესტიციო სტრატეგია:

ფონდი მიზნად ისახავს მოზიდული სახსრების მაქსიმუმ 100%-მდე (100%-ის ჩათვლით) ინვესტიცია განახორციელოს კორპორატიულ საბანკო კრედიტებში და მაქსიმუმ 50%-მდე (50%-ის ჩათვლით) ინვესტიცია - კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებში, მათ შორის, საჯარო და კერძო ფიქსირებული შემოსავლის ფასიან ქაღალდებში, საბანკო დეპოზიტებში, სადეპოზიტო სერტიფიკატებში და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში.

კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირებას საინვესტიციო ფონდი მოახდენს თანხის კომერციული ბანკისთვის საკუთრებაში მინდობის (სინდიცირების) გზით.

აქტივების მმართველი კომპანია:

შპს „ბი ოუ ჯი აქტივების მართვა“ (ს/ნ: 404696389) არის აქტივების მმართველი კომპანია, რომელიც სეზ-ის მიერ ლიცენზირებულია „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოფს ფონდის აქტივების მართვის მომსახურებას. ფონდი არ არის თვითმართვადი, არ ჰყავს შიდა საბჭო ან პერსონალი. აქედან გამომდინარე, მხოლოდ აქტივების მმართველ კომპანიას აქვს უფლება მართოს და წარმოადგინოს ფონდი, ასევე წარმართოს მისი საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტის, აგრეთვე აქტივების მმართველ კომპანიასთან დადებული აქტივების მართვის ხელშეკრულების შესაბამისად.

საინვესტიციო ფონდის ერთეულების საჯაროდ გავრცელება/შეთავაზება განხორციელდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ერთეულის მფლობელთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან გათვითცნობიერებული ინვესტორები (როგორც ეს განმარტებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აქტივების მმართველი კომპანიის პროცედურით), დროის ნებისმიერ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს 20-ს (ოცი). ამ

დოკუმენტისა და **მემორანდუმით** გათვალისწინებული **საინვესტიციო ფონდის ერთეულების** გავრცელება და შეთავაზება დასაშვებია **კანონმდებლობით** ნებადართულ ფარგლებში და პირობებით.

დაუშვებელია **მემორანდუმით** გათვალისწინებული **საინვესტიციო ფონდის ერთეულების** შეთავაზება, რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, რომელშიც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება **მემორანდუმით** განსაზღვრული **ერთეულების** შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან **მემორანდუმის** გასავრცელებლად.

ერთეულები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში - „**აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონი**“) ან აშშ-ს რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, **ინვესტორებს** არ შეეძლება **ერთეულების** შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება **აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის** ან აშშ-ის რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ამგვარ მოთხოვნებს. **ინვესტორების** ვალდებულებაა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ **ერთეულების** შეთავაზება და რეალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც მოცემულია ან მითითების სახით ნახსენებია **მემორანდუმში**. **ერთეულის** შექმნასთან დაკავშირებით სხვა არცერთ პირს, გარდა **აქტივების მმართველი კომპანიისა**, არ აქვს უფლებამოსილება გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, განცხადება და გარანტია.

საინვესტიციო ფონდის ან/და შესაბამისი **აქტივების მმართველი კომპანიის** მიერ მიწოდებული არცერთი ინფორმაცია არ უნდა იქნას მიჩნეული **საინვესტიციო ფონდის ერთეულების** შექმნასთან დაკავშირებული რისკების შეფასებად. თითოეული **ინვესტორი** ვალდებულია, განახორციელოს საკუთარი, დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება **საინვესტიციო ფონდის ერთეულის** შექმნის თანმდევ რისკებთან დაკავშირებით. **მემორანდუმი** სრულად და ამომწურავად არ ასახავს ყველა იმ პოტენციურ ფაქტორსა და მოვლენას, რომელიც შესაძლებელია ახდენდეს გავლენას **საინვესტიციო ფონდის ერთეულთან** დაკავშირებულ რისკებზე. რისკები და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გასათვალისწინებელი ინფორმაცია **მემორანდუმში** მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის სახით და საინფორმაციო მიზნებისათვის. **ინვესტორებმა** უნდა მიმართონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებს ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შესაფასებლად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრონ ინვესტიციის განხორციელების მიზანშეწონილობა. არც **მემორანდუმი** და არც **საინვესტიციო ფონდის** ან/და შესაბამისი **აქტივების მმართველი კომპანიის** ან/და **საქართველოს ბანკის ჯგუფის** წევრი რომელიმე კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის არცერთი განცხადება არ წარმოადგენს ფინანსურ ან/და სამართლებრივ რჩევას.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე. იგი სამომავლოდ შესაძლებელია გადაითარგმნოს/შეიქმნას სხვა ენაზეც. ქართულ ვერსიასა და მის ნებისმიერ თარგმანს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესი ძალით სარგებლობს ქართული ვერსია.

საქართველოს ბანკის ჯგუფის წევრი ნებისმიერი კომპანია, მათ შორის, შეუზღუდავად, საქართველოს ბანკი, სრულად იხსნის პასუხისმგებლობას იმ ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე, რომელიც მითითების გაკეთების მეშვეობით არის მოხსენიებული **მემორანდუმში**. თითოეულმა **ინვესტორმა** განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გამოიყენოს ნებისმიერი მსგავსი ინფორმაცია.

მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

მემორანდუმში მოყვანილი გარკვეული განცხადებები შეიძლება მიჩნეული იქნეს მომავალზე ორიენტირებულად. ასეთებია, მაგალითად, **საინვესტიციო ფონდის** გეგმები, მოლოდინები, პროგნოზები, ორიენტირები, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, სამომავლო ღონისძიებები, შემოსავლები, კაპიტალური ხარჯები, დაფინანსების საჭიროებები, გეგმები და განზრახვები, დანახული სამომავლო ტენდენციები და სხვა ინფორმაცია - გარდა ისტორიულისა.

ისეთი სიტყვები, როგორცაა: „მიგვაჩნია“, „ველით“, „ვვარაუდობთ“, „გათვლილი გვაქვს“, „პოტენციურად“, „მოსალოდნელი“, „განზრახული“, „წინასწარ გათვლილი“, „პროგნოზირებული“, „შესაძლოა“, „უნდა“, „შეიძლება“, „ვგეგმავთ“, „ვუმიზნებთ“, „გვსურს“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გათვლილია მომავალზე ორიენტირებული განცხადებების იდენტიფიკაციისათვის, თუმცა ეს გამონათქვამები ან განცხადებები არ არის ამომწურავი.

თავისი ბუნებით, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მოიცავს არსებით რისკებს და გაურკვეველობებს, როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში. არსებობს იმის რისკიც, რომ წინასწარი გათვლები, პროგნოზები და სხვა სახის მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მიღწეული/შესრულებული ვერ იქნება. **ინვესტორებმა** უნდა გააცნობიერონ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლოა მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებში გამოთქმული გეგმებისგან, ორიენტირებისგან, მოლოდინისგან, ვარაუდისგან და განზრახვებისგან არსებითად განსხვავებული შედეგები მოიტანოს. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული ჩანაწერი არ ათავისუფლებს **საინვესტიციო ფონდს**, **მემორანდუმით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების შესრულებისგან.

შესაბამისად, **ინვესტორები** არასათანადოდ არ უნდა დაეყრდნონ მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს და გულდასმით უნდა გაიაზრონ ზემოაღნიშნული და სხვა გაურკვეველობები ან მოვლენები, განსაკუთრებით ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საკანონმდებლო გარემო, რომელშიც **საინვესტიციო ფონდი** ფუნქციონირებს და ის ბაზარი, რომლის ნაწილიც არის **საინვესტიციო ფონდის** მიერ გამოშვებული **ერთეული**. **მემორანდუმში** მოყვანილი მომავალზე ორიენტირებული განცხადებები აქტუალურია მათი დაწერის თარიღისთვის. **საინვესტიციო ფონდი/აქტივების მმართველი კომპანია** არ იღებს ვალდებულებას მათ განახლებაზე, ან გადასინჯვაზე (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების ან სხვა საკითხების შესაბამისად), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს **კანონმდებლობით** არის მოთხოვნილი. **საინვესტიციო ფონდი/აქტივების მმართველი კომპანია** არ აცხადებს და არ იძლევა გარანტიას, რომ ამგვარი მომავალზე ორიენტირებული განცხადებებით მოსალოდნელი შედეგი იქნება მიღწეული. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს განცხადებები ბევრ შესაძლო სცენართან ერთ-ერთია და არ შეიძლება გაგებული იქნეს როგორც მოვლენათა განვითარების ყველაზე სავარაუდო ან სტანდარტული სცენარი. ეს გამაფრთხილებელი განცხადებები შეეხება მომავალზე ორიენტირებულ ყველა განცხადებას, რომელიც **საინვესტიციო ფონდის** ან მისი სახელით მოქმედი **აქტივების მმართველი კომპანიის**, ასევე **მემორანდუმით** გათვალისწინებული მესამე მხარის, მიერ კეთდება პროგნოზის სახით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული ჩანაწერი არ ათავისუფლებს **საინვესტიციო ფონდს** **მემორანდუმით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

შეთავაზების პირობების (მემორანდუმის) მოქმედება

ერთეულის შემენით ერთეულის მფლობელი ეთანხმება მემორანდუმის პირობებს და მასზე ვრცელდება მემორანდუმის პირობების მოქმედება. მემორანდუმი შედგენილია საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის საფუძველზე და მასთან შესაბამისობაში.

მემორანდუმის ცვლილებაზე მოქმედებს იგივე წესი რაც დადგენილია სადამფუძნებლო დოკუმენტის შესაბამისად სადამფუძნებლო დოკუმენტის ცვლილებაზე. ყველა სხვა ჩანაწერის მიუხედავად, აქტივების მმართველი კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ერთეულის მფლობელების წინასწარი ინფორმირების და თანხმობის/გადაწყვეტილების გარეშე, შეცვალოს მემორანდუმის შემდეგი თავი: „რისკის პროფილი“, „ლიმიტების სტრუქტურა“, ასევე ერთეულთან მიმართებით რისკის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ან/და მემორანდუმის არაარსებითი პირობები.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე მემორანდუმის „რისკის პროფილისა“ და „ლიმიტების სტრუქტურის“ თავების, ასევე ერთეულთან მიმართებით რისკის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის ან/და მემორანდუმის არაარსებითი პირობების ცვლილება საჭიროებს სებ-ის წინასწარ თანხმობას.

სადამფუძნებლო დოკუმენტისა და მემორანდუმის პირობებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადამფუძნებლო დოკუმენტის პირობებს.

მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა ისეთი საკითხი, რომელიც საჭიროებს ერთეულის მფლობელთა თანხმობას, მიღებული უნდა იქნას ერთეულის მფლობელთა საერთო კრების მიერ, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესით.

ფონდის ძირითადი მახასიათებლები

საინვესტიციო ფონდის სახელწოდება:	სს „კორპორატიული საკრედიტო პორტფელის ფონდი“
საინვესტიციო ფონდის კატეგორია:	საინვესტიციო ფონდი წარმოადგენს ინტერვალურ, რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდს (გათვითცნობიერებული ინვესტორების ფონდი)
მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ერთეულების გამოშვება:	50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი
შეთავაზება:	50,000 (ორმოცდაათი ათასი) ჩვეულებრივი აქცია (ერთეული) შემდეგი ფასით: (ა) პირველი ემისიისას 1,000 (ათასი) აშშ დოლარი ერთეულზე , (ბ) ყოველი მომდევნო ემისიის განხორციელებისას შესაბამისი ერთეულის ღირებულება. მინიმალური პირველადი ინვესტიცია 30,000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარი
საინვესტიციო ფონდის სამიზნე მოცულობა:	50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი) აშშ დოლარი; საწყისი განთავსება - მინიმუმ 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარი
საინვესტიციო მიზანი:	საინვესტიციო საქმიანობის მთავარი მიზანია საინვესტიციო ფონდის მიერ ერთეულის მფლობელთა სასარგებლოდ ამონაგების მიღება წინასწარ განსაზღვრული საინვესტიციო რისკის აპეტიტის შესაბამისად და დივერსიფიცირებული ინვესტიციების მეშვეობით, გამჭვირვალე და კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით
საინვესტიციო სტრატეგია:	საინვესტიციო ფონდი ცდილობს მიაღწიოს საინვესტიციო მიზნებს, ძირითადად ადგილობრივი კომერციული ბანკის/ბანკების კორპორატიულ უზრუნველყოფილ ¹ (მათ შორის, მხოლოდ თავდებობით უზრუნველყოფილ) და სხვადასხვა ვადიანობის კრედიტებში სინდიცირების გზით ინვესტირებით.

¹ კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ შეფასება მიღებული იქნება ბანკისგან რომლის მოთხოვნებშიც ფონდი მოახდენს ინვესტირებას.

<p>აქტივების მაქსიმალური ლიმიტები:</p>	<p>ფონდის 100%-მდე (100%-ის ჩათვლით) კომერციული ბანკის კორპორატიული საბანკო კრედიტები ფონდის 50%-მდე (50%-ის ჩათვლით) კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტები (აშშ სახაზინო ობლიგაციები, ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციები) და საბანკო დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები/ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები</p>
<p>ერთეულზე სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა:</p>	<p>განისაზღვრება მემორანდუმის (თავი - „საინვესტიციო ფონდის ამონაგების განაწილება“) შესაბამისად</p>
<p>ვალუტა, რომელშიც გამოიხატება ერთეულის ფასი ან ღირებულება</p>	<p>აშშ დოლარი</p>
<p>ვალუტა, რომლითაც ხორციელდება გადახდები</p>	<p>აშშ დოლარი</p>
<p>აქტივების მმართველი კომპანიის საკომისიო:</p>	<p>განისაზღვრება მემორანდუმით დადგენილი წესის შესაბამისად</p>
<p>ერთეულის თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა:</p>	<p>ერთეულის რაიმე ფორმით განკარგვისთვის, მათ შორის, უფლებრივად დატვირთვისთვის ან/და გასხვისებისთვის, საჭიროა აქტივების მმართველი კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობა. აქტივების მმართველი კომპანიის თანხმობის გარეშე განხორციელებულ ასეთ ქმედებას იურიდიული ძალა არ აქვს</p>
<p>საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაცია:</p>	<p>განისაზღვრება სადამფუძნებლო დოკუმენტის მე-11 მუხლით</p>

საინვესტიციო ფონდის მართვა

საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას შეუზღუდავად ახორციელებს შპს „ბი ოუ ჯი აქტივების მართვა“ (ს/ნ: 404696389), როგორც ეს გათვალისწინებულია სადამფუძნებლო დოკუმენტით. აქტივების მმართველ კომპანიას აქვს უფლებამოსილება მართოს საინვესტიციო ფონდის აქტივები, და საინვესტიციო ფონდის მართვასთან დაკავშირებული რისკები.

აქტივების მმართველი კომპანია, სადამფუძნებლო დოკუმენტის შესაბამისად, გარდა აქტივების მართვისა და რისკის მართვისა ასევე, მათ შორის შეუზღუდავად, ითავსებს შემდეგ ფუნქციებს:

- საინვესტიციო ფონდის მართვისთვის საჭირო სამართლებრივი და საბუღალტრო მომსახურება;
- ინვესტიციებთან კომუნიკაცია და მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემა;
- შეფასება და ფასის დადგენა, მათ შორის, საგადასახადო დეკლარირება;
- ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოება;
- ამონაგების განაწილება;
- ერთეულების გამოშვებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებული ქმედების ორგანიზება/უზრუნველყოფა;
- ერთეულების შეთავაზება ინვესტიციებისთვის.

ამასთან, ერთეულების შეთავაზება ინვესტიციებისთვის, მიმდინარე ეტაპზე, განხორციელდება სს „გალტ ენდ თაგარტის“ (ს/ნ 211359206) მიერ პირადად ან/და მისი შუამავლების (რაც, მათ შორის შეუზღუდავად, მოიცავს სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ 204378869)) მეშვეობით. აღნიშნული შეთავაზება, ასევე, შესაძლოა, სამომავლოდ, განხორციელდეს სხვა ნებისმიერი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის მეშვეობით.

აქტივების მმართველი კომპანია, ასევე ახორციელებს საინვესტიციო ფონდის აქტივებთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ საქმიანობას, რომლის გაწვევაც/განხორციელებაც პირდაპირ არ არის აკრძალული კანონმდებლობით აქტივების მმართველი კომპანიისთვის, მათ შორის და არა მხოლოდ, მომსახურება, რომელიც საჭიროა აქტივების მმართველი კომპანიის ფიდუციური ვალდებულებების შესასრულებლად, ობიექტების/შენობა-ნაგებობების მართვისთვის, უძრავი ქონების ადმინისტრირებისთვის, კაპიტალურ სტრუქტურაზე, საწარმოო სტრატეგიასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწვევისთვის, რაც დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდის საქმიანობასთან/მიზნებთან.


ერთეულის მფლობელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დასაშვებია და აქტივების მმართველი კომპანია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების დელეგირება მოახდინოს მესამე პირებზე, რომელთაც აქტივების მმართველი კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩევს და ასეთი უფლებამოსილების დელეგირებისთვის საჭირო არ იქნება ერთეულის მფლობელების თანხმობა.

აქტივების მმართველი კომპანიის პასუხისმგებლობა შეზღუდულია და შემოფარგლულია როგორც სადამფუძნებლო დოკუმენტით, ისე მასთან გაფორმებული აქტივების მართვის ხელშეკრულების საფუძველზე.

აქტივების მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეწყვეტის, აქტივების მმართველი კომპანიის გათავისუფლების, ჩანაცვლების ან/და მასთან აქტივების მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთეულის მფლობელების საერთო კრება და ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე ყველა ერთეულის მფლობელის თანხმობა (ხმის უფლების მქონე ერთეულის მფლობელების 100%). ამასთან, ერთეულის მფლობელთა მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურდება, რომ აქტივების მმართველის კომპანიის მიერ ჩადენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაული;
- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურდება, რომ აქტივების მმართველის კომპანია განზრახ, უხეშად არღვევს სადამფუძნებლო დოკუმენტით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ არსებით მოთხოვნებს;
- აქტივების მმართველ კომპანიას გაუუქმდება აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზია;
- აქტივების მმართველი კომპანიის მიმართ დაიწყო ლიკვიდაციის ან გადახდისუნარობის საქმის წარმოება;
- საინვესტიციო ფონდსა და აქტივების მმართველ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა მოთხოვნილია სებ-ის მიერ.

აქტივების მმართველი კომპანიის სტრუქტურა



აქტივების მმართველი კომპანიის ჩანაცვლება დასაშვებია მხოლოდ სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოება

ფონდის ერთეულების რეესტრს აწარმოებს აქტივების მმართველი კომპანია.

ფონდის ერთეულის შესყიდვა და ფლობა უნდა მოხდეს საქართველოში რეგისტრირებული საბროკერო კომპანიის/საბროკერო ანგარიშის გამოყენებით. **ინვესტორმა** ფონდის ერთეულების შესაძენად უნდა მიმართოს საქართველოში ლიზენცირებულ და მოქმედ ისეთ საბროკერო კომპანიას, რომელთანაც **ფონდს** აქვს გაფორმებული ხელშეკრულება.

ახალი ერთეულების ემისია

აქტივების მმართველი კომპანია ახალი ერთეულების ემისიას/გამოშვებას მოახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ შორის, შეუზღუდავად, ერთეულის მფლობელთა თანხმობის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივების მმართველი კომპანია გადაწყვეტს **საინვესტიციო ფონდის** ახალი ერთეულის ემისიას/გამოშვებას, მაშინ ასეთი ემისიის განხორციელება შესაძლებელი იქნება შემდგომი თვის პირველ **სამუშაო დღეს**, იმავე **სამუშაო დღეს** არსებული ერთეულის ღირებულების მიხედვით, რომელიც დადგინდება მემორანდუმის „ინვესტიციების ღირებულების შეფასების“ თავით გათვალისწინებული წესით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ერთეულის პირველი ემისია შესაძლებელია განხორციელდეს თვის ნებისმიერ სამუშაო დღეს.

დაუშვებელია **ფონდის** მიერ ერთეულის გამოშვება, თუ ასეთი ერთეულის სანაცვლოდ არ არის გადახდილი ასეთი ერთეულის ღირებულება ან ასეთი ერთეულის მიმღები არ იკისრებს ვალდებულებას ასეთი ერთეულის საფასურის განსაზღვრულ ვადაში გადახდაზე.

საინვესტიციო პროცესი

საინვესტიციო პროცესში კონტროლის ფუნქციას ძირითადად ითავსებს სამი შემდეგი ორგანო: სამეთვალყურეო საბჭო, საინვესტიციო კომიტეტი და რისკის კომიტეტი.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისგან, რომელთაგან სულ მცირე ორი დამოუკიდებელი წევრია. **მემორანდუმის** თარიღისათვის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი დანიშნულია **სებ**-ის დასტურის საფუძველზე.

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს რისკის აპეტიტს საინვესტიციო და არასაინვესტიციო რისკებთან მიმართებაში. სამეთვალყურეო საბჭო შეიმუშავებს პოლიტიკას და პროცედურებს საინვესტიციო

გადაწყვეტილებების **საინვესტიციო ფონდის** მიზნებთან, საინვესტიციო სტრატეგიასა და რისკის ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭოს ორივე დამოუკიდებელი წევრის თანხმობას საჭიროებს დაკავშირებულ მხარესთან დაკავშირებული ტრანზაქციების განხორციელებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება ან/და მასში ცვლილებების შეტანა.

საინვესტიციო კომიტეტი

აქტივების მმართველი კომპანიის მიერ იქმნება საინვესტიციო კომიტეტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში გასცემს რეკომენდაციას დაგეგმილი ინვესტიციების შესახებ, მონიტორინგს უწევს საინვესტიციო საქმიანობის პროცესს. ასევე, მონიტორინგს უწევს საინვესტიციო საქმიანობის შესაბამისობას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტრატეგიასთან.

რისკების კომიტეტი

რისკის კომიტეტი შედგება სულ მცირე დირექტორის, მთავარი რისკისოფიცირისა (მისი არ ყოფნის შემთხვევაში, რისკის ოფიცირისა) და მთავარი საინვესტიციო ოფიცირის (მისი არ ყოფნის შემთხვევაში, საინვესტიციო ოფიცირის) მიერ. რისკების კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის რისკის მართვის სტრატეგიას, როგორც აგრეგირებულად, ასევე ინდივიდუალური რისკების ჭრილში. რისკის კომიტეტი მონიტორინგს უწევს საინვესტიციო სტრატეგიის შესრულებას და ზედამხედველობს რისკის აპეტიტის მართვის პროცესს.

საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა უფლებები

საინვესტიციო ფონდის თითოეული ერთეულის მფლობელი უფლებამოსილია:

- (1) საინვესტიციო ფონდს მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული ერთეულების გამოსყიდვა სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
- (2) მიიღოს ამონაგები მემორანდუმით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
- (3) აქტივების მმართველი კომპანიისგან მოითხოვოს ის სტანდარტები და პროცედურები, რომელზეც მითითებაა გაკეთებული მემორანდუმში ან/და სადამფუძნებლო დოკუმენტში.

გარდა ამისა, ერთეულის მფლობელი, რომელიც ერთეულის მფლობელთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის რეგისტრირებულია ერთეულის მფლობელთა რეესტრში, უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. ამასთან, თუ ერთეულის მფლობელთა რეესტრში ერთეულის მფლობელად მითითებულია ნომინალური მფლობელი, ასეთი ნომინალური მფლობელი უფლებამოსილია დაესწროს ერთეულის მფლობელთა საერთო კრებას.

ერთეულის მფლობელთა საერთო კრება მოიწვევა და ტარდება სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული წესით.

ერთეულის მფლობელთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ შემდეგ საკითხებზე:

- (a) სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილების შეტანის ან/და სადამფუძნებლო დოკუმენტის ახალი რედაქციის მიღების შესახებ;
- (b) საინვესტიციო ფონდის რეორგანიზაციის შესახებ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის/იქნება გათვალისწინებული;
- (c) აქტივების მმართველი კომპანიის დანიშვნის ან/და გათავისუფლების შესახებ ან/და მასთან შესაბამისი ხელშეკრულების დადების ან/და შეწყვეტის შესახებ;
- (d) აქტივების მმართველი კომპანიისთვის ანაზღაურების ან/და სხვა დამატებითი სარგებლის განსაზღვრის შესახებ;
- (e) იმ გარიგების დადასტურების შესახებ, რომელშიც მონაწილეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაინტერესებული პირი;
- (f) აქტივების მმართველი კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით.

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკითხზე, გარდა ზემოთ (c) ან/და (e) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა, გადაწყვეტილებას იღებს:

- i. თუ საკითხი ინიცირებულია/დადასტურებულია აქტივების მმართველი კომპანიის მიერ - ხმის უფლების მქონე დამსწრე ან წარმოდგენილ ერთეულის მფლობელთა უბრალო უმრავლესობა;
- ii. სხვა შემთხვევაში - ხმის უფლების მქონე ერთეულის მფლობელთა 100%.

ზემოთ (c) პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება ხმის უფლების მქონე ერთეულის მფლობელთა 100%-ის მიერ.

ზემოთ (ე) პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება ხმის უფლების მქონე დამსწრე ან წარმოდგენილ **ერთეულის მფლობელთა** უბრალო უმრავლესობის მიერ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად და ექსკლუზიურად იღებს **აქტივების მმართველი კომპანია. ერთეულის მფლობელი** ან/და **ერთეულის მფლობელთა** საერთო კრება არ არის უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს **საინვესტიციო ფონდის** ყოველდღიური მართვის განხორციელებაში ან მიიღოს **საინვესტიციო ფონდის** მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება.

ერთეულის რაიმე ფორმით განკარგვისთვის, მათ შორის, უფლებრივად დატვირთვისთვის ან/და გასხვისებისთვის, საჭიროა **აქტივების მმართველი კომპანიის** წინასწარი წერილობითი თანხმობა და **აქტივების მმართველი კომპანიის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განხორციელებულ ასეთ ქმედებას არ აქვს იურიდიული ძალა.

ერთეულის მფლობელთა საერთო კრების მარეგულირებელი წესები და პირობები დეტალურად განსაზღვრულია **სადამფუძნებლო დოკუმენტით**. წინამდებარე თავი შედგენილია **საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის** საფუძველზე და მასთან შესაბამისობაში. წინამდებარე თავში მოცემული პირობები ექვემდებარება ცვლილებას და შეიცვლება **სადამფუძნებლო დოკუმენტის** ცვლილების შემთხვევაში. **სადამფუძნებლო დოკუმენტისა** და **მემორანდუმის** პირობებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება **სადამფუძნებლო დოკუმენტის** პირობებს. შედეგად, თითოეული **ინვესტორი** გულდასმით უნდა გაეცნოს **სადამფუძნებლო დოკუმენტს** და მის პირობებს.

ინტერესთა კონფლიქტის განაცხადი

ინვესტორი აცნობიერებს, აღიარებს, ეთანხმება და მისთვის მისაღებია შემდეგი:

- **აქტივების მმართველი კომპანია, საინვესტიციო ფონდი**, სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206), **საქართველოს ბანკი** და **საქართველოს ბანკის ჯგუფის** წევრი სხვა კომპანიები არიან ან/და შესაძლებელია იყვნენ ჩართული სხვა საფინანსო, საინვესტიციო ან/და დაკავშირებულ პროფესიულ საქმიანობაში, რომელიც რიგ შემთხვევებში შესაძლებელია პოტენციურად წარმოადგენდეს ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს. აღნიშნული რისკის მიტიგაციისათვის, ყველა და ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელებისას, რომელიც დაიდება **საქართველოს ბანკის ჯგუფის** წევრ რომელიმე კომპანიასთან, დაცული იქნება „გაშლილი მკლავის პრინციპი“, რაც გულისხმობს გარიგების საბაზრო ღირებულების შესაბამისი პირობებით დადებას.
- შესაძლებელია არსებობდეს ტრანზაქციები, რომელიც გავლენას ახდენს **აქტივების მმართველი კომპანიის, საქართველოს ბანკის, საქართველოს ბანკის ჯგუფის** წევრი კომპანიის, სს „გალტ ენდ თაგარტის“ (ს/ნ: 211359206) ან/და **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ინტერესზე, რაც პოტენციურად ქმნის ინტერესთა კონფლიქტს **საინვესტიციო ფონდის** მიმართ ნაკისრ მათ ვალდებულებებთან მიმართ. ამ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის მიტიგაცია შეუძლებელია, ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირი იმოქმედებს თავისი ფილდუციური ვალდებულებების გათვალისწინებით და **საინვესტიციო ფონდისა** და **საინვესტიციო ფონდის ინვესტორების** საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
- **აქტივების მმართველი კომპანია** შესაძლებელია ასევე იყოს სხვა საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი ორგანო. ამასთანავე, **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლებელია წარმოადგენდნენ მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელ პირებს **საქართველოს ბანკის ჯგუფის** წევრ სხვა კომპანიაში. თითოეული მხარე, მათი შესაძლებლობის ფარგლებში და **კანონმდებლობის** მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ მათი ამგვარი ჩართულობა გავლენას არ მოახდენს **საინვესტიციო ფონდთან** მიმართებით არსებული მათი ვალდებულებების შესრულებაზე.
- გარდა „გაშლილი მკლავის პრინციპის“ დაცვისა, **აქტივების მმართველი კომპანიის** გააჩნია „დაკავშირებულ მხარეებთან ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა“, რომელიც ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შემთხვევების თავიდან არიდების და მათი მართვის მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას საუკეთესო და ჯანსაღი პროფესიული საქმიანობის პრაქტიკის განვითარება.
- აქტივი, რომელშიც **საინვესტიციო ფონდი** განახორციელებს ინვესტირებას, შესაძლოა ეკუთვნოდეს **საქართველოს ბანკს** (მათ შორის, **საინვესტიციო ფონდმა** შესაძლოა სრულად მხოლოდ **საქართველოს ბანკის** პორტფელში მოახდინოს ინვესტირება).

საინვესტიციო ფონდი და **აქტივების მმართველი კომპანია** აცხადებენ, რომ შესაძლებელია არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციული ან/და ადმინისტრაციული მოწყობის გათვალისწინებით, ინტერესთა კონფლიქტის მართვის მექანიზმები არ არის საკმარისი **საინვესტიციო ფონდისა** და **საინვესტიციო ფონდის ინვესტორების** ინტერესებზე გავლენის მოხდენის ასაცილებლად. თუ **აქტივების მმართველი კომპანია** მიიჩნევს, რომ ინტერესთა კონფლიქტის მართვის მექანიზმები არ არის საკმარისი, ასეთ შემთხვევებში, თუკი **საინვესტიციო ფონდისა** და **აქტივების მმართველი კომპანიის**

მიერ დანერგილი მექანიზმები საკმარისი არ იქნება კონფლიქტის აღმოსაფხვრელად, უკიდურესი საშუალების სახით, გაცხადებული იქნება **ერთეულის მფლობელებისთვის** აღნიშნული გარემოების შესახებ წერილობითი ფორმით.

აქტივების მმართველი კომპანია შესაძლოა მართავდეს სხვა საინვესტიციო ფონდსაც ან/და ეწეოდეს **აქტივების მმართველი კომპანიისთვის კანონმდებლობით** გათვალისწინებულ და დაშვებულ სხვა საქმიანობას. ამის გამო შესაძლოა წარმოიქმნას სიტუაცია, როდესაც **აქტივების მმართველ კომპანიას**, მის დირექტორებს, ოფიცრებსა და თანამშრომლებს ისეთი ინტერესები ჰქონდეთ, რომლებიც კონფლიქტში იქნება **საინვესტიციო ფონდის** ინტერესებთან ან ჰყავდეთ სხვა ისეთი მომხმარებელი, რომლის ინტერესებიც კონფლიქტში იქნება **საინვესტიციო ფონდის** ინტერესებთან (შემდგომში - „**არსებითი ინტერესი**“).

არსებითი ინტერესით გამოწვეული კონფლიქტის თავიდან არიდებისთვის **აქტივების მმართველი კომპანია** „ჩინეთის კედლებს“ აღმართავს, რაც ითვალისწინებს თანამშრომლების წვდომის შეზღუდვას ისეთ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან, ვისთანაც მათ არ აქვთ უშუალო შეხება და თანამშრომლებისგან მოითხოვს **არსებითი ინტერესების** უგულვებელყოფას, რადგან ასეთის წარმოშობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს **საინვესტიციო ფონდზე**.

იმისათვის, რათა უარყოფილ იქნეს ნებისმიერი მოვალეობა, ვალდებულება და შეზღუდვა, რომლებსაც შესაძლოა სხვაგვარი **კანონმდებლობა** მოითხოვდეს, **ერთეულის მფლობელი** აღიარებს და ადასტურებს მკაფიოდ, რომ **აქტივების მმართველ კომპანიას** ან მის ოფიცრებს, დირექტორებს და თანამშრომლებს შესაძლოა ჰქონდეთ **არსებითი ინტერესები**. ზემოთქმულის მიუხედავად, **აქტივების მმართველი კომპანია** ადასტურებს, რომ იმ გუნდის არც ერთ წევრს, რომელიც მართავს **აქტივების მმართველ კომპანიას**, არ აქვს ან არ ექნება რაიმე ისეთი **არსებითი ინტერესი**, რაც უშუალო კონფლიქტში იქნება **საინვესტიციო ფონდის** მართვასთან. **ერთეულის მფლობელი** აღიარებს, რომ გუნდის ასეთი წევრების ჩვეულებრივი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს სხვა საინვესტიციო ფონდის მართვასაც.

ერთეულის მფლობელი აღიარებს და ეთანხმება, რომ **კანონმდებლობის** ძალით ან სხვა პირების მიმართ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებების გამო ან/და „ჩინური კედლების“ შენარჩუნებისთვის, **აქტივების მმართველ კომპანიას** შესაძლოა აეკრძალოს, ან შესაძლოა **აქტივების მმართველი კომპანიისთვის** შეუფერებელი იქნეს, **არსებითი ინტერესების** შესახებ ინფორმაციის **საინვესტიციო ფონდის** სასიკეთოდ გამოყენება.

ერთეულის მფლობელი ეთანხმება, რომ **აქტივების მმართველი კომპანია** არ არის ვალდებული **ერთეულის მფლობელს** გაუმჟღავნოს, ან **ერთეულის მფლობელის** სასიკეთოდ გამოიყენოს რაიმე არასაჯარო ინფორმაცია, რომელიც მოიპოვა სხვა პირისთვის სერვისების მიწოდების, სხვა საქმიანობის განხორციელებისას.

ერთეულის მფლობელი აცნობიერებს, აღიარებს, ეთანხმება და მისთვის მისაღებია, რომ ნებისმიერი საინვესტიციო ან საქმიანი ურთიერთობის გამო შეიძლება არსებობდეს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები **საინვესტიციო ფონდის** ან/და **აქტივების მმართველი კომპანიის** დაკავშირებულ პირებთან. **ერთეულის მფლობელისთვის** ცნობილია, რომ **აქტივების მმართველი კომპანია** იმოქმედებს ისე, როგორც მას კეთილსინდისიერად მიაჩნია და ასეთი ქცევა იქნება **საინვესტიციო ფონდის** საუკეთესო ინტერესების შესაბამისი. **საინვესტიციო ფონდში ერთეულის** შექმნით, თითოეული **ერთეულის მფლობელისთვის** ცნობილია, რომ შესაძლოა ფაქტობრივი ან

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი არსებობდეს და თანხმდება ასეთი ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობაზე, ამავედროულად, უარს ამბობს ნებისმიერ მოთხოვნაზე და არ ექნება რაიმე პრეტენზია ასეთი კონფლიქტის არსებობასთან დაკავშირებით.

რისკის პროფილი

რისკ ფაქტორები

I. მაკროეკონომიკური რისკები და საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკები:

- *„საინვესტიციო ფონდი“ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში და უფრო ფართოდ რეგიონში არსებულ პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ არასტაბილურობასთან.*

„საინვესტიციო ფონდი“ საქმიანობას ახორციელებს ძირითადად საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს ძირითადად საქართველოში; მიუხედავად ამისა, „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობის მომგებიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს გლობალური მაკროეკონომიკური და საბაზრო პირობები. შესაბამისად, „საინვესტიციო ფონდის“ ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც ექნება, პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ ძვრებს, რომელიც მიმდინარეობს ან გავლენა აქვს საქართველოზე, კერძოდ, ეკონომიკური აქტივობის დონე საქართველოში და უფრო ფართოდ რეგიონში. ისეთ ფაქტორებს, როგორცაა მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლითი კურსი, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კორპორატიული ფინანსები, შესაძლოა, არსებითი გავლენა ჰქონდეს „საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციებზე.

2020 წელს COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე წარმოქმნილი რეცესიის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა 2021 წელს, საქატატის მონაცემების თანახმად, 2021 წლიდან 2023 წლამდე მშპ-ს რეალური ზრდით საშუალოდ 9,7%-ით. 2022 წლის დასაწყისიდან საქართველოში მიგრანტებისა და ბიზნესების გადაადგილება დადებითად აისახა ეკონომიკურ აქტივობაზე. ასევე, მოსალოდნელია, რომ ევროკავშირში საქართველოს წევრობის კანდიდატის სტატუსს, რომელიც ევროპულმა საბჭომ 2023 წლის დეკემბერში გამოაცხადა, დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს ეკონომიკაზე.

მიუხედავად ამისა, უცხოური ვალუტის შემოდინებამ ეტაპობრივად ნორმალიზება დაიწყო 2023 წლის მეორე ნახევრიდან, მაგრამ არ შეიძლება ეს იყოს გარანტია იმისა, რომ უცხოური ვალუტის შემოდინება კვლავ მძლავრი დარჩება. უფრო მეტიც, რეგიონული გეოპოლიტიკური სიტუაციის შემდგომი ესკალაციის ან საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ქვეყნის რისკების გადაფასება, რაც გამოიწვევს კაპიტალის მნიშვნელოვან გადინებას. ასეთ შემთხვევაში, ქართული ლარი შეიძლება მნიშვნელოვნად გაუფასურდეს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ინფლაცია ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ეკონომიკისთვის. განგრძობადი მაღალი ინფლაცია განპირობებულია თანმიმდევრული გარე შოკებით და ბოლო დროს გაძლიერებული მოთხოვნით. სებ-მა მოახერხა ფასების დონის ზრდაზე კონტროლის აღდგენა მკაცრი მონეტარული პოლიტიკით. შესაბამისად, საქსატატის მონაცემების თანახმად, სამომხმარებლო ფასის ინდექსის (CPI) წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2023 წლის ბოლოს 0.4%-მდე დაეცა, შედარებით 2022 წლის ბოლოს 9.8%-სა. ინფლაციის გაუმჯობესებული პერსპექტივის მიუხედავად, ინფლაციის რისკები კვლავ მაღალი რჩება. რუსეთის მიერ ბენზინის ექსპორტის აკრძალვამ და წითელი ზღვის კრიზისმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს შიდა ფასებზე, რაც გამოიწვევს ინფლაციას სებ-ის სამიზნეებზე მაღლა.

გეოპოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში და რთული გლობალური ფინანსური პირობები ასევე უარყოფით რისკებს ქმნის სამომავლო პერსპექტივისთვის. რეგიონული კონფლიქტების შემდგომი

ესკალაციის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს გაცვლითი კურსის გაუფასურებას, მაღალ ინფლაციასა და შენელებულ ზრდას. გარდა ამისა, გლობალური ფინანსური პირობების შემდგომი გამკაცრების შემთხვევაში, საინვესტიციო და საკრედიტო აქტივობა შეიძლება შეფერხდეს, რაც შედარებით უმნიშვნელო ზრდას გამოიწვევს.

არეულობამ ბაზარზე, ეკონომიკურმა უკუსვლამ და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება გამოიწვიოს სამომხმარებლო ხარჯების შემცირება და არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ კლიენტების ლიკვიდობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში. გაურკვეველ და არასტაბილურ გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ პირობებს, როგორცაა არაპროგნოზირებადი მოვლენები უკრაინაში, მკაცრი გლობალური ფინანსური პირობები, 2024 წელს დაგეგმილი არჩევნების ტალღა, ისრაელსა და ჰამასს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი და ჰუთის თავდასხმები წითელი ზღვის გემებზე, შესაძლოა არსებითი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შედეგები ჰქონდეს გლობალურად, რამაც შეიძლება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია, არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ ქვეყანაზე, თუმცა ევროკავშირი, თურქეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი წარმოადგენენ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებს.

2014 წელს საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირი გახდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი. 2022 და 2023 წლებში ევროკავშირთან ვაჭრობამ შეადგინა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15.4% და 11.6% შესაბამისად, ხოლო მთლიანი იმპორტის 22.6% და 24.6% შესაბამისად. საქართველოს ასევე მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ევროკავშირთან ფულადი გზავნილებისა და ტურისტული შემოდინების თვალსაზრისით. 2022 და 2023 წლებში ევროკავშირიდან ფულადმა გზავნილებმა შესაბამისად შეადგინა საქართველოში შემოსული ჯამური შემოსავლების 24.4% და 31.3%. 2022 და 2023 წლებში საქართველოს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შესაბამისად 9.5% და 13.3% იყო. ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირის რეგიონში რეკორდულად მაღალი საპროცენტო განაკვეთებით გამოწვეული შენელებული ზრდა იწვევს ქართულ ექსპორტზე მოთხოვნის დაქვეითებას, ასევე ფულადი გზავნილებისა და ტურისტული ნაკადების შემცირებას.

თურქეთი წარმოადგენს ქართული იმპორტის უდიდეს წყაროს, რომელზეც, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2021, 2022 და 2023 წლებში შესაბამისად მოდის მთლიანი იმპორტის 18.1%, 17.5% და 16.6%. თურქეთში მაკროეკონომიკური პოლიტიკის საკითხების გამო, ეკონომიკური ზრდა შენედა და უკანასკნელი წლების განმავლობაში ღირა გაუფასურდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) თანახმად, მოსალოდნელია, რომ 2024 წელს ზრდა კიდევ უფრო შენედება 3.1%-მდე. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის შუა პერიოდში სტანდარტული მონეტარული პოლიტიკისკენ იყო მიმართული, თურქული ღირა 2023 წელს აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 58%-ით გაუფასურებას განაგრძობდა, 2022 წელს 40%-იანი გაუფასურების შემდეგ. 2024 წლის მარტში, თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი 500 საბაზისო პუნქტით, 50%-მდე, გაზარდა, რაც ბოლო 20 წელიწადში უმაღლესი ნიშნულია.

საქსტატის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოს ექსპორტის ორი წამყვანი მიმართულება იყო აზერბაიჯანი და სომხეთი, საქართველოს ჯამურ ექსპორტში შესაბამისად 14.2%-იანი და 12.9%-იანი წილით. ბოლო წლებში ორმა ქვეყანამ აჩვენა განსხვავებული განვითარების გზები. სომხეთის ეკონომიკა ვითარდება კაპიტალის ძლიერი შემოდინებით, ხოლო აზერბაიჯანის ეკონომიკა კვლავ დიდად არის

დამოკიდებული ნავთობის წარმოებასა და ექსპორტზე სუსტი გლობალური სასაქონლო ბაზრების ფონზე. სომხური დრამი 2023 წელს აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა დაახლოებით 2,5%-ით, გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების გამო, მას შემდეგ, რაც 2022 წელს, უცხოური ვალუტის ძლიერი შემოდინების ფონზე, დაახლოებით 18%-ით გამყარდა.

საქსტატის მონაცემების თანახმად, რუსეთი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია, რომელთან ურთიერთობაც 2022 და 2023 წლებში შესაბამისად შეადგენს საქართველოს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 11.7% და 10.8% და საქართველოს მთლიანი იმპორტის დაახლოებით 13.5% და 11.2%. რუსული რუბლი გაუფასურდა მაშინვე, რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და მოჰყვა დასავლეთის სანქციები 2022 წლის დასაწყისში. თუმცა, რუბლი გამყარდა მომდევნო თვეებში, როდესაც რუსეთმა შემოიღო მკაცრი კაპიტალის კონტროლი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, 2023 წელს რუსეთის ეკონომიკა 3.6%-ით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც 2022 წელს შემცირდა 1.2%-ით. 2023 წელს, დასავლეთის სანქციებით გამოწვეული საქონლის ექსპორტის შემოსავლების მკვეთრი კლების გამო, რუსული რუბლი აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 22%-ით გაუფასურდა.

ძლიერი ეკონომიკური კავშირების გამო, ნებისმიერმა ეკონომიკურმა შეფერხებამ ან გეოპოლიტიკურმა ესკალაციამ საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებს შორის შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. არ არსებობს გარანტია იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები შეიძლება იყოს ან იქნება მდგრადი. რამდენადაც საქართველოში ეკონომიკური ზრდა ან მაჩვენებლები შენელებდა ან დაიწყებს კლებას ან დაბრუნდება მაღალ ან მდგრად ინფლაციაზე, აღნიშნულმა „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს.

- ***შიდა სავალუტო ბაზრის არასტაბილურობამ ან ზრდის შემცირებულმა მაჩვენებელმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე და, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინოს „საინვესტიციო ფონდზე“.***

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, საქართველოს ფარგლებს გარეთ ლარის გაცვლის ბაზარი ზოგადად არ არსებობს. საქართველოში ლარის სხვა ვალუტაში გადაცვლის ბაზარი არსებობს, მაგრამ შეზღუდულია ზომამში. სებ-ის მონაცემებით, ლარი-აშშ დოლარი და ლარი-ევრო ბაზრებზე (სებ-ის საქმიანობის ჩათვლით) სავაჭრო ბრუნვის მთლიანმა მოცულობამ 2023 წელს, შესაბამისად, 127,7 მილიარდი აშშ დოლარი და 68,1 მილიარდი ევრო შეადგინა, 2022 წელს, შესაბამისად, 105,5 მილიარდ აშშ დოლართან და 48,9 მილიარდ ევროსთან შედარებით, ხოლო 2021 წელს შესაბამისად, 53,2 მილიარდ აშშ დოლართან და 26,7 მილიარდ ევროსთან შედარებით. სებ-ის საქმიანობების გამორიცხვით, ლარი-აშშ დოლარის ბაზარზე სავაჭრო ბრუნვის მთლიანმა მოცულობამ 2023 წელს 126,1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, შედარებით 2022 წელს 104,8 მილიარდი აშშ დოლარისა და 2021 წელს 52,9 მილიარდი აშშ დოლარისა (სებ-ი არ იყო აქტიური ევროს ბაზარზე). სებ-ის მონაცემებით, 2023 წლის დეკემბრისთვის მას ჰქონდა 5.0 მილიარდი აშშ დოლარის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები, 2022 წლის დეკემბრისთვის 4.9 მილიარდი აშშ დოლარის რეზერვები და 2021 წლის დეკემბრისთვის 4.3 მილიარდი აშშ დოლარის რეზერვები. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეზერვები საკმარისია ქვეყნის შიგნით შიდა სავალუტო ბაზრის მდგრადობის შესანარჩუნებლად მოკლევადიან პერიოდში, ამ სავალუტო ბაზრის ზრდის ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ეკონომიკის განვითარება, რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციების

ბიზნესზე და, თავის მხრივ, „საინვესტიციო ფონდის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

გარდა ამისა, სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის ნებისმიერ ნაკლებობას შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე. ლარი/აშშ დოლარის კურსების მიმართებაში მნიშვნელოვანი არასტაბილურობა დაფიქსირდა 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტისა და 2015 წელს ნავთობის ფასების ვარდნის შედეგად რეგიონული ეკონომიკური დაღმასვლის შემდეგ. 2015 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური ვარდნის გამო. ლარი ზოგადად გამყარდა აშშ დოლართან და სხვა ძირითად საერთაშორისო ვალუტებთან მიმართებაში 2016 წლის პირველ ნახევარში, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის ზრდის გამო, მაგრამ გაუფასურდა 2016 წლის მეორე ნახევარში და 2017 და 2018 წლებში თურქული ლირის კოლაფსის გარშემო არსებული უარყოფითი გავლენებისა და 2019 წელს რუსეთის მიმართულებით პირდაპირი ფრენების აკრძალვის გარშემო არსებული უარყოფითი მოვლენების გამო. 2020 წელს ლარმა აშშ დოლართან მიმართებაში 14,3%-იანი გაუფასურება განიცადა ეკონომიკასთან დაკავშირებული COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გაურკვეველობისა და მკაცრი ჩაკეტვის ფონზე. 2021, 2022 და 2023 წლებში ლარი აშშ დოლართან მიმართებით შესაბამისად 5.5%, 12.8% და 0.5%-ით გამყარდა, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკამ განიცადა სწრაფი პოსტ-COVID-19-ის პანდემიის აღდგენა, რასაც მოჰყვა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეული უცხოური ვალუტის შემოდინება. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ლარი/აშშ დოლარის კურსი შეადგენდა 3.0976, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის 2.7020, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 2.6894 და 2024 წლის 31 მაისისთვის 2.7968. მთავრობისა და სებ-ის შესაძლებლობა, შეზღუდონ ლარის ნებისმიერი ცვალებადობა, დამოკიდებული იქნება მთელ რიგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის სებ-ისა და მთავრობის უნარზე, გააკონტროლონ ინფლაცია, უცხოური ვალუტის რეზერვები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა სავალუტო შემოდინება. აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერმა წარუმატებლობამ, ან ლარის მნიშვნელოვანმა გაუფასურებამ ან სამომავლო გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და ფინანსურ სისტემაზე.

2019-2022 წლებში, გლობალური მიწოდების ჯაჭვების შეფერხებამ და ლარის გაუფასურებამ საქართველოში გამოიწვია მუდმივად მზარდი სამომხმარებლო ფასის ინდექსის ინფლაცია. ინფლაციამ კლება დაიწყო 2023 წლიდან, სასაქონლო გლობალური ფასების შემცირების, ასევე ლარის გამყარების დაგვიანებული ეფექტისა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გამო. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში წლიურმა ინფლაციამ, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, 2021, 2022 და 2023 წლებში, შესაბამისად, 13.9%, 9.8% და 0.4% შეადგინა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკაზე დამატებით კიდევ უარყოფითი გავლენა არ ექნება სურსათის, სამომხმარებლო პროდუქტებისა და ნავთობის ფასების შიდა თუ გლობალურ ზრდას. დეფლაციამ, ლარის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდისას, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. მეორე მხრივ, მაღალმა და მდგრადმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის შემცირება და მომხმარებელთა ნდობის ეროზია. ნებისმიერმა აღნიშნულმა მოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკის მოქმედების გაუარესება და უარყოფითად იმოქმედოს „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

- *რეგიონალურ დაძაბულობებსა და მეზობელ ბაზრებზე არსებულ შეფერხებებს შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე.*

საქართველო ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და თურქეთს. ამასთან საქართველოს მის საზღვრებში აქვს ორი დაკარგული ტერიტორიული ერთეული, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სახით. რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურმა დაძაბულობებმა გამოიწვია ძალადობის სპორადული აფეთქება და დიპლომატიური ურთიერთობების დაძაბვა, როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის, ასევე, ზოგადად, რეგიონში. რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ სანქციები 2006 წელს დააწესა, ქვეყნებს შორის კონფლიქტი კი 2008 წელს გამწვავდა, როდესაც რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი და გამოცხადდა საომარი მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის შუამავლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას, რომელიც მოითხოვდა რუსული ჯარების გაყვანას, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და რეგიონში დაძაბულობა დღემდე გრძელდება. რუსეთი ეწინააღმდეგება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, როგორცაა საქართველო. აქედან გამომდინარე, საქართველოს განგრძობადმა პროგრესმა ევროკავშირთან და ნატოსთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებისკენ შეიძლება გაამწვავოს დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის. მსგავს დაძაბულობას ანალოგიურად შეუწყო ხელი 2014 წლის სექტემბერში საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ და 2017 წლის მარტში საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის მინიჭებამ. 2019 წლის ივნისში თბილისში მიმდინარე მასობრივ ანტირუსულ დემონსტრაციებზე პასუხად, რუსეთის სახელმწიფომ 2019 წლის ივლისში, შემოიღო აკრძალვა საქართველოში პირდაპირი ფრენების შესახებ. რუსეთის მხრიდან გარკვეული საპასუხო ზომების მიღების მიზეზი შეიძლება ასევე იყოს 2023 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაც.

2022 წლის თებერვალში რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რამაც აღმოსავლეთ ევროპაში ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. შეჭრას წინ უძღოდა დაძაბული ურთიერთობა ორ ერს შორის 2013 წლიდან. ომმა შეცვალა გლობალური უსაფრთხოება და ეკონომიკური ლანდშაფტი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი შედეგებით. რუსეთის წინააღმდეგ დასავლურმა სანქციებმა გამოიწვია სავაჭრო ნაკადების მიმართულებების შეცვლა, ხოლო რუსული სამუშაო ძალის მიგრაცია გავლენას ახდენდა რეგიონული ეკონომიკის შრომის ბაზრებზე. გაურკვეველობა ომის ხანგრძლივობისა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლური სანქციების ევოლუციის შესახებ კვლავ მაღალი რჩება.

2016 წელს თურქეთში მომხდარმა სამოქალაქო არეულობამ მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენა თურქეთის, როგორც სტაბილური რეგიონალური სავაჭრო პარტნიორის როლი საქართველოსთვის. თუმცა, 2018 წლის ივნისში, ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისა და თურქეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, რომლებიც პრეზიდენტს უფრო ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს, თურქეთის მმართველობის სისტემა საპარლამენტო სისტემიდან აღმასრულებელ საპრეზიდენტო სისტემად გადაიქცა. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, პრეზიდენტი ერდოღანი ხელახლა აირჩიეს AKP-ის თავმჯდომარედ და ხელახლა აირჩიეს თურქეთის პრეზიდენტად 2018 წლის 24 ივნისს გამართულ ვადამდელ არჩევნებზე. 2023 წლის 28 მაისს, პრეზიდენტმა ერდოღანმა მესამე ხუთწლიანი ვადა მოიპოვა პრეზიდენტის პოსტზე.

დამატებით გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ რეგიონში, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოზეც. ორი ათწლეულის განმავლობაში შედარებითი სტაბილურობის შემდეგ, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის რეგიონის გამო 2016 წლის აპრილში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე გამწვავდა. 2020 წლის ბოლოს უფრო ფართომასშტაბიანი ესკალაცია განიმუხტა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით აზერბაიჯანისთვის ხელსაყრელი პირობებით. რეგიონული

უსაფრთხოების ვითარება კვლავ მყიფეა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის სრული კონტროლი 2023 წლის სექტემბერში მოიპოვა, რის გამოც დაახლოებით 100 000 ეთნიკური სომეხი სომხეთში გაიქცა. რადგანაც საზღვრის საკითხები გადაუჭრელი რჩება, ამჟამად სომხეთის მთავრობა ცდილობს მოლაპარაკების წარმოებას აზერბაიჯანთან სამშვიდობო შეთანხმებაზე, გეოპოლიტიკური რისკების არსებობის ფონზე.

საქართველოს მეზობელ ბაზრებზე რეგიონული დამაბულობებისა და შეფერხებების ზრდამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც თავის მხრივ, შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ბიზნეს გარემოზე, რომელშიც „საინვესტიციო ფონდი“ საქმიანობს და, შესაბამისად, მის საქმიანობაზე, ფინანსური მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ „საინვესტიციო ფონდი“ ძირითადად საქართველოში ოპერირებს.

- ***პოლიტიკურ და სამთავრობო არასტაბილურობას საქართველოში შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკასა და ფონდის საქმიანობაზე.***

1991 წელს ყოფილი სსრკ-სგან დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველომ განიცადა მიმდინარე და არსებითი პოლიტიკური ტრანსფორმაცია ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენელი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთია შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელების აუცილებლობა. თუმცა, ბიზნესისა და ინვესტორებისთვის მეგობრული რეფორმები შეიძლება არ შენარჩუნდეს ან შეიცვალოს ან ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შეიძლება შეფერხდეს ნებისმიერი ცვლილების შედეგად, რომელიც გავლენას მოახდენს არსებული რეფორმის პოლიტიკის უწყვეტობაზე ან სტაბილურობაზე, ან პრეზიდენტის, პარლამენტის თუ სხვათა მიერ რეფორმის პოლიტიკის უარყოფის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა გარკვეული ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში („კონსტიტუცია“), რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პარლამენტის პირველადი მმართველობითი უფლებამოსილების გაძლიერებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდასა და საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციების ფარგლების შეზღუდვას. 2013 წლის მარტში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გარკვეული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც კიდევ უფრო ზღუდავს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს. 2017 წლის ოქტომბერში და 2018 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში არაერთი ცვლილება შეიტანა, მათ შორის, პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს პარლამენტის სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წლიდან, სასოფლო-სამეურნეო მიწის სპეციალური სტატუსი და საქართველოს პარლამენტის წევრებისა და პრეზიდენტის მინიმალური ასაკის მატება. 2017 წლის ოქტომბერსა და 2018 წლის მარტში მიღებული ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის დეკემბერში. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერის უფლებამოსილებების შემდგომმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური რღვევა ან პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვაგვარად უარყოფითად იმოქმედოს პოლიტიკურ კლიმატზე საქართველოში.

2023 წლის დეკემბერში საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ცხრა რეკომენდაციით ქვეყნის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობს რეფორმებს საქართველოს სასამართლო სისტემაში, რომლის განხორციელების

შემთხვევაშიც შესაძლოა გამოწვევები შეექმნას მის სტაბილურ ფუნქციონირებას. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ რეკომენდაცია მოიცავს მაღალი ინსტანციის სასამართლოების გარკვეული მოსამართლეებისთვის „შემოწმების“ პროცედურების შემოღებას, რომელიც მოიცავს საფუძვლიან გამოკვლევასა და შეფასებას მათი შესაბამისობისა და სანდოობის შესაფასებლად, რაც შეიძლება შრომატევადი იყოს. გარდა ამისა, რეკომენდაციები ხაზს უსვამს სებ-ის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას თავის საქმიანობაში. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილებები მარეგულირებლის კორპორატიულ მმართველობასა და კანონმდებლობით დადგენილ გარანტიებში. ასეთი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს შიდა რესტრუქტურისა და პერსონალის რესურსების ცვლილებებს, რითაც არაპროგნოზირებადად შეიძლება შეიცვლოს მარეგულირებლის პოლიტიკა და მიდგომები.

შემდეგი საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის ოქტომბერშია დაგეგმილი, რომელიც ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით 5%-იანი ბარიერით - პირველად ქვეყნის ისტორიაში, 2020 წლის ნაწილობრივ პროპორციული არჩევნების შემდეგ. გარდა ამისა, 2024 წელი ასევე არის პირველი არაპირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნების წელი, არაპირდაპირი ხმის მიცემის მოდელის გამოყენებით, სადაც პრეზიდენტის დანიშვნა ევალება საარჩევნო კოლეგიას, რომელიც შედგება, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ყველა წევრისგან და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისგან. არჩევნების შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია და არ არსებობს იმის გარანტია, რომ არჩევნების შემდეგ არ იქნება არასტაბილურობა, იმ შემთხვევაში თუ, მაგალითად, მთავრობა ვერ ჩამოყალიბდება.

2024 წლის აპრილში საპროტესტო აქციები გაიმართა თბილისის ქუჩებში მთავრობის მიერ მხარდაჭერილი „უცხოური გავლენის“ შესახებ საკამათო კანონპროექტის წინააღმდეგ. მხარდმა გაურკვევლობამ პროტესტის გაგრძელებასთან დაკავშირებით, გამწვავებულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ მთავრობასა და დასავლელ მოკავშირეებს შორის შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის გაუარესება. თუ პოლიტიკური დამაბულობა არასტაბილურობაში გადაიზარდა, აღნიშნულმა შეიძლება ინვესტორთა წრეებში საქართველოს რეპუტაცია დააზიანოს, ასევე შეაფერხოს ახალი ეკონომიკური პროექტების განვითარება და, შესაბამისად, არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობაზე ან მის პერსპექტივაზე, მოიზიდოს დამატებითი სახსრები.

- **საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულ გაურკვევლობებს ან მომავალში საქართველოში განხორციელებულ თვითნებურ ან არათანმიმდევრულ სახელმწიფო ქმედებას შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობაზე.**

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული, ფინანსური და კომერციული სამართლის ნორმები ახლახანს შევიდა ძალაში. ამ კანონმდებლობის უახლოეს წარსულში შემოღებამ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ მათ გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შორის ამ კანონმდებლობის აღსრულებადობასთან დაკავშირებით გამოიწვია სხვადასხვა ბუნდოვანება და შეუსაბამობა. გარდა ამისა, საქართველოში სასამართლო სისტემა განიცდის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობას და არის მნიშვნელოვანი რეფორმირების პროცესში. ზოგადად, მოსამართლეები და სასამართლოები საქართველოში ნაკლებად გამოცდილები არიან ფინანსური, კომერციული და საკორპორაციო სამართლის საკითხებში, ვიდრე

ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით როგორც ეს არის ევროკავშირისა და შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა და საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებულმა ნებისმიერმა გადაწყვეტილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოჰყვეს საინვესტიციო ფონდზე.

- **შესაძლოა არსებობდეს DCFTA-დან გამომდინარე საქართველოს მარეგულირებელი გარემოს ევროკავშირთან საკონმდებლო ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები.**

2014 წლის 27 ივნისს საქართველო შევიდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში და მიიღო DCFTA (მოქმედია 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას 2016 წლის 1 ივლისიდან. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია შექმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევები შეუქმნას ბიზნესებსა და სახელმწიფოს. ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს იმპლემენტაცია მოითხოვს, რომ საქართველო შეესაბამებოდეს ევროკავშირის ვაჭრობასთან და დარგთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, რაც, სავარაუდოდ, გამოწვევებით იქნება დაკავშირებული, კერძოდ: გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის პროდუქტებისა და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით.

საქართველო თანდათან ახორციელებს სავაჭრო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან მას შემდეგ, რაც 2000 წელს ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა. მაგალითისთვის, 2013 წელს საქართველომ განახორციელა ცვლილებები შრომის კოდექსში, საქართველოს შრომის კანონმდებლობის ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებითა და DCFTA-თი გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაახლოების მიზნით. აღნიშნული ცვლილებები დასაქმებულებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კომპენსაციის გაზრდას (ერთიდან ორ თვემდე ხელფასის ოდნებით), აძლიერებდა დასაქმებულთა უფლებებს, გაასაჩივრონ დასაქმებულის გადაწყვეტილებები სასამართლოში, კრძალავდა სამსახურიდან გათავისუფლებას აშკარა მიზეზის გარეშე და გარანტირებული გახდა ძირითადი სამუშაო პირობები. 2020 წლის სექტემბერში შრომის კანონმდებლობაში მიღებულ იქნა შემდგომი ძირითადი ცვლილებები, რომლითაც დაარსებულ იქნა ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმი, შრომის სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც აკონტროლებს შრომის კოდექსის მოთხოვნების შესრულებასა და აღსრულებას სასამართლო სისტემის გარეშე, აწესებს ადმინისტრაციულ სანქციებს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისთვის, ნერგავს დასაქმებულთა უფლებების დაცვის მექანიზმებს საწარმოს გადაცემის შემთხვევაში და დასაქმებულთა უფლებების დაცვის გამაძლიერებელ სხვა წესებს.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუციის ჩარჩო, რომელიც ფართოდ ცნობილია როგორც BRRD-ის ჩარჩო, ხოლო 2020 წლის იანვარში ამოქმედდა საქართველოს კანონი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ („**დერივატივების კანონი**“). აღნიშნული საკანონმდებლო განვითარება შესაბამისობაშია საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. გარდა ამისა, 2023 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პერსონალური მონაცემთა

დაცვის სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის სტანდარტებთან (რეგულაცია (EU) 2016/67).

მოსალოდნელია სხვა ცვლილებები სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებები წარსულში გამოცხადებული მთავრობის ინიციატივების განხორციელებასა თუ მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელება შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი აღმოჩნდეს მარეგულირებელ ორგანოებისთვის, რათა გადართონ მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან და შეანელოს მათი ეფექტურობა.

მოსალოდნელი მარეგულირებელი ცვლილებების შედეგად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად, „საინვესტიციო ფონდს“ შეიძლება მოეთხოვოს თავისი პოლიტიკისა და პროცედურების კორექტირება, რათა შესაბამისობაში იყოს კანონებისა და რეგულაციების ნებისმიერ ცვლილებასთან. თუ რომელიმე აღნიშნული რისკი რეალიზდება, მათ შეიძლება ჰქონდეთ არსებითი უარყოფითი გავლენა „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

- ***საქართველოს პარლამენტი და სებ-ი განაგრძობენ ფინანსურ სექტორში სხვადასხვა რეგულაციების შემოღებას, რამაც შესაძლოა დამატებითი საოპერაციო ტვირთი შეუქმნას „საინვესტიციო ფონდს“.***

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსურ სექტორში მასიურად ახალი კანონები დაინერგა. მაგალითად, (i) „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ ახალი კანონი შემოღებულ იქნა 2020 წლის 14 ივლისს, რასაც მოჰყვა სექტორში მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება, რომლებიც დეტალურად აღწერს აქტივების მმართველი პირების, საინვესტიციო ფონდებისა და სპეციალური დეპოზიტარების რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურას, აგრეთვე, რეგულირებად სამართლებრივ ურთიერთობებს ამ სექტორში; (ii) „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ კანონი მიღებულ იქნა 2019 წლის 20 დეკემბერს; (iii) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ ახალი კანონი მიღებულ იქნა 2019 წლის ოქტომბერში, რომელმაც სახსრების მოძრაობა მკაცრ ზედამხედველობას დაუქვემდებარა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სებ-ის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული ახალი კანონები და რეგულაციები არ შეაფერხებს „საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობას ან არ დააკისრებს მას დამატებით ადმინისტრაციულ ტვირთს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „საინვესტიციო ფონდის“ საერთო ეფექტურობისა და მომგებიანობის შემცირება.

- ***საქართველოს საგადასახადო სისტემაში გაურკვეველობამ შეიძლება გამოიწვიოს „ჯგუფის“ წინააღმდეგ საგადასახადო კორექტირებების ან ჯარიმების დაწესება და შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები მიმდინარე საგადასახადო კანონებსა და პოლიტიკებში.***

საგადასახადო კანონმდებლობა საქართველოში შედარებით მოკლე დროა რაც ძალაშია უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებთან შედარებით. აღნიშნული ქმნის გამოწვევებს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაში, იმდენად, რამდენადაც ასეთი საგადასახადო კანონები გაურკვეველია ან ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და კომპანიებს აყენებს რისკის ქვეშ, რომ მათი მცდელობა შესაბამისობაში იყვნენ მოქმედ კანონმდებლობასთან შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ იქნეს დაყენებული შესაბამისი ორგანოების მიერ. საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულება ასევე შეიძლება იყოს არაპროგნოზირებადი.

უფრო მეტიც, საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ცვლილებებსა და შესწორებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი („საგადასახადო კოდექსი“) ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. 2010 წლის დეკემბერში, კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რათა აკრძალული ყოფილიყო სახელმწიფოს მასშტაბით ახალი გადასახადების შემოღება ან არსებული გადასახადების (გარდა აქციზისა) გაზრდა მთავრობის მიერ ინიცირებული საჯარო რეფერენდუმის გარეშე (გარდა გარკვეული შეზღუდული შემთხვევებისა). 2011 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელიც ასახავს იგივე კონსტიტუციურ გარანტიას. აღნიშნული კანონი ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრიდან და ძალაში იქნება 12 წლის განმავლობაში 2018 წლის 16 დეკემბრიდან. 2017 წლის ოქტომბერში კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა, რომლის ძალითაც გაუქმდა დებულება, რომელიც კრძალავს ახალი გადასახადების შემოღებასა და გადასახადების გაზრდას. თუმცა, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანულ კანონში ასევე შევიდა ცვლილებები, რათა გარანტირებული ყოფილიყო, რომ ახალი გადასახადების შემოღებისა და გადასახადების ზრდის შესახებ აკრძალვა ძალაში დარჩება 2030 წლის დეკემბრამდე. განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით არსებობს როგორც სამთავრობო სამინისტროებსა და ორგანიზაციებში, ასევე მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, შეუსაბამობასა და კონფლიქტის სფეროებს. თუმცა, საგადასახადო კოდექსი საქართველოს საგადასახადო ორგანოებს უფლებას აძლევს გამოიტანონ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილებები გადასახადის გადამხდელთა მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ აქტივების მმართველი კომპანია თვლის, რომ ფონდი ამჟამად შესაბამისობაში არიან საგადასახადო კანონმდებლობასთან, შესაძლებელია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დაიკავონ განსხვავებული პოზიციები მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმა. ასევე, არსებობს რისკი იმისა, რომ „ჯგუფს“ შეიძლება დაეკისროს ჯარიმები ან საურავები რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონები და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია მთავრობის ცვლილების შედეგად. ასეთი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან „საინვესტიციო ფონდზე“ ან მის ინვესტიციებზე მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გაზრდას, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე.

2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს, რომ საწარმოს არ წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება, მანამ სანამ ის არ გაანაწილებს თავის მოგებას აქციონერებზე, ან არ გაატარებს ხარჯებს, ან განახორციელებს მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. აღნიშნული ცვლილებები ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა სუბიექტზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, მათ შორის ბანკებისა და სადაზღვევო ბიზნესებისთვის (ცვლილებები ვრცელდება სადაზღვევო ბიზნესებზე, 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის 16 დეკემბერს ცვლილება შევიდა კორპორაციული დაბეგვრის მოდელში, რომელიც გამოიყენება ბანკებისთვის და ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან. განახლებული დაბეგვრის მოდელი ითვალისწინებს ნულოვანი დივიდენდის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს აქციონერებზე განაწილებულ დივიდენდებზე და 20%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს წლიურ მოგებაზე, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა მთლიან დასაბეგრ შემოსავალსა და გამოსაქვით ხარჯს შორის.

- *არსებობს დამატებითი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებასთან, როგორც საქართველოა.*

განვითარებად ბაზრებს შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი ცვალებადობა, უფრო შეზღუდული ლიკვიდურობა და უფრო ვიწრო საექსპორტო ბაზა, ვიდრე უფრო განვითარებულ ბაზრებს და ექვემდებარება უფრო ხშირ ცვლილებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში. ისინი ექვემდებარებიან სწრაფ ცვლილებებს და განსაკუთრებით დაუცველნი არიან საბაზრო პირობების და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ეკონომიკური ვარდნის მიმართ.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორებს შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ მოვლენებზე, რაც ზიანს აყენებს მთელ რეგიონს ან ინვესტიციების კლასს, აღნიშნული ფენომენი ცნობილია როგორც „გადამდები ეფექტი“. თუ ასეთი გადამდები ეფექტი განხორციელდება, საქართველოზე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სხვა განვითარებადი ბაზრის ქვეყნებში განვითარებულმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. წარსულში საქართველოზე უარყოფითად იმოქმედა გადამდებმა ეფექტებმა, მათ შორის 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, 2015 წლის რეგიონალური ტურბულენტობის შედეგად ნავთობის ფასების დაწევამ და 2022 წლიდან რუსეთ-უკრაინის ომმა. საქართველოზე მომავალში შესაძლოა გავლენა იქონიოს მსგავსმა მოვლენებმა.

საქართველოს ეკონომიკაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს გამკაცრებულმა გლობალურმა ფინანსურმა პირობებმა და კაპიტალის ნაკლებმა ნაკადებმა განვითარებად საბაზრო ეკონომიკებში, გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის გამო გლობალური ვაჭრობის სისუსტემ, მაღალმა გეოპოლიტიკურმა რისკებმა, მაღალმა ცვალებადობამ და საქონლის ფასების დიდმა და არსებითმა ვარდნამ, უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეულმა ფართომასშტაბიანმა გადახრებმა და სხვა საკითხებთან ერთად, მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და პროდუქტიულობის შენელებული ზრდის გამო გლობალური ეკონომიკის შეფერხებამ. ფინანსური და/ან პოლიტიკური არასტაბილურობა განვითარებად ბაზრებზე ასევე არსებით უარყოფით გავლენას ახდენს კაპიტალის ბაზრებზე და უფრო ფართოდ ეკონომიკაზე, ვინაიდან ინვესტორებს თავიანთი ფული გადააქვთ უფრო განვითარებულ ბაზრებზე, რომლებსაც უფრო სტაბილურად მიიჩნევენ. აღნიშნულ რისკებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს შესახებ არასრულმა, არასანდო, მიუწვდომელმა ან არათანადროულმა ეკონომიკურმა და სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

II. საინვესტიციო სტრატეგიებთან, საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებთან და საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებული რისკები

- *ინვესტიცია კერძო საკრედიტო ინსტრუმენტებში ექვემდებარება გარკვეულ დამახასიათებელ რისკებს.*

„საინვესტიციო ფონდს“ აქვს ფართო მანდატი ინვესტიციების ტიპსა და ბუნებასთან დაკავშირებით, რომელშიც ის მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ სესხების უმეტესობა, რომელშიც „საინვესტიციო ფონდი“ განახორციელებს ინვესტიციას, იქნება უზრუნველყოფილი, „საინვესტიციო ფონდს“ შეუძლია ასევე ინვესტირება მოახდინოს არაუზრუნველყოფილ ლიკვიდურ ინსტრუმენტებში.

„საინვესტიციო ფონდში“ შემავალი სესხების კრედიტორებს შეუძლიათ თავი დაიცივან გაკოტრების, გადახდისუუნარობისა და მოვალეთა დაცვის სხვა კანონების საფუძველზე. გაკოტრების პროცესი არაპროგნოზირებადია, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. გარდა ამისა, გადახდისუუნარობის

პროცესის დამახასიათებელი მრავალი რისკი ქმნის „საინვესტიციო ფონდის“ მიერ მისი მთელი ინვესტიციის დაკარგვის პოტენციურ რისკს ნებისმიერ კონკრეტულ ინვესტიციაში. გადახდისუუნარობის შესახებ კანონებმა შეიძლება გამოიწვიოს დავალიანების რესტრუქტურირება „საინვესტიციო ფონდის“ თანხმობის გარეშე, გადახდისუუნარობის შესახებ მოქმედი კანონების „დამუხრუჭების“ დებულებების შესაბამისად და ასევე შეიძლება გამოიწვიოს დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვა „საინვესტიციო ფონდისთვის“ გადასახადის გადახდის გარეშე.

- **საინვესტიციო ფონდის წარმატება დამოკიდებულია იმ საერთო საბაზრო პირობებზე, რომლებშიც ის ოპერირებს, რაც ხშირად შეიძლება გაურკვეველი და არახელსაყრელი იყოს.**

„საინვესტიციო ფონდის“ საქმიანობის წარმატებაზე გავლენას მოახდენს ზოგადი ეკონომიკური და საბაზრო პირობები, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, კრედიტის ხელმისაწვდომობა, საკრედიტო დავალიანება, ინფლაციის განაკვეთები, ეკონომიკური გაურკვეველობა, ცვლილებები კანონებში (მათ შორის, კანონები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების დაბეგვრასთან), სავაჭრო ბარიერები, ვალუტის გაცვლის კონტროლი, დაავადების გავრცელება, პანდემიები და ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკური, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოებები (ომების, ტერორისტული აქტების ან უსაფრთხოების ოპერაციების ჩათვლით).

რამდენადაც გლობალური სისტემები, ეკონომიკა და ფინანსური ბაზრები სულ უფრო ურთიერთდაკავშირებულია, მოვლენებს, რომლებსაც ოდესღაც მხოლოდ ადგილობრივი გავლენა ჰქონდათ, ახლა უფრო სავარაუდოა, რომ იქონიონ რეგიონალური ან თუნდაც გლობალური ეფექტი. მოვლენები, რომლებიც ხდება ერთ ქვეყანაში, რეგიონში ან ფინანსურ ბაზარზე, უფრო ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების, რეგიონების ან ბაზრების ემიტენტებზე. ეს ზემოქმედება შეიძლება გამწვავდეს მთავრობებისა და საზოგადოებების მიერ წარმოშობილ მოვლენაზე ან საფრთხეზე ადეკვატური რეაგირების მოხდენის წარუმატებლობის შემთხვევაში. ამ ტიპის მოვლენები სწრაფად და მნიშვნელოვნად იმოქმედებს ბაზრებზე აშშ-სა და მთელ მსოფლიოში, რაც იწვევს ბაზრის უკიდურეს ცვალებადობასა და რღვევას. აღნიშნული მოვლენების მიწოდების ჯაჭვებზე ან ეკონომიკასა და ბაზრებზე ზემოქმედების მასშტაბი და ბუნება უცნობია, განსაკუთრებით, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა ან სხვა მსგავსი მოვლენა, როგორცაა ბოლოდროინდელი COVID-19 აფეთქება, გრძელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. „საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციის ღირებულება შეიძლება შემცირდეს ასეთი მოვლენების შედეგად, განსაკუთრებით თუ ეს მოვლენები უარყოფითად აისახება აქტივების მმართველი კომპანიის ან ძირითადი სერვისის პროვაიდერების ოპერაციებსა და ეფექტურობაზე.

„საინვესტიციო ფონდის“ საინვესტიციო სტრატეგია და „საინვესტიციო ფონდის“ რისკის მიხედვით კორექტირებული უკუგების პარამეტრების დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების არსებობა ნაწილობრივ ეყრდნობა ფინანსურ ბაზრებზე დაკვირვებად ტენდენციებსა და პირობებს და ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი პირობების გაუმჯობესებას. ტენდენციები და ისტორიული მოვლენები არ გულისხმობს, პროგნოზირებს ან წინასწარმეტყველებს მომავალ მოვლენებს და, ნებისმიერ შემთხვევაში, წარსული შესრულება სულაც არ მიუთითებს მომავალ შედეგებზე. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ გაკეთებული დაშვებები, რწმენა და მოლოდინები სწორი იქნება და რეალური მოვლენები და გარემოებები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.

ბევრი ემიტენტი, რომლებშიც „საინვესტიციო ფონდი“ განახორციელებს ინვესტიციებს, შეიძლება ექვემდებარებოდეს ეკონომიკურ შეფერხებას ან რეცესიას და შესაძლოა ვერ შეძლოს მათთვის გაცემული სესხების დაფარვა ამ პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, უმოქმედო აქტივები

შეიძლება გაიზარდოს და „საინვესტიციო ფონდის“ პორტფელის ღირებულება შემცირდეს ამ პერიოდებში, ვინაიდან „საინვესტიციო ფონდს“ მოეთხოვება ინვესტიციების აღრიცხვა მათი მიმდინარე რეალური ღირებულებით. არასასურველმა ეკონომიკურმა პირობებმა ასევე შეიძლება შეამციროს „საინვესტიციო ფონდის“ ზოგიერთი სესხის უზრუნველყოფის ღირებულება და მისი კაპიტალის ინვესტიციების ღირებულება. ეკონომიკურმა შეფერხებამ ან რეცესიამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი „საინვესტიციო ფონდის“ პორტფელში და შემოსავლების, წმინდა შემოსავლისა და აქტივების შემცირება. არახელსაყრელმა ეკონომიკურმა პირობებმა ასევე შეიძლება გაზარდოს „საინვესტიციო ფონდისა“ და ემიტენტების დაფინანსების ხარჯები, შეზღუდოს „საინვესტიციო ფონდისა“ და ემიტენტების წვდომა კაპიტალის ბაზრებზე ან გამოიწვიოს კრედიტორების გადაწყვეტილება, არ გასცენ კრედიტი „საინვესტიციო ფონდზე“ ან ემიტენტებზე. ამ მოვლენებმა შეიძლება ხელი შეუშალოს „საინვესტიციო ფონდს“ ინვესტიციების გაზრდაში და ზიანი მიაყენოს მის საოპერაციო შედეგებს.

ემიტენტის მიერ „საინვესტიციო ფონდის“ ან სხვა კრედიტორების მიერ დაწესებული ფინანსური ან საოპერაციო კოვენანტების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სესხის ვადაგადაცილება და, პოტენციურად, სესხის ვადაგადაცილების ვადის დაჩქარება და მისი უზრუნველყოფილი აქტივების ჩამორთმევა, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს სხვა შეთანხმებებიდან გამომდინარე ჯვარედინი დეფოლტები და საფრთხეს შეუქმნას ემიტენტის შესაძლებლობას შეასრულოს ვალდებულებები „საინვესტიციო ფონდის“ სესხიდან გამომდინარე. „საინვესტიციო ფონდს“ შეიძლება დაეკისროს დამატებითი ხარჯები იმ მოცულობით, რაც აუცილებელია, დეფოლტის შემთხვევაში აღდგენის მიზნით ან ახალი პირობების მოსალაპარაკებლად გადეფოლტებულ ემიტენტთან. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი ემიტენტი გაკოტრდება, ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, თუ რამდენად რეალურად გაუწევს „საინვესტიციო ფონდი“ მნიშვნელოვან მენეჯერულ დახმარებას ამ ემიტენტს, სასამართლომ შეიძლება დააქვეითოს „საინვესტიციო ფონდის“ მოთხოვნა მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ფასები, რომლებშიც „საინვესტიციო ფონდმა“ შეიძლება ინვესტირება განახორციელოს, შეიძლება იყოს ძალიან ცვალებადი. ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასების ზოგადმა რყევებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს „საინვესტიციო ფონდის“ მიერ დაკავებული ინვესტიციების ღირებულებაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე არსებულმა არასტაბილურობამ ასევე შეიძლება გაზარდოს „საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციების დამახასიათებელი რისკები.

- *საინვესტიციო ფონდის საქმიანობა ექვემდებარება მისი პორტფელის სუბიექტების საკრედიტო რისკს, რომელიც ხშირად იქნება საინვესტიციო ხარისხზე დაბალი, რეიტინგის და ჰეჯირების გარეშე.*

„საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ფუნდამენტური რისკია საკრედიტო რისკი, რისკი იმისა, რომ ემიტენტი ვერ შეძლებს ძირისა და პროცენტის გადახდას თავის დაუსრულებელ სავალო ვალდებულებებზე ვადის გასვლისას. „საინვესტიციო ფონდის“ მიერ ინვესტიციებისთვის ანაზღაურებაზე უარყოფითი გავლენა ექნება შემთხვევას, თუ სესხის ემიტენტი, რომელშიც ინვესტირებას ახორციელებს „საინვესტიციო ფონდი“, ვერ შეძლებს ასეთი ვადამოსული გადასახადების დაფარვას.

მიუხედავად იმისა, რომ „საინვესტიციო ფონდმა“ შეიძლება განახორციელოს ინვესტიციები, რომლებიც აქტივების მმართველი კომპანიის აზრით, უზრუნველყოფილია კონკრეტული უზრუნველყოფით,

რომლის ღირებულება თავდაპირველად შეიძლება აღემატებოდეს ასეთი ინვესტიციების ძირითად თანხას ან „საინვესტიციო ფონდის“ ასეთი ინვესტიციების სამართლიან ღირებულებას, არ შეიძლება იყოს გარანტია, რომ ნებისმიერი ასეთი უზრუნველყოფის აღსრულება დააკმაყოფილებს მსესხებლის ვალდებულებას ამ ინვესტიციასთან დაკავშირებით განსაზღვრული პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ან რომ ასეთი უზრუნველყოფა შეიძლება მარტივად ლიკვიდირდეს. ზოგიერთ ასეთ ინვესტიციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საპროცენტო გადახდის გრაფიკი, რომლის ძირითადი თანხა რჩება გადაუხდელი და რისკის ქვეშ ინვესტირების დასრულებამდე. გარდა ამისა, სესხები შეიძლება ითვალისწინებდეს აქტივით გადახდებს, რასაც ანალოგიური ეფექტი აქვს მიმდინარე ფულადი გადახდების გადავადების შესახებ. ასეთ შემთხვევებში, ემიტენტის შესაძლებლობა, დაფაროს ინვესტიციის ძირი, შეიძლება დამოკიდებული იყოს ლიკვიდურობის მოვლენაზე ან კომპანიის გრძელვადიან წარმატებაზე, რომლის დადგომის ალბათობაც გაურკვეველია.

რაც შეეხება „საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციებს ნებისმიერ საკრედიტო პროდუქტში, თუ მსესხებელი ან ემიტენტი არღვევს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე შეთანხმებას ან შეზღუდვას, რომელიც არეგულირებს ამ ემიტენტის ან მსესხებლის სესხებს, შეიძლება გამოიწვიოს მოქმედი დავალიანების შესაბამისად, ისევე როგორც „საინვესტიციო ფონდის“ მიერ არსებული დავალიანების შესაბამისად დეფოლტი. ასეთმა დეფოლტმა შეიძლება კრედიტორებს მისცეს საშუალება დააჩქარონ დაკავშირებული დავალიანება და შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი სხვა დავალიანების დაჩქარება, რომელზედაც ვრცელდება ჯვარედინი დაჩქარების ან ჯვარედინი დეფოლტის შესახებ დებულება. ამან შეიძლება გამოიწვიოს „საინვესტიციო ფონდის“ ინვესტიციის გაუფასურება ან დაკარგვა ან საინვესტიციო ფონდის ინვესტიციის წინასწარ გადახდა (მთლიანად ან ნაწილობრივ).

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ „საინვესტიციო ფონდი“ ძირითადად მიზნად ისახავს ინვესტირებას კომპანიებში, რომლებიც მისი აზრით, მაღალი ხარისხისაა, ეს კომპანიები შეიძლება მაინც იყვნენ მაღალი ბიზნესისა და საკრედიტო რისკის მატარებლები. კომპანიები, რომლებშიც „საინვესტიციო ფონდი“ ინვესტირებას ახორციელებს, შეიძლება გაუარესდეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათი ბიზნესის არახელსაყრელი განვითარების, კონკურენტული გარემოს ცვლილების ან მიმდინარე (ან ნებისმიერი მომავალი) ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის ვარდნისა და დისლოკაციების გაგრძელების ან გაუარესების შედეგად. შედეგად, კომპანიებმა, რომელთა შესახებაც „საინვესტიციო ფონდს“ ჰქონდა მოლოდინი რომ იქნებოდა სტაბილური ან გააუმჯობესებდა საქმიანობას, ან მოელოდნენ, რომ იმუშავებენ ზარალით ან აქვთ მნიშვნელოვანი ვარიაციები საოპერაციო შედეგებში, შეიძლება მოითხოვონ მნიშვნელოვანი დამატებითი კაპიტალი თავიანთი ოპერაციების მხარდასაჭერად ან კონკურენტული პოზიციის შესანარჩუნებლად, ან სხვაგვარად შეიძლება ჰქონდეს სუსტი ფინანსური მდგომარეობა ან განიცადოს ფინანსური პრობლემები.

- **საინვესტიციო ფონდის პორტფელზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს საკრედიტო სპრედის რისკმა.**

საკრედიტო სპრედის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ საკრედიტო სპრედი (სხვაგვარად რომ ითქვას, სხვაობა ფასიანი ქაღალდების საპროცენტო შემოსავალს შორის, რომელიც გამოწვეულია მათი საკრედიტო ხარისხს შორის განსხვავებით) შესაძლებელია გაიზარდოს, როდესაც ბაზარზე მოსალოდნელია ე.წ. below-investment-grade-ის მქონე ვალდებულებების განშირებული დეფოლტი. საკრედიტო სპრედის გაფართოებამ შესაძლებელია გამოიწვიოს below-investment-grade-ის და რეიტინგის არ მქონე ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების მყისიერი შემცირება. ამერიკის

შეერთებული შტატების კაპიტალის ბაზრებზე განსაკუთრებული მერყეობა შეინიშნებოდა კოვიდ-19-ის გავრცელების შედეგად, რამაც გამოიწვია სპრედის გაზრდა ურისკო და მაღალრისკიან ფასიან ქაღალდებზე რეალიზებული საპროცენტო შემოსავალს შორის, რის შედეგადაც კაპიტალის ბაზრის ზოგიერთი ნაწილი გახდა არალიკვიდური. აღნიშნული და სამომავლო საბაზრო რყევები ან/და არალიკვიდრობა მოსალოდნელია, რომ მატერიალურად იქონიებს უარყოფით გავლენას საინვესტიციო ფონდის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე, საოპერაციო შედეგებზე და ფულადი სახსრების ნაკადებზე.

- **საინვესტიციო ფონდის პორტფელი შესაძლოა ჰქონდეს კონცენტრაციის რისკიც:**

თუ საინვესტიციო ფონდის მიერ ინვესტირება მნიშვნელოვან წილად მოხდება ერთ ინდუსტრიაში და/ან ფონდი ვერ შეძლებს ინვესტიციების ეფექტურად დივერსიფიცირებას განსხვავებულ ეკონომიკურ სექტორებში, კრედიტორებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებში, შესაძლოა შექმნას პოტენციური ფინანსური ზარალის რისკები.

- **საკრედიტო პორტფელში ინვესტირება კრედიტის ადმინისტრირებაში პირდაპირი ჩართულობის გარეშე, საინვესტიციო ფონდის საქმიანობას მესამე მხარის უფრო მაღალ რისკს უჩენს, იქნება ეს შესაბამისი კომერციული ბანკის მიერ არასწორი მენეჯმენტი თუ მისი გადახდისუუნარობა.**

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ფონდმა შესაძლებელია განახორციელოს კრედიტებში ინვესტირება, ის არ იქნება უშუალოდ და პირდაპირ ჩართული ამ კრედიტების ადმინისტრირებაში. კრედიტების სახე/ტიპი არ არის ლიმიტირებული და შესაძლებელია შეიცავდეს, მათ შორის, შეუზღუდავად, პირველი კატეგორიის რეიტინგის მქონე ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილ სენიორ კრედიტებს, არაუზრუნველყოფილ კრედიტებს, ფასიანი ქაღალდი შესაძლებელია იყოს სუბორდინირებული სხვა წინსმწრები გამსესხებლების მიმართ ან კრედიტი, შესაბამისი უზრუნველყოფის გაუქმების შედეგად ან სხვაგვარად, შესაძლებელია იყოს სრულად არაუზრუნველყოფილი. საინვესტიციო ფონდი იოპერირებს ძირითადად მეორადი ტრანზაქციების განხორციელებით, მათ შორის, სინდიცირებული სესხებით. შესაბამისად, მათგან გამომდინარე უფლებების აღსრულება, გარკვეული ხარისხით, დამოკიდებული იქნება კომერციულ ბანკზე, რომელიც განხორციელებს საინვესტიციო ფონდის პორტფელის მოთხოვნების ადმინისტრირებას. ამგვარი განაწილების ფარგლებში ნებისმიერმა პოტენციურმა შეცდომამ, არასწორმა მენეჯმენტმა ან შეუსაბამო ქმედების განხორციელებამ შესაბამისი კომერციული ბანკის მხრიდან, საკრედიტო პორტფელის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დანაკარგი საინვესტიციო ფონდისათვის.

დამატებით, იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი სესხის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, თუმცა შესაბამისი ბანკი განიცდის ფინანსურ პრობლემებს, დეფოლტს ან ლიკვიდაციას, საინვესტიციო ფონდმა შესაძლებელია დაკარგოს მისი ინვესტიცია ნაწილობრივ ან სრულად, მონეტარული საინვესტიციო სახსრების ისეთი მინდობის შემთხვევაში, რომლსაც არ გააჩნია რეგრესის უფლება თავდაპირველი მსესხებლის მიმართ. განსაკუთრებული რისკები, რომელიც თან ახლავს ამგვარ ვალდებულებებს მოიცავს: (i) საინვესტიციო ტრანზაქციის შესაძლო ბათილობას, როგორც თაღლითობით გადაცემას, შესაბამისი კრედიტორის უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით; (ii) უარყოფითი შედეგები, რომლებიც წარმოიშვა უფრო დაბალი საკრედიტო ხარისხის

მქონე სხვა ინსტიტუციების ინსტრუმენტებში მონაწილეობისგან და (iii) საინვესტიციო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის ლიმიტირებული შესაძლებლობა, პირდაპირ აღასრულოს ინვესტიციიდან გამომდინარე მისი უფლებები. აქტივების მმართველი კომპანია შეეცდება უზრუნველყოს ამ და მის მიერ იდენტიფიცირებული სხვა რისკების სიმძლავრის დაბალანსება პოტენციური საინვესტიციო ნაზრდის მიმართ თითოეული ასეთი ინვესტიციის განხორციელებამდე. ამ და სხვა რისკებიდან გამომდინარე მესამე მხარეთა წარმატებული სარჩელები, რომლებიც არაკეთილსინდისიერი ქმედების ვარაუდის საფუძველს არ ქმნის, შესაძლებელია გახდეს საინვესტიციო ფონდის დასაკმაყოფილებელი.

- ***საფუძვლად გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალება შესაძლებელია გაუარესდეს ნაწილობრივ ან სრულად, და დაკარგოს მისი ღირებულება ან მისი შემოსავალი შესაძლებელია მნიშვნელოვნად იქნას შემცირებული მოქმედი სააღსრულებო პროცედურების შედეგად.***

საინვესტიციო ფონდის მიერ არასუბორდინირებულ უზრუნველყოფილ ვადიან სესხში ინვესტიციისას მოსალოდნელია, რომ იგი, წესისამებრ, მიიღებს უზრუნველყოფის საპროცენტო სარგებელს, მსესხებლის ყველა მნიშვნელოვან არსებულ აქტივზე. მიუხედავად ამისა, არსებობს რისკი, რომ საინვესტიციო ფონდის სესხების მიმართ გამოყენებული ამგვარი უზრუნველყოფა გაუფასურდეს დროთა განმავლობაში, გართულდეს მისი დროული გაყიდვა, რთული იყოს შეფასება და განიცადოს რყევები ღირებულების თვალსაზრისით ბიზნესსაქმიანობისა და ბაზრის პირობებიდან გამომდინარე, რაც მოიცავს, მათ შორის, მისი მსესხებლის მიერ დამატებითი კაპიტალის აწვევის შესაძლებლობის არ ქონას, და, ზოგ შემთხვევაში, საინვესტიციო ფონდის უფლება შესაძლებელია სუბორდინირებული იქნას სხვა კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებით. ამასთანავე, არსებობს უზრუნველყოფის სრულად განადგურების რისკი. დამატებით, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და შესაძლებლობების განადგურებას, მათ შორის, დამატებითი კაპიტალის აწვევის შესაძლებლობის არ ქონას, შესაძლებელია დაერთოს სესხის უზრუნველყოფის ღირებულების შემცირებაც. შესაბამისად, სესხის უზრუნველყოფის ფაქტი, ცალკეულად, არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ საინვესტიციო ფონდი მიიღებს როგორც ძირ თანხას, ისე საპროცენტო სარგებლის სახით დარიცხულ თანხასა და გადახდებს სესხის პირობების შესაბამისად, ან საერთოდ, ან რომ საინვესტიციო ფონდი შეძლებს ამ თანხის მიღებას სესხიდან, იძულებითი აღსრულების შემთხვევაში.

საინვესტიციო ფონდის აქტივების ღირებულებაზე შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მსესხებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულმა დეფოლტმა. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ღირებულება, რომელსაც აქტივების მმართველი კომპანია მიანიჭებს, რეალიზებული იქნება მისი ლიკვიდაციისას, ან რომ უზრუნველყოფა შეინარჩუნებს მის ღირებულებას. ამასთანავე, შესაძლებელია თავი იჩინოს ისეთმა გარემოებებმა (მაგალითად, მსესხებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში), რომელიც გამოიწვევს სესხის უზრუნველყოფაზე საინვესტიციო ფონდის უზრუნველყოფის საპროცენტო სარგებლის გაუქმებას ან მის სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებას ლიკვიდატორის ინიციატივით. ამასთან, უზრუნველყოფის დიდი ნაწილი იქნება დაქვემდებარებული სატრანსფერო შეზღუდვებს, რომელიც მიზნად ისახავს ფასიანი ქაღალდების მიმართ მოქმედი რეგულაციების დაკმაყოფილებას და, რომელიც მოახდენს პოტენციურ შემძენთა რაოდენობის ლიმიტირებას იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ფონდი გადაწყვეტს მის ლიკვიდაციას. სესხიდან რეალიზებული მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვნად იქნას შეცვლილი თუკი თავდები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ მის ვალდებულებებს ვერ შეასრულებს. ბოლოს, შესაძლებელია არსებობდეს როგორც მონეტარული, ისე

დროითი დანახარჯი დადევნობითი სესხებიდან თანხის ამოღების პროცესში, მათ შორის, თუკი ეს რელევანტურია, სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფის დაუფლების თვალსაზრისით.

ბოლოს, სესხები შესაძლებელია არღვევდნენ სესხის პირობებს, რაც შესაძლოა სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარეობდეს. ასეთი სავალო ვალდებულებების გამო შესაძლებელია საჭირო გახდეს მოლაპარაკების პროცესის წარმართვა, რესტრუქტურისა ან გადახდისუნარიანობის გამოცხადება, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი შემცირება, გადახდების დაგვიანება ან/და სესხის ძირითადი თანხის ჩამოწერა ან ვალის მთელი მოცულობით ან ნაწილობრივ გარდაქმნა კაპიტალად. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისათვის საჭირო დამატებითმა ხარჯებმა შესაძლებელია შეამციროს ამონაგები.

- ***ზოგადი საპროცენტო განაკვეთის რყევები და ცვლილებები საკრედიტო სპრედში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვნად ნეგატიური გავლენის მქონე საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებსა და საინვესტიციო შესაძლებლობებზე.***

საპროცენტო განაკვეთის ზოგად რყევებსა და ცვლილებებს საკრედიტო სპრედში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის სესხებზე შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებსა და საინვესტიციო შესაძლებლობებზე და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო ფონდის მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე მისაღები ამონაგების მაჩვენებელზე, საინვესტიციო ფონდის წმინდა საინვესტიციო შემოსავალზე და საინვესტიციო ფონდის აქტივების წმინდა ღირებულებაზე, ე.წ. NAV-ზე. გამომდინარე იქედან, რომ საინვესტიციო ფონდის მიერ სავალო ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებს ექნება ცვლადი საპროცენტო მაჩვენებლები, რომლებიც ე.წ. ბენჩმარკის საფუძველზე პერიოდულად იცვლება, საპროცენტო განაკვეთების ზრდამ შესაძლებელია მათი მსესხებლებისთვის გაართულოს საინვესტიციო ფონდის მფლობელობაში არსებული სავალო საინვესტიციო ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა. ზოგადად, საპროცენტო განაკვეთის ზრდა უარყოფით გავლენას იქონიებს ფიქსირებული საპროცენტო მაჩვენებლის მქონე სავალო ინსტრუმენტის ფასზე, ხოლო საპროცენტო მაჩვენებლების ვარდნას ექნება ფასზე დადებითი გავლენა. საპროცენტო განაკვეთის შემცირების პერიოდში, საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებში ექნებათ ამონაგებზე შედარებით დაბალი მაჩვენებელი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების პირობების შესაბამისად. საბაზრო განაკვეთის დაცემა ასევე გართულებს მიმზიდველი საინვესტიციო ალტერნატივების მოძიებას, რაც გამოიწვევს საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების დაბალ მაჩვენებლებს. კორექტირებას დაქვემდებარებული, ე.წ. adjustable მაჩვენებლის მქონე ინსტრუმენტებსაც აქვთ მსგავსი შედეგები საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე, თუმცა მათ შემთხვევაში, ნაკლები ხარისხით (მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, შედეგები დამოკიდებულია განახლების პირობების მახასიათებლებზე, მათ შორის, შერჩეულ ინდექსზე, განახლების სიხშირეზე, ზედა და ქვედა ზღვრებზე და სხვა ფაქტორებზე). დროთა განმავლობაში საინვესტიციო ფონდი შესაძლებელია ასევე შემხებლობაში მოვიდეს საშუალოდან გრძელვადიანი სპრედის ხანგრძლივობის ფასიან ქაღალდებთან. შედარებით გრძელი სპრედის მქონე ხანგრძლივობის ფასიანი ქაღალდები საპროცენტო მაჩვენებლების ზრდის დროს შესაძლებელია ექვემდებარებოდეს უფრო მეტად უარყოფით გავლენას ფასზე. საპროცენტო მაჩვენებლების სენსიტიურობა, წესისამებრ, მეტად გამოხატული და ნაკლებად პროგნოზირებადია ისეთი ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელთაც აქვთ არამკაფიოდ განსაზღვრული გადახდები ან წინასწარი გადახდის გრაფიკები.

- **საინვესტიციო ფონდში ინვესტირება არის ინფლაციის რისკის მატარებელი.**

ინფლაციის რისკი არის რისკი იმისა, რომ რამდენადაც ინფლაცია შეამცირებს ფულის ღირებულებას, საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებიდან გამომდინარე კონკრეტული აქტივების ან შემოსავლის ღირებულება მომავალში იქნება ნაკლები. ინფლაციის ზრდასთან ერთად, ინვესტიციების რეალური ღირებულება და განაწილება შესაძლებელია შემცირდეს. დამატებით, ინფლაციის ხარისხის ზრდის ნებისმიერ პერიოდში, დივიდენდის მაჩვენებლები ან საინვესტიციო ფონდის მიერ ლევერიჯის გამოყენებასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხზე სავარაუდოა, რომ გაიზრდება, რაც დამატებით გამოიწვევს ერთეულის მფლობელთა ამონაგების შემცირებას.

- **ცვლილებებმა რეფერენტულ განაკვეთებში ან არაპროგნოზირებადმა მდგომარეობამ დადგინო საბაზრო ბენჩმარკთან დაკავშირებით შესაძლოა გამოიწვიოს საინვესტიციო ფონდისთვის როგორც მისი პორტფელის შემადგენელი სესხების, ასევე მისი საკუთარი საკრედიტო შესაძლებლობების გადახედვის საჭიროება და, ამდენად, იქონიოს მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა საინვესტიციო ფონდის საქმიანობაზე.**

მოცემული დროისათვის არ არის შესაძლებელი რეფერენტულ განაკვეთებთან დაკავშირებული რაიმე ცვლილების, ალტერნატიული რეფერენტული განაკვეთების დადგენის ან ამჟამად არსებული რეფერენტული განაკვეთების მიმართ შესაძლო განსახორციელებელი ნებისმიერი რეფორმის გავლენის პროგნოზირება. შესაძლებელია, ბანკებმა აღარ განაგრძონ ამჟამინდელი რეფერენტული განაკვეთების კალკულაციისათვის წარმოდგენების წარმოება. მსგავსად, არ არის შესაძლებელი პროგნოზირება იმისა, დარჩება თუ არა და კვლავ მიჩნეული იქნება თუ არა ამჟამინდელი რეფერენტული განაკვეთები დადგენილ საბაზრო ბენჩმარკად, რა განაკვეთი ან განაკვეთები იქნება დადგენილი არსებული განაკვეთების ალტერნატიულად, ან რა გავლენა ექნება ნებისმიერ მსგავს ცვლილებას ხედვისა ან ალტერნატივების თვალსაზრისით ფინანსურ ბაზრებზე, ამ დროისათვის არსებული ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რომელიც ებმის რეფერენტულ განაკვეთს.

ამჟამინდელი რეფერენტული განაკვეთების შესაძლო/პოტენციურმა ცვლილებამ შესაძლებელია საინვესტიციო ფონდის მიერ საჭირო გახადოს ამგვარი ცვლილების დადგომამდე დადებული საკრედიტო შეთანხმებების გადახედვა, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო ფონდის შესაძლებლობაზე, მიიღოს მიმზიდველი ამონაგები.

საინვესტიციო ფონდის ბიზნესი, ფინანსური მდგომარეობა და მისი საოპერაციო შედეგები, იმდენად, რამდენადაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, ზემოთხსენებულ გარემოებებზე, და მოლაპარაკების წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე და საჭირო ცვლილებების ამსახველ დოკუმენტაციაზე, შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითად იქნას შეცვლილი ბაზრის მიერ გაცემი ცვლილებების ან კონკრეტული რეფერენტული განაკვეთებისა და ბენჩმარკების რეფორმის გამო. სხვა ფაქტორები მოიცავს შეცვლილი განაკვეთების მიმართ და სხვა ცვლილებების განხორციელების სიჩქარეს, ამისათვის განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებსა და პარამეტრებს, ბაზრის მიმდებლობას ნებისმიერი ალტერნატიული რეფერენტული განაკვეთის მიმართ, ფასს და ლიკვიდურობას სავაჭრო ბაზრებზე ალტერნატიული რეფერენტული განაკვეთის მქონე პროდუქტებისათვის და საინვესტიციო ფონდის შესაძლებლობას, მოახდინოს ამ ცვლილებებისადმი ადაპტაცია და განავითაროს შესაბამისი სისტემები და ანალიტიკა ერთი ან მეტი ალტერნატიული რეფერენტული განაკვეთისათვის.

- *პორტფელის სესხის ვადამდელი გადახდის შესაძლებლობამ და ალტერნატიული საინვესტიციო შესაძლებლობის ნაკლებობამ შესაძლებელია შეამციროს საინვესტიციო ფონდის მიერ მისაღები შემოსავალი და დადებითი ამონაგების გენერირების შესაძლებლობა.*

სესხების ვადამდელი დაფარვა, წესისამებრ, შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ზოგიერთი სესხის დაფარვა შესაძლებელია ექვემდებარებოდეს ნებისმიერ დროს ვადამდელ დაფარვას დამატებით პრემიუმის მიღების გარეშე. აქტივების მმართველი კომპანიისათვის არ არის ზოგადად შესაძლებელი, გააკეთოს პროგნოზი ამგვარი წინასწარი დაფარვის სიხშირის თაობაზე. სესხების ვადამდელი დაფარვა დამოკიდებულია როგორც მიმღების განგრძობად დადებით მაჩვენებლებზე, ისე საფინანსო ბაზარზე ხელსაყრელი პირობების არსებობაზე, რომელიც აძლევს მის მიმღებს შესაძლებლობას იმისა, რომ არსებული დაფინანსება ჩაანაცვლოს ნაკლებად ძვირადღირებული კაპიტალით. იმდენად, რამდენადაც ბაზარზე არსებული პირობები ხშირად იცვლება, აქტივების მმართველი კომპანიისთვის არ არის შესაძლებელი, გააკეთოს პროგნოზი იმის თაობაზე, თუ ან როდის შეიძლება რომ ამგვარი ცვლილებები განხორციელდეს. იმ შემთხვევაში, თუკი სესხებიდან ზოგიერთი იქნება ვადამდე დაფარული, საინვესტიციო ფონდის რეალური საინვესტიციო შემოსავალი შესაძლებელია შემცირდეს მოსალოდნელთან შედარებით, თუკი დაბრუნებული კაპიტალი არ იქნება ხელახლა ინვესტირებული ტოლი ან უკეთესი შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებში.

- *ფონდმა შესაძლოა ინვესტიციები განახორციელოს ისეთი კომპანიების მიმართ არსებულ მოთხოვნებში, რომელიც შეიძლება იყოს დოლარიზებული და რომლებიც ატარებენ სავალუტო რისკებს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ასევე ფონდის რისკის პროფილზე მაღალი FX არასტაბილურობის შემთხვევაში.*

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ფონდი ზოგადად მიზნად ისახავს იმგვარი კომპანიების მიმართ არსებულ მოთხოვნებში ინვესტირებას, რომლებსაც, ფონდის აზრით, აქვს ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, ასეთი კომპანიები მაინც შესაძლოა ატარებდნენ სავალუტო რისკებს. კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, რომელთა მიმართ არსებულ მოთხოვნებშიც ინვესტიციებს ახორციელებს საინვესტიციო ფონდი, შესაძლოა გაუარესდეს, მათ შორის, სავალუტო ბაზრის არახელსაყრელად განვითარებისას. შედეგად, კომპანიებმა, რომლებისგანაც საინვესტიციო ფონდი ელოდება სტაბილურობას ან არსებულზე უკეთეს შედეგებს, შეიძლება ზარალზე გავიდნენ ან შეიძლება ქონდეთ მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები ფინანსურ შედეგებში. ასეთ კომპანიებს შესაძლოა დასჭირდეთ და მოითხოვონ მნიშვნელოვანი დამატებითი კაპიტალი თავიანთი ოპერაციების/საქმიანობის მხარდასაჭერად ან ბაზარზე კონკურენტული პოზიციის შესანარჩუნებლად.

ფონდის ინვესტორები ასევე ექვემდებარებიან FX რისკს, რადგან ფონდი ოპერირებას მოახდენს მხოლოდ აშშ დოლარში, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ინვესტორის ძირითადი ვალუტისგან და ინვესტორისთვის რეალიზდეს აშშ დოლართან დაკავშირებული რისკები.

ფონდში შესულმა ინვესტორებმა უნდა იცოდნენ, რომ ფონდის ვალუტა, რომელშიც გამოიხატება ერთეულების ფასი და ღირებულება და რომლითაც ხორციელდება გადახდები, აშშ დოლარია, რაც ფონდის ინვესტორებს აშშ დოლარის სავალუტო რისკების წინაშე აყენებს.

- *საინვესტიციო ფონდმა შესაძლებელია განახორციელოს ინვესტიციები მაღალი ლევერიჯის მქონე მსესხებლებში, რაც გაზრდის მის მოწყვლადობას უარყოფითი ეკონომიკური პირობების მიმართ და შესაძლებელია გამოიწვიოს საინვესტიციო დანაკარგი.*

მოსალოდნელია, რომ საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების შემადგენელი იქნება ისეთ მსესხებლებში ინვესტიცია, რომელთა კაპიტალის სტრუქტურებსაც აქვს მნიშვნელოვანი ლევერიჯი, რომლის დიდი ნაწილიც შესაძლებელია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე იყოს. ამგვარი მსესხებლების ლევერიჯიანი კაპიტალის სტრუქტურა გაზრდის მათი მოწყვლადობის დონეს ეკონომიკური ფაქტორების მიმართ, როგორებიცაა მზარდი საპროცენტო განაკვეთები, დადამავალი ეკონომიკური ტენდენციები ან მსესხებლის ან ინდუსტრიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული ფაქტორები და მოვლენები იჩენს თავს, ამ ლევერიჯმა შესაძლებელია გამოიწვიოს უფრო სერიოზული უარყოფითი შედეგები ასეთი კომპანიებისთვის (მათ შორის, საერთო მომგებიანობა და გადახდისუნარიანობა), ვიდრე ეს მოხდება ნაკლები ლევერიჯის მქონე კომპანიებთან მიმართებით. ლევერიჯის გამოყენებისას, მსესხებლებზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს მზლუდავი ფინანსური და საოპერაციო კოვენანტების შემცველი გარკვეული წესები და პირობები, რომლებმაც შესაძლებელია დააბრკოლოს მათი შესაძლებლობა დააფინანსონ ან სხვაგვარად განახორციელონ სამომავლო ოპერაციები ან სხვაგვარად გახადოს საჭირო დამატებითი კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილება. დამატებით, მზარდმა საპროცენტო განაკვეთებმა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაზარდოს მსესხებლის ან პროექტის საპროცენტო დანახარჯი, ან ინდუსტრიის მნიშვნელოვანმა დადამავალმა ტენდენციამ შესაძლებელია გავლენა იქონიოს კომპანიის მიერ დადებითი ფულადი სახსრების ნაკადების გენერირების შესაძლებლობაზე; რომელიმე ამ გარემოების შემთხვევაში კი შესაძლებელია კომპანიამ ვერ შეძლოს მისი გადაუხდელი ვალის დაფარვა. ლიკვიდური აქტივების შემთხვევაში, საინვესტიციო ფონდის ინვესტიციები შეიძლება იყოს ყველაზე ახალი დაფინანსება მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურაში. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი მსესხებელი ვერ მოახერხებს ადეკვატური ფულადი სახსრების ნაკადების გენერირებას სავალო ვალდებულებების დასაფარად, კომპანია მისი სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში დადებულ ვალდებულებებს ან იძულებული იქნება გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ, რასაც შედეგად მოჰყვება კომპანიის რესტრუქტურის ან ლიკვიდაცია და, საინვესტიციო ფონდმა, განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებს გააჩნია სუბორდინირებული ან/და არაუზრუნველყოფილი პოზიცია, შესაძლებელია განიცადოს კომპანიაში ინვესტირებული კაპიტალის სრული ან ნაწილობრივი დანაკარგი, რაც უარყოფითად აისახება საინვესტიციო ფონდის ამონგებზე.

- *პორტფელის კომპანიების ოპერაციებზე შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ფორს-მაჟორულმა მოვლენებმა, რაც გამოიწვევს ზიანს საინვესტიციო ფონდისა და მისი ინვესტიციებისთვის.*

მსესხებლებზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ფორს-მაჟორულმა მოვლენებმა (სხვაგვარად რომ ითქვას, მოვლენებმა, რომელიც ამ მხარის კონტროლს მიღმაა, როგორებიცაა, მათ შორის, შეუზღუდავად, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ინფექციური დაავადების გავრცელება, პანდემია ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა მსგავსი საკითხი, ომი, ტერორიზმი და შრომითი გაფიცვა). ზოგიერთმა ფორს-მაჟორულმა მოვლენამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს მხარის (მათ შორის, მსესხებლის ან საინვესტიციო ფონდის ან მსესხებლის კონტრაქტის) შესაძლებლობაზე, შეასრულოს მისი ვალდებულებები ფორს-მაჟორული მოვლენის აღმოფხვრამდე. დამატებით, მსესხებლის ან საინვესტიციო ფონდის მიერ ფორს-მაჟორული მოვლენის შედეგად დაზიანებული აქტივების შეცვლაზე ან შეკეთებაზე გაწეული ხარჯები შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი მოცულობის. ზოგიერთი ფორს-მაჟორული მოვლენა (როგორიცაა, მაგალითად, ომი ან ინფექციური დაავადების გავრცელება) შესაძლებელია იყოს უფრო ფართო მნიშვნელობით უარყოფითი გავლენის მქონე მსოფლიო ეკონომიკაზე და საერთაშორისო ბიზნეს აქტივობებზე, ან რომელიმე კონკრეტულ

ქვეყანაზე, რომელშიც ახორციელებს ინვესტიციას საინვესტიციო ფონდი. დამატებით, ინდუსტრიაში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა სამთავრობო ინტერვენციამ, მათ შორის, ინდუსტრიის ნაციონალიზაციამ ან ერთი ან რამდენიმე მსესხებლის ან მისი აქტივების მიმართ კონტროლის ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს დანაკარგი საინვესტიციო ფონდისათვის, მათ შორის, თუკი მისი ინვესტიცია ასეთ მსესხებელში არის გაუქმებული, დაუსრულებელი ან შექმნილი (რაც შესაძლებელია მოხდეს საინვესტიციო ფონდის მიერ ადეკვატურ კომპენსაციად აღქმული ოდენობისგან განსხვავებულად). ნებისმიერი ზემოთხსენებული შესაძლებელია იქნას უარყოფითი გავლენის მქონე საინვესტიციო ფონდისა და მისი ინვესტიციების მაჩვენებლებზე.

- **საინვესტიციო ფონდის ახლავს ლიკვიდურობის რისკი.**

საინვესტიციო ფონდი მოწყვლადია ლიკვიდურობის რისკის მიმართ, რაც თავს იჩენს მაშინ, როდესაც არსებობს შეუსაბამობა აქტივებისა და ვალდებულებების (ჩვეულებრივი გამოსყიდვის შეთავაზებები და ამონაგების განაწილება ინვესტორებზე) ვადამოსულობას შორის. ლიკვიდურობის რისკი არის თანდაყოლილი საინვესტიციო ოპერაციებისათვის და შესაძლებელია გაიზარდოს სხვადასხვა ფაქტორების გამო, მათ შორის, ზედმეტი დამოკიდებულება, ან წვდომის არ ქონა კონკრეტულ ინვესტიციაზე, ცვლილებები საკრედიტო რეიტინგებში და ბაზრის მასშტაბის მქონე მოვლენები, როგორცაა, მაგალითად, საფინანსო ბაზრის არასტაბილურობა. განვითარებადი ქვეყნის ფინანსურ ბაზრებზე კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორთა თავდაჯერებულობა. ამაზე მოქმედი ნებისმიერი ფაქტორი, მათ შორის, საკრედიტო რეიტინგების დაღმავალი ტენდენციები, სახელმწიფო ინტერვენციები და ვალის რესტრუქტურისა რელევანტურ ინდუსტრიაში, შესაძლებელია გავლენას ახდენდეს საინვესტიციო ფონდის ინვესტიციის ღირებულებასა ან/და ხელმისაწვდომობაზე. საინვესტიციო ფონდის ლიკვიდურობაზე გავლენა შეიძლება ასევე იქონიოს საფინანსო ბაზრის არახელსაყრელმა პირობებმა თუკი საინვესტიციო ფონდისთვის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად არსებული აქტივები გახდება არალიკვიდური, ან მათი ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება.

- **ერთეულების გამოშვებიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულების და ინვესტორის წილობრივი მონაწილეობის შემცირების რისკი (dilution risk)**

ვინაიდან აქტივების მმართველი წინამდებარე მემორანდუმის და წესდების შესაბამისად, ცალმხრივად არის უფლებამოსილი გამოუშვას ახალი ერთეულები, შესაძლოა ასეთი გამოშვებით შემცირდეს ერთეულის მფლობელის წილობრივი მონაწილეობა საინვესტიციო ფონდში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ახალი ერთეულის გამოშვებიდან მიღებული ინვესტიციები შესაძლოა ვერ განთავსდეს ფონდის მიმდინარე მომგებიანობის შესაბამის ინსტრუმენტებში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებული ინვესტორებისთვის ერთეულის ღირებულების შემცირება.

III. საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული სხვა რისკები:

- *იმის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო ფონდს არ ჰყავს საკუთარი პერსონალი, იგი დიდწილად არის დამოკიდებული აქტივების მმართველ კომპანიასა და მისი მენეჯმენტის გუნდზე.*

გამომდინარე იქედან, რომ საინვესტიციო ფონდს არ ჰყავს თავისი თანამშრომლები, იგი დამოკიდებულია აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანი კონტაქტების ქსელზე, უნარებზე და საინვესტიციო კვალიფიკაციაზე. აქტივების მმართველი კომპანია აფასებს, აწარმოებს მოლაპარაკებას, ახორციელებს სტრუქტურირებას, ასრულებს და მონიტორინგს უწევს საინვესტიციო ფონდის ინვესტიციებს. საინვესტიციო ფონდის სამომავლო წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აქტივების მმართველი კომპანიისა და მისი მენეჯმენტის გუნდის განგრძობად მომსახურებასა და კოორდინაციაზე. აქტივების მმართველი კომპანიის მენეჯმენტის გუნდიდან რომელიმე წევრის წასვლამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო ფონდის შესაძლებლობაზე, მიაღწიოს საინვესტიციო მიზანს.

საინვესტიციო ფონდის მიერ საინვესტიციო მიზნის მიღწევის შესაძლებლობა ობიექტურად არის დამოკიდებული აქტივების მმართველი კომპანიის შესაძლებლობაზე, მოახდინოს იდენტიფიცირება, განახორციელოს ანალიტიკა, ინვესტირება, ფინანსირება და მონიტორინგი იმ კომპანიებისა, რომელიც თანხვედრაშია საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო კრიტერიუმებთან. აქტივების მმართველი კომპანიის შესაძლებლობები საინვესტიციო პროცესის მენეჯმენტის თვალსაზრისით, კომპეტენტური, გულისხმიერი და სწრაფი სერვისის მიწოდება საინვესტიციო ფონდისათვის და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის პროცესის უზრუნველყოფა მისაღები პირობებით, დამოკიდებულია ადეკვატური რაოდენობის და ადეკვატური გამოცდილების მქონე ინვესტიციების პროფესიონალების დასაქმებაზე, რომლებიც ტრანზაქციების შესაბამის ნაკადებთან იქნება თანხვედრაში. საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო მიზნის მისაღწევად, აქტივების მმართველ კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს აყვანა, გაწვრთნა, ზედამხედველობა და მენეჯმენტი ახალი საინვესტიციო პროფესიონალებისა, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების შერჩევისა და მონიტორინგის პროცესში. აქტივების მმართველმა კომპანიამ შესაძლებელია ვერ მოახერხოს ამგვარი საინვესტიციო პროფესიონალების პოვნა დროულად, ან საერთოდ. საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო ფონდის მხარდაჭერის თვალსაზრისით ამგვრმა დაბრკოლებებმა შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო ფონდის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე.

- *საინვესტიციო ფონდის წარმატება დამოკიდებულია კონკრეტული პროფესიონალების უნარებსა და საკომუნიკაციო ქსელზე და არ არსებობს გარანტია, რომ აქტივების მმართველ კომპანიას ექნება ასეთი კვალიფიციური პერსონალის აყვანის და შენარჩუნების შესაძლებლობა.*

აქტივების მმართველი კომპანია დამოკიდებულია კონკრეტული პროფესიონალების საქმიანი კონტაქტების ქსელზე, უნარებზე და გულმოდგინებაზე. აქტივების მმართველი კომპანია, ამასთანავე, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სხვა ინვესტიციების პროფესიონალებზე წვდომაზე და ინფორმაციაზე და გარიგების ნაკადებზე, რომელსაც აღნიშნული ინვესტიციების პროფესიონალები დააგენერირებენ მათი საინვესტიციო და პორტფელის მენეჯმენტის საქმიანობის განხორციელების პროცესში. საინვესტიციო ფონდის წარმატება დამოკიდებულია ასეთი პერსონალის განგრძობად სერვისზე. აქტივების მმართველ კომპანიებთან ასოცირებული ინვესტიციების პროფესიონალები აქტიურად არიან ჩართული სხვა საინვესტიციო აქტივობებში, რომლებიც არ არის შემხებლობაში

საინვესტიციო ფონდთან და, შესაბამისად, არ შეეძლება მთელი თავიანთი დროითი რესურსის საინვესტიციო ფონდის საქმიანობისთვის დათმობა. აქტივების მმართველი კომპანიის რომელიმე უფროსი კადრის, ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ინვესტიციების პროფესიონალთა, ან აქტივების მმართველი კომპანიის აფილირებულ პირთა პარტნიორების მიერ დატოვებას შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა საინვესტიციო ფონდის შესაძლებლობაზე, მიაღწიოს საინვესტიციო მიზანს. პირები, რომლებიც ამჟამად არ არიან დაკავშირებული აქტივების მმართველ კომპანიასთან, შესაძლებელია სამომავლოდ იქნან ასოცირებული საინვესტიციო ფონდთან და საინვესტიციო ფონდის შედეგები დამოკიდებული იყოს ასეთი პირების გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე. დამატებით, არ არსებობს გარანტია, რომ აქტივების მმართველი კომპანიისთვის განგრძობითად იქნება ხელმისაწვდომი ასეთი ინვესტიციების პროფესიონალები და მისი აფილირებული პირების პარტნიორები და ინფორმაცია და გარიგების ნაკადები, რომლებიც გენერირებულია მისი აფილირებული პირების ინვესტიციების პროფესიონალების მიერ.

- *ერთეულები არ იქნება დაღისტული. საინვესტიციო ფონდის მიერ ინვესტორების ერთეულების ყოველდღიური გამოსყიდვის ვალდებულების არარსებობის ფარგლებში და საქართველოში არაფუნქციონირებადი მეორადი ბაზრის პირობებში, საინვესტიციო ფონდში ინვესტირება იქნება მეტად არალიკვიდური. არსებობს რისკი იმისა, რომ ერთეულების მეტად არალიკვიდურ ბაზარზე გაყიდვამ გამოიწვიოს მაღალი ლიკვიდურობის დისკონტი და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეამციროს გაყიდვით მისაღები შემოსავალი.*

საინვესტიციო ფონდი რეგისტრირებულია, როგორც ინტერვალური საინვესტიციო კომპანია. საინვესტიციო ფონდები მიჩნეულია დახურული ტიპის ფონდის ქვეკატეგორიად, რომელიც ინვესტორებს ერთეულის გამოსყიდვას სთავაზობს პერიოდულად (აღნიშნული საინვესტიციო ფონდის შემთხვევაში, წლიურად). დახურული ფონდი განსხვავდება ღია საინვესტიციო ფონდისაგან (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ერთობლივი ფონდი) იმით, რომ ინვესტორებს ერთეულების გამოსყიდვის უფლება ყოველდღიურად არ აქვთ. განსხვავებით ძირითადი დახურული ფონდებისგან, რომლებიც ლისტავენ მათ ერთეულებს ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, აღნიშნული საინვესტიციო ფონდი ამჟამად არ ისახავს მიზნად მისი ერთეულების სავაჭროდ დაშვებას ფასიანი ქაღალდების რომელიმე ბირჟაზე.

საინვესტიციო ფონდი ძირითადად განკუთვნილია გრძელვადიანი ინვესტორებისათვის. საინვესტიციო ფონდი არ ისახავს მიზნად, იყოს ტიპიურად ვაჭრობადი ინვესტიცია. არ არსებობს საინვესტიციო ფონდის ერთეულებისათვის მეორადი ბაზარი და საინვესტიციო ფონდს არ აქვს მოლოდინი, რომ ასეთი მეორადი ბაზარი იქნება განვითარებული. ინვესტორმა არ უნდა განახორციელოს ინვესტიცია საინვესტიციო ფონდში, თუკი ინვესტორს ესაჭიროება ლიკვიდური ინსტრუმენტი. საინვესტიციო ფონდი, ძირითადი პოლიტიკის შესაბამისად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ განახორციელებს გამოსყიდვის შეთავაზებებს არაუმეტეს დარჩენილი ერთეულების 10%-ის ოდენობაზე, მისი წმინდა აქტივის ღირებულებიდან გამომდინარე. ინვესტორებმა შესაძლებელია ვერ მოახერხონ ერთეულების გაყიდვა იმ დროს ან/და ოდენობით, რა დროსაც და ოდენობითაც მათ სურთ. მაშინაც კი, თუკი ერთეულის მფლობელები მოახერხებენ მეტად არალიკვიდურ მეორად ბაზარზე ერთეულების გაყიდვას, არსებობს რისკი, რომ მაღალი ლიკვიდურობის დისკონტი გავრცელდება მათზე და მნიშვნელოვნად შემცირებული შემოსავალი იქნება მიღებული ასეთი ტრანზაქციიდან.

- *საინვესტიციო შესაძლებლობები არის იშვიათი და არსებობს მაღალი კონკურენცია საფინანსო სექტორის მოთამაშეებში, რომელთაგანაც ზოგიერთი არის მეტად გამოცდილი და გააჩნია მეტი*

რესურსი. ამან შესაძლებელია იქონიოს უარყოფითი გავლენა საინვესტიციო ფონდის მაჩვენებლებზე.

საინვესტიციო ფონდი ინვესტიციებისათვის კონკურირებს როგორც სხვა საინვესტიციო ფონდებთან, ისე ფინანსური მომსახურების გამწევ უფრო ტრადიციულ კომპანიებთან, როგორცაა კომერციული ბანკები და დაფინანსების სხვა წყაროები. დამატებით, ალტერნატიული საინვესტიციო მექანიზმების, მაგალითად, ჰეჯ-ფონდების, მიერ ბოლო დროს დაწყებული იქნა ინვესტირება ისეთი მიმართულებებით, რომელიც აქამდე მათთვის დამახასიათებელი არ იყო. ამ სიახლეების შედეგად, საინვესტიციო შესაძლებლობებზე კონკურენცია გამწვავდა. საინვესტიციო ფონდის ბევრი კონკურენტი არის მნიშვნელოვნად დიდი მოთამაშე და შესაძლებელია გააჩნდეს ბევრად უკეთესი ფინანსური, ტექნიკური და მარკეტინგული რესურსი საინვესტიციო ფონდთან შედარებით. მაგალითად, ზოგიერთ კონკურენტს შესაძლებელია გააჩნდეს კაპიტალზე ნაკლები დანახარჯი და წვდომა დაფინანსების მეტ წყაროზე, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფონდისთვის. დამატებით, საინვესტიციო ფონდის ზოგიერთი კონკურენტი შესაძლებელია მეტად განიცდიდეს ამტანობას რისკის მიმართ და გააჩნდეს სხვაგვარი რისკის შეფასების აღქმა. აღნიშნული მახასიათებლები შესაძლებელია საინვესტიციო ფონდის კონკურენტებს აძლევდეს შესაძლებლობას, განიხილონ ინვესტიციების უფრო ფართო არჩევანი, დაამყარონ მეტი საქმიანი ურთიერთობა და გადაიხადონ კონკურენტული საფასური ინვესტიციებისათვის საინვესტიციო ფონდთან შედარებით. საინვესტიციო ფონდმა შესაძლებელია დაკარგოს მისი საინვესტიციო შესაძლებლობები, თუკი იგი არ გაუწევს კონკურენციას მისი კონკურენტის მიერ დასახელებულ ფასებს. იმ შემთხვევაში, თუკი საინვესტიციო ფონდი იძულებულია, რომ შეესაბამოს კონკურენტის ფასს, მან შეიძლება ვეღარ მიაღწიოს დადგენილ ამონაგებს მის ინვესტიციებზე ან გახდეს კაპიტალის დანაკარგის მნიშვნელოვანი რისკის მატარებელი. საინვესტიციო ფონდის კონკურენტების რაოდენობისა და სიდიდის მნიშვნელოვანმა ზრდამ შესაძლებელია საინვესტიციო ფონდი იძულებული გახადოს, დაეთანხმოს და მიიღოს ნაკლებად მიმზიდველი საინვესტიციო პირობები.

- ***საინვესტიციო ფონდის ამონაგებმა შესაძლებელია არ გაამართლოს ერთეულებში ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკები.***

არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების ამონაგები იქნება ერთეულებში ინვესტირების რისკის საპირწონე.

- ***ერთეულები არის შეთავაზებული „საუკეთესო ძალისხმევის“ პრინციპის საფუძველზე, თუმცა აღნიშნული არ არის გარანტია იმისა, რომ აქტივების მმართველი კომპანია შეძლებს სახსრების მოგროვებას.***

აღნიშნული შეთავაზება ხორციელდება „საუკეთესო ძალისხმევის“ პრინციპის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც აქტივების მმართველ კომპანიას მხოლოდ მოეთხოვება ის, რომ გამოიყენოს მისი საუკეთესო უნარები და ძალისხმევა ერთეულების გასაყიდად და არ აქვს რაიმე მყარი ვალდებულება, რომ შეიძინოს ერთეულები. თუკი შეთავაზების ოდენობის მაქსიმუმზე ნაკლები ოდენობით იქნა ერთეულები შესყიდული, საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების სხვადასხვა მსესხებელზე და ინდუსტრიაზე ალოკაციის შესაძლებლობა დაიკლებს და ასეთ ინვესტიციებზე მიღებული ამონაგები შესაძლებელია შემცირებული იქნას საინვესტიციო ფონდის ხარჯების მცირე კაპიტალის ზაზაზე ალოკაციის შედეგად.

- *აქტივების მმართველმა კომპანიამ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს ბროკერ-დილერების ადეკვატური ოდენობის საკომუნიკაციო ქსელი.*

საინვესტიციო ფონდის განგრძობადი შეთავაზების წარმატება და, შესაბამისად, საინვესტიციო ფონდის შესაძლებლობა, განახორციელოდეს საინვესტიციო მიზნებისა და სტრატეგიების იმპლემენტირება, დამოკიდებულია აქტივების მმართველი კომპანიის შესაძლებლობაზე, ჩამოაყალიბოს, განახორციელოს ფუნქციონირება და შეინარჩუნოს ერთეულების გასაყიდად შერჩეული ბროკერ-დილერების საკომუნიკაციო ქსელის. აქტივების მმართველი კომპანიის მიერ აღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში, საინვესტიციო ფონდმა შესაძლებელია ვერ შეძლოს დასახული საინვესტიციო მიზნებისა და სტრატეგიის იმპლემენტირებისათვის ადეკვატური შემოსავლის მიღება საინვესტიციო ფონდის მიერ განგრძობადად კერძო შეთავაზების ფარგლებში. საინვესტიციო მიზნებისა და სტრატეგიების იმპლემენტაციის განხორციელებაში წარუმატებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს ინვესტორისათვის საინვესტიციო ფონდში მისი ინვესტიციის სრულად ან ნაწილობრივი დაკარგვა.

- *საინვესტიციო ფონდის პორტფელური ინვესტიციებისათვის საჯარო ბაზრის არ არსებობის გამო, აქტივების მმართველ კომპანიას მოუწევს საინვესტიციო ფონდის ერთეულების შეფასება სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელმაც, გამომდინარე შერჩეული მეთოდოლოგიიდან და სხვა ფაქტორებიდან, შესაძლებელია გამოიწვიოს ინვესტიციის მეტ ან ნაკლებ ფასად შეფასება.*

საინვესტიციო ფონდი ვალდებულია, განახორციელოს მისი პორტფელური ინვესტიციები საბაზრო ღირებულებით და, იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს უკვე დადგენილი საბაზრო ღირებულება, სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო ფონდის მიერ პოტენციურად ინვესტირებადი სესხებისათვის არ არსებობს საჯარო ბაზარი.

საინვესტიციო ფონდების ინვესტიციების დიდი ნაწილი მოსალოდნელია, რომ შეფასებული იქნება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად გამოყენებული გარკვეული ფაქტორები შესაძლებელია მოიცავდეს ნებისმიერი უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და რეალიზებად ღირებულებას, პორტფელის კომპანიის შემოსავალს და გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით მისი გადახდის შესაძლებლობას, ბაზარს, რომელზეც პორტფელის კომპანია ოპერირებს, შერჩეული საჯაროდ ვაჭრობადი კომპანიების შედარებას, დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს და სხვა რელევანტურ ფაქტორებს. ამგვარი ფასიანი ქაღალდების შეფასების პროცესში გამოყენებული ფაქტორები და მეთოდოლოგიები არ წარმოადგენს ამ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების ინდიკატორს და, ამასთან, არ შეიძლება მიჩნეული იქნას, რომ საინვესტიციო ფონდს შეუძლია ფასიანი ქაღალდისათვის მინიჭებული სამართლიანი ღირებულების რეალიზება, თუკი საჭირო გახდება ამ ფასიანი ქაღალდის გაყიდვა. ამგვარი შეფასებების გამო, უფრო კონკრეტულად კი, კერძო ფასიანი ქაღალდებისა და კერძო კომპანიების შეფასების გამო, რაც თანდაყოლილად არის არაზუსტი ბუნების, შეფასებები ხშირად მხოლოდ ასეთი კომპანიების კონკრეტული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის და ბიზნეს საქმიანობის შესახებ აქტივების მმართველი კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის ამსახველია, რაც შეიძლება იყოს მომველებული და, შესაბამისად, განიცადოს რყევა დროთა განმავლობაში და ვარაუდების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების დადგენა შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ ღირებულებებისგან, რომლებიც იქნებოდა გამოყენებული ამგვარი ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობის შემთხვევაში და პირობებში.

კერძო კომპანიებში ინვესტიციები ძირითადად ექვემდებარება არასტანდარტიზირებულ, მოლაპარაკების საფუძველზე შემუშავებულ საკრედიტო ხელშეკრულებებსა და კოვენანტებს, და ამ ხელშეკრულებებით გაითვალისწინებული რეპორტირების მოთხოვნები შესაძლებელია იწვევდეს დროში დაყოვნებას გამსესხებლის ფინანსური მდგომარეობის რეპორტირებისათვის, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს იმდენად, რამდენადაც საინვესტიციო ფონდის ინვესტიციები შეფასებული იქნება რეპორტებში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე. დამატებით, საინვესტიციო ფონდის შეთავაზება ხდება ყოველთვიურად, ემისიის დღისთვის დათვლილი NAV-ით თითოეულ ერთეულზე. აქტივების მმართველი კომპანია მიზნად ისახავს, შეფასოს საინვესტიციო ფონდის პორტფელის კომპანიებზე მატერიალური ინფორმაცია ყოველთვიურად; მიუხედავად ამისა, მითითებული მიზეზებიდან გამომდინარე, აქტივების მმართველმა კომპანიამ შესაძლებელია ვერ მიიღოს წვდომა ან/და შეაფასოს ასეთი ინფორმაცია ყოველთვიურად. აღნიშნული სხვადასხვა ფაქტორის გამო, საინვესტიციო ფონდის სამართლიანი ღირებულების დადგენამ შეიძლება გამოიწვიოს საინვესტიციო ფონდის NAV-ის რომელიმე კონკრეტულ დღეს მნიშვნელოვნად გაზრდილი ან შემცირებული ღირებულებით დადგენა. შედეგად, ინვესტორებმა, რომელიც შეიძენენ ერთეულებს, შესაძლებელია მიიღონ მეტი ან ნაკლები ერთეულები და ინვესტორებმა, რომლებიც ერთეულებს გაყიდნან, შესაძლებელია მიიღონ მეტი ან ნაკლები შემოსავალი, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

- ***საინვესტიციო ფონდის საქმიანობა მოწყვლადია კიბერუსაფრთხოების რისკების მიმართ, რომლის დაზღვევის შესაძლებლობაც მას შეიძლება არ ჰქონდეს რესურსების არ ქონის ან მომსახურების გამწევ მესამე მხარეებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე.***

კიბერუსაფრთხოების ინციდენტები და კიბერ-შეტევები თავს იჩენს გლობალურად უფრო გახშირებული და გამწვავებული ხარისხით და მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ მათი სიხშირე იმატებს. აქტივების მმართველი კომპანია ხვდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საშიშროებას რეგულარულად, მათ შორის, მიმდინარე კიბერუსაფრთხოების საშიშროებას და შეტევებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც გამიზნულია სხვის საკუთრებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის მოსაპოვებლად და მისი სისტემებისა და ბაზების გასანადგურებლად, გასათიშად, მწყობრი ფუნქციონირების მოსაშლელად. აღნიშნული კიბერუსაფრთხოების საშიშროებები შესაძლებელია მომდინარეობდეს არაერთი სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, აქტივების მმართველი კომპანიისთვის გარე მესამე უცნობი მხარიდან. მიუხედავად იმისა, რომ აქტივების მმართველი კომპანიისათვის ამჟამად არ არის ცნობილი, რომ მის მიმართ განხორციელებული იქნა მსგავსი კიბერ შეტევა და სხვა ტიპის კიბერ ინციდენტი, რომელიც, ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებდა მის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ამგვარი საშიშროებების მიტიგაციისათვის არსებული სხვადასხვა პროცედურა და კონტროლის სისტემები საკმარისი იქნება მისი სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

აქტივების მმართველი კომპანიისა და მსესხებლის ინფორმაციული და ტექნოლოგიური სისტემები შესაძლებელია მოწყვლადი იყოს კომპიუტერული ვირუსების, ქსელური დაზიანებების, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციის გაუმართავობის, არავტორიზებულ პირთა მიერ მათი ინფილტრაციის და დაცვის სისტემის დაზიანების, შესაბამისი პროფესიონალების მიერ მოხმარების შეცდომების, ელექტროენერჯის წყვეტის და ისეთი კატასტროფების მიმართ, როგორებიცაა ხანძარი, ტორნადო, წყალდიდობა, ქარიშხალი და მიწისძვრა.

დამატებით, საინვესტიციო ფონდი მნიშვნელოვნად ეყრდნობა აქტივების მმართველი კომპანიის და მესამე მხარეთა ფინანსური, სააღრიცხვო, საინფორმაციო და სხვა მონაცემთა დამუშავების სისტემებს. ამ სისტემების ნებისმიერი ხარვეზი ან გაუმართავობა, მათ შორის, რომელიც გამოწვეულია სერვისის მომწოდებელ ნებისმიერ მესამე მხარესთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტით, შესაძლებელია იწვევდეს დაყოვნებას და სხვა პრობლემებს მის საქმიანობაში. თუკი რომელიმე ამ სისტემათაგანი არ ოპერირებს გამართულად, ან არის გათიშული ნებისმიერი მიზეზით, ან არის მონაცემთა ნებისმიერი არაავტორიზებული გამჟღავნება, იქნება ეს მონაცემთა ფალსიფიცირების, მისი საინფორმაციო ქსელური სისტემების დარღვევით, კიბერ შეტევით თუ სხვაგვარად გამოწვეული, შესაძლებელია იყოს საინვესტიციო ფონდის ან/და აქტივების მმართველი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის მომტანი, გამოიწვიოს გაზრდილი დანახარჯები, საქმიანობის შეფერხება, პასუხისმგებლობა მისი ინვესტორების მიმართ, რეგულატორული ინტერვენციები და რეპუტაციული ზიანი. დამატებით, აქტივების მმართველი კომპანია ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც იგი დიდწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებსა და ტექნოლოგიებზე. ინფორმაციულმა სისტემებმა და ტექნოლოგიამ, რომელსაც აქტივების მმართველი ეყრდნობა, შესაძლებელია ვერ მოახერხოს მის ზრდასთან შესაბამისობა და ამგვარი სისტემების შენარჩუნების ხარჯები შესაძლებელია არსებულთან შედარებით გაიზარდოს, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო ფონდზე ან/და აქტივების მმართველი კომპანიაზე.

კიბერუსაფრთხოების ინციდენტს შესაძლებელია ჰქონდეს არაერთი უარყოფითი ეფექტი, მათ შორის, საინვესტიციო ფონდის განსახორციელებელ ოპერაციებზე, ლიკვიდურობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. კიბერ საშიშროებებმა ან/და ინციდენტებმა შესაძლებელია საინვესტიციო ფონდის აქტივების (მათ შორის, სხვის საკუთრებაში არსებული ინფორმაციისა და ინტელექტუალური საკუთრების) მოპარვით გამოიწვიოს ფინანსური ხარჯები, ისევე, როგორც წინასწარ განუჭვრეტელი ხარჯები, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ: სამართალწარმოების ხარჯები, პრევენციული და დაცვის ზომების მისაღებად საჭირო ხარჯები, პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯები და რეპუტაციულ ზიანთან დაკავშირებული ხარჯები, რომელთაგან ნებისმიერმა შესაძლებელია იქონიოს უარყოფითი გავლენა საინვესტიციო ფონდზე. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საინვესტიციო ფონდი შეძლებს ამგვარი ინციდენტების პრევენციასა და მიტიგაციას. თუ ამგვარი მოვლენების თანხმლები რისკის სამართავი სისტემები და ღონისძიებები მოხვდება რისკის ქვეშ, ხანგრძლივი დროით გახდება არაოპერირებადი ან შეწყვეტს გამართულად ფუნქციონირებას, აქტივების მმართველი კომპანიას, საინვესტიციო ფონდს ან/და მსესხებელს შეიძლება მოუწიოთ მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება მათ შესაკეთებლად ან ჩასანაცვლებლად. ამგვარი სისტემების ან/და აღმოფხვრის მექანიზმების ნებისმიერი მიზეზით გაუმართავობამ შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შეფერხება აქტივების მმართველი კომპანიის, საინვესტიციო ფონდის ან/და მსესხებლის საქმიანობაში და, შედეგად, ვერ მოხდეს სენსიტიური ინფორმაციის, მათ შორის, ინვესტორებთან (და ინვესტორების ბენეფიციარ მფლობელებთან) დაკავშირებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის ან საიდუმლოების შენარჩუნება.

დამატებით, საინვესტიციო ფონდი ან აქტივების მმართველი კომპანია შესაძლებელია არ იყოს იმ მდგომარეობაში, რომ დაადასტუროს რისკის არსებობა ან ისეთი მესამე მხარეთა სანდოობა, რომელზეც იქნება დამოკიდებული და რომელიც იქნება აქტივების მმართველი კომპანიის ან/და საინვესტიციო ფონდის ოპერაციებთან შემხებლობაში და რომელთა შორის არის, საინვესტიციო ფონდის ადმინისტრატორი და სხვა სერვისის მომწოდებლები. საინვესტიციო ფონდმა შესაძლებელია განიცადოს უარყოფითი გავლენა ასეთი მესამე მხარეთა ქმედებების, შეცდომების და ქმედების განუხორციელებლობის გამო, და ექნება ვალდებულებები, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები და შეზღუდული რეგრესის უფლება მათ მიმართ.

- **საინვესტიციო ფონდის ან/და აქტივების მმართველი კომპანიის რისკის მენეჯმენტის პოლიტიკები და პროცედურები შესაძლებელია ეფექტურად ვერ ახორციელებდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციას.**

საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული დანაკარგები შესაძლებელია წარმოიშვას, თუკი საინვესტიციო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის მიერ საკრედიტო რისკის მიტიგაციისა და საკრედიტო დანაკარგისაგან დაცვისათვის იმპლემენტირებული რისკის მართვის პოლიტიკები, პროცედურები და შეფასების მეთოდები იქნება მოსალოდნელზე ნაკლებად ეფექტური. აქტივების მმართველი კომპანია რისკის მართვისთვის იყენებს თვისობრივ ინსტრუმენტებს და მაჩვენებლებს, რომლებიც ეფუძნება ბაზრის ქცევაზე ისტორიულ დაკვირვებას. აღნიშნული ინსტრუმენტები და განზომილებებით შესაძლებელია ვერ იქნას უზრუნველყოფილი სამომავლო რისკის განჭვრეტა, განსაკუთრებით კი გაზრდილი რყევების და შეფასებათა ვარდის პერიოდში, ან პერიოდში, როდესაც საინვესტიციო ფონდის პორტფელის სწრაფი ზრდა ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ფონდი მოითხოვს ფინანსური ინფორმაციის რეგულარულ გამჟავნებას მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე, ფინანსური ანგარიშგებები ყოველთვის შეიძლება არ ასახავდეს სრულ და ზუსტ სურათს თითოეულ მომხმარებელთან მიმართებით. ზოგიერთი ინვესტიცია შესაძლებელია არ იყოს მზარდი ან მისი საკრედიტო ისტორია არ იყოს გარე პირთა მიერ დადასტურებული ან მათი ანგარიშები შეიძლება კარგი რეპუტაციის მქონე გარე აუდიტის მიერ არ იყოს აუდიტირებული. შესაბამისად, მიუხედავად საინვესტიციო ფონდის საკრედიტო რისკის შეფასების და რისკის მენეჯმენტის პროცედურებისა, შესაძლებელია, ვერ იქნას უზრუნველყოფილი თითოეული შესაძლო მომხმარებლის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის და ასეთი მომხმარებლის მიერ ვადამოსულობის შემთხვევაში სესხის დაფარვის შესაძლებლობის ეფექტური შეფასება. ნებისმიერი ფორმით რისკის გაზომვისა და მართვის ვერ უზრუნველყოფას შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საინვესტიციო ფონდის საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე.

- **საინვესტიციო ფონდი მოწყვლადია საოპერაციო რისკის მიმართ, რომელიც თან ახლავს მის მიერ ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებას და კონკრეტული ფუნქციების თვალსაზრისით მის მიერ მესამე მხარეზე დამოკიდებულებას.**

საინვესტიციო ფონდი რეგულარულად ახორციელებს ტრანზაქციებს, რის გამოც იგი ატარებს რისკს, განიცადოს დანაკარგი შიდა პროცესების ან ადამიანური შეცდომის, დამუშავების პროცესში დაყოვნებების ან/და სისტემის გაუმართავობის გამო, რომელთაგან ნებისმიერმა შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები ან რეგულატორული ჯარიმები. საინვესტიციო ფონდი გარკვეული მნიშვნელოვანი ქმედებების განხორციელებაში ასევე ეყრდნობა მესამე მხარეებს.

ნებისმიერმა გაუმართავობამ საინვესტიციო ფონდის რისკის მართვის სისტემებში შიდა პროცესების, ადამიანური შეცდომის ან გარე წყაროზე ფუნქციის დელეგირებით მესამე მხარეთა მიერ მნიშვნელოვანი მოქმედების განხორციელების პროცესში ხარვეზის რისკის სამართავად შესაძლებელია იქონიოს მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა საინვესტიციო ფონდის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე.

- *სინდიცირებული კრედიტის დეფოლტისას, კრედიტორების დაკმაყოფილებისას საინვესტიციო ფონდის მოთხოვნები შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების დაკმაყოფილების შემდეგ*

სინდიცირებული კრედიტები შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს იპოთეკის/გირავნობის უფლებით, თუმცა საინვესტიციო ფონდის მოთხოვნები იპოთეკის/გირავნობის უფლებით დატვირთული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება ამ ქონებაზე არსებული საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფილი ვალდებულებები.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე პირის ქონების მიმართ რეგისტრირებულია საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის უფლება და ხდება ამ ქონების რეალიზაცია, ამოღებული თანხით პირველ რიგში დაკმაყოფილდება ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილი ვალდებულების ნაწილში, ხოლო შემდეგ – საგადასახადო დავალიანების მოთხოვნა.

ვინაიდან სინდიცირების შემთხვევაში საინვესტიციო ფონდი მონაწილეობს კორპორატიული საბანკო კრედიტების დაფინანსებაში და საინვესტიციო ფონდის სახსრებით არაპირდაპირ ხდება კორპორატიული საბანკო კრედიტების დაფინანსება, და საინვესტიციო ფონდი, თავის მხრივ, არ წარმოადგენს არც ერთ იმ სუბიექტს, რომლის სასარგებლოდაც რეგისტრირებულ იპოთეკის/გირავნობის უფლებას ექნებოდა უპირატესობა შესაბამის ქონებაზე არსებულ საგადასახადო გირავნობასთან/იპოთეკასთან მიმართებით, საინვესტიციო ფონდის მოთხოვნები იპოთეკის/გირავნობის უფლებით დატვირთული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება ამ ქონებაზე არსებული საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოფილი ვალდებულებები (შესაძლოა მოთხოვნების დაფარვა მოხდეს შემდეგი რიგითობით - კომერციული ბანკის მოთხოვნები, საგადასახადო დავალიანება და შემდგომ საინვესტიციო ფონდის მოთხოვნები).

საინვესტიციო რისკის აპეტიტი და ლიმიტები

საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო რისკის სამართავად აქტივების მმართველი კომპანია განსაზღვრავს რისკის აპეტიტის დონეებს, რომელიც ქვემოთ არის მითითებული. რისკის აპეტიტის განსაზღვრა გულისხმობს **საინვესტიციო ფონდში** არსებული მატერიალური რისკების მიმართ წინასწარ შემუშავებულ საერთო რისკის დონის განსაზღვრას, რომლის ადების სურვილიც აქვს **საინვესტიციო ფონდს**, არსებული რისკების მართვისა და კონტროლის გარემოს გათვალისწინებით.

აქტივების მმართველი კომპანიის მიერ რისკის აპეტიტის დონეების დაცვის ხელშესაწყობად, **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭო **აქტივების მმართველ კომპანიას** განუსაზღვრავს საინვესტიციო რისკის ლიმიტებს (ლიმიტების სტრუქტურას). ლიმიტების სტრუქტურა განისაზღვრება რისკის აპეტიტთან შედარებით მაღალ დონეზე, რათა არსებობდეს გარკვეული ტიპის დამცავი ზონა (ბუფერული ზონა) რისკის აპეტიტის მიმართ. **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭომ, ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, შესაძლოა ნებისმიერ დროს შეცვალოს

ლიმიტების სტრუქტურა (მათ შორის, გაამკაცროს ან შეამსუბუქოს (მათ შორის შეუზღუდავად, რისკის აპეტიტით განსაზღვრულ დონემდე)), თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ლიმიტების სტრუქტურა არ იქნება იმაზე უფრო მსუბუქი, ვიდრე რისკის აპეტიტით განსაზღვრული დონეებია.

აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს სუბიექტური ეკონომიკური ხედვების შესაბამისად, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, შეუძლია შეცვალოს/დაამატოს/გააუქმოს რისკის ლიმიტები ფონდის საინვესტიციო მიზნების და რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინებით, **ერთეულის მფლობელების** თანხმობის გარეშე.

ლიმიტების სტრუქტურა არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი **ერთეულის მფლობელების** მიმართ და აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი. ლიმიტების სტრუქტურის დაცვაზე **აქტივების მმართველი კომპანია** და მისი მმართველობითი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და აღნიშნული ლიმიტების დაცვის ვალდებულება არ არსებობს **ერთეულის მფლობელთა** მიმართ. ლიმიტების სტრუქტურის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო, საკუთარი შეხედულებისამებრ, იღებს გადაწყვეტილებას ასეთ დარღვევასთან მიმართებით რეაგირებასთან დაკავშირებით, რაც, მათ შორის შეუზღუდავად, მოიცავს ასეთი დარღვევისგან **აქტივების მმართველი კომპანიის** გათავისუფლებას და მის პატიებას (ე.წ. ვეივერს).

რისკის ლიმიტების დარღვევის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ ეცნობება **აქტივების მმართველი კომპანიის** საინვესტიციო კომიტეტს.

ლიმიტების სტრუქტურის და რისკის აპეტიტის დასაშვებ ფარგლებში შესანარჩუნებლად **აქტივების მმართველი კომპანია** მოახდენს ლიკვიდური სახსრების აკუმულირებას, რომელიც გამოყენებულ იქნება რეზერვაციების მიზნებისათვისაც.

იმ შემთხვევაში, თუ დროის ნებისმიერ მომენტში არ ხორციელდება ისეთი **კორპორატიული საბანკო კრედიტების** მიმართ **სინდიცირება**, რომ შენარჩუნებული იყოს Level-ების ის კოეფიციენტი (რომელიც განსაზღვრულია ლიმიტების სტრუქტურით ან/და რისკის აპეტიტით) იმის გამო, რომ შეიცვალა კონკრეტული საკრედიტო მოთხოვნის Level-ი, **აქტივების მმართველი კომპანია** მიიღებს შესაბამის ზომებს როგორც რისკის აპეტიტით, ასევე რისკის ლიმიტებით გათვალისწინებული Level-ების შესანარჩუნებლად, თუმცა ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, **აქტივების მმართველმა კომპანიამ** შესაძლოა ვერ უზრუნველყოს აღნიშნული Level-ების შენარჩუნება **ფონდის** არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ან მათი აღდგენა ასეთი Level-ების დარღვევის შემთხვევაში.

რისკის აპეტიტის მართვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- რისკის ტაქსონომიის ჩამოყალიბება და **საინვესტიციო ფონდის** მართვის პროცესთან დაკავშირებული რისკების აღწერა;
- რისკების შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება;
- რისკის მაქსიმალური დონის შეფასება (რისკის ამტანუნარიანობა);
- რისკის აპეტიტის შეფასება (**საინვესტიციო ფონდის** მიზნების მისაღწევად განსაზღვრული მაქსიმალური რისკის დონე, რომელიც ნაკლებია რისკის ამტანუნარიანობაზე და ქმნის გარკვეულ დამცავ ზოლს);
- რისკის ლიმიტების დაწესება, რათა მოხდეს **საინვესტიციო ფონდის** რისკის პროფილის შენარჩუნება სტრატეგიულად განსაზღვრულ რისკის აპეტიტის ფარგლებში;
- რისკის მიმდინარე დონის შეფასება და ანგარიშგება;

- რისკის ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში სამოქმედო გეგმის გაწერა.

საინვესტიციო რისკის მართვა

ეს თავი აღწერს საჭირო ზომებს, რომლებიც აქტივების მმართველმა კომპანიამ უნდა მიიღოს კორპორატიული საბანკო კრედიტების პორტფელთან დაკავშირებული რისკების გაზომვის, შეფასების, კონტროლისა და ანგარიშგების მიზნებისთვის. ამით აქტივების მმართველ კომპანიას მოცემული ექნება საინვესტიციო ფონდის რისკის აპეტიტი და შეძლებს მართოს ფონდის პორტფელი, რათა მიაღწიოს ფონდის მიზნებს შესაბამისი რისკის აპეტიტის გათვალისწინებით.

ეს პროცესი შედგება სულ მცირე შემდეგი ძირითადი ნაბიჯებისგან:

- რისკის აპეტიტის დადგენა და შესაბამისი ცვლადების განსაზღვრა აპეტიტის გასაზომად.
- რისკის აპეტიტის დასაცავად ლიმიტების სტრუქტურის შემოღება.
- რისკებზე დაფუძნებული საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესი:
 - სინდიცირებამდე კორპორატიული საბანკო კრედიტის შიდა სისტემით საკრედიტო რეიტინგის მინიჭება.
 - სინდიცირებამდე მოწმდება DSCR მინიმალური ზღვარი შესაბამისი კორპორატიული საბანკო კრედიტისთვის.
 - სინდიცირებამდე მოწმდება DEBT/EBITDA სექტორული ლიმიტები შესაბამისი კორპორატიული საბანკო კრედიტისთვის.
 - სინდიცირებამდე მოწმდება დეფოლტის ალბათობის ლიმიტი შესაბამისი კორპორატიული საბანკო კრედიტის და პორტფელის ჭრილში.
 - სინდიცირებამდე მოწმდება საკრედიტო რეიტინგის ლიმიტები პორტფელის ჭრილში.
 - თუ შესაბამისი კორპორატიული საბანკო კრედიტი ჯდება ფონდის რისკის აპეტიტში და არ არღვევს შესაბამის ლიმიტებს, სინდიცირებამდე ხდება კორპორატიული საბანკო კრედიტის შემოწმება ფონდის ლიკვიდობის მიზნებისთვის. კორპორატიული საბანკო კრედიტიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უნდა შეესაბამებოდეს ფონდის ლიკვიდობის მოთხოვნილებას საკომისიოების, სხვა ხარჯების და ყოველწლიური მინიმალური გამოსყიდვის შესახებ. თუ ფონდის ლიკვიდობის პროფილსაც შეესაბამება ან სულ მცირე არ აზიანებს მოსალოდნელ შემოდინებებს ხდება კორპორატიული საბანკო კრედიტის მომგებიანობის შეფასება და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება (სინდიცირების განხორციელება).
- პორტფელის მონიტორინგი:
 - ფონდის NAV-ის შეფასება.
 - პორტფელში შემავალი მოვალეების/მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის ყოველკვარტალური შეფასება.
 - შესაბამისი ლიმიტების კვარტალური შეფასება.
- პორტფელის რისკის და შემოსავლიანობის ანგარიშგება შესაბამის ერთეულის მფლობელებთან.

რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტი, რომელიც მისაღებია **ფონდის** საინვესტიციო მიზნების მისაღწევად და შესაბამისი ცვლადები, რომლითაც ხდება რისკის აპეტიტის გაზომვა/კონტროლი განისაზღვრება წინამდებარე **მემორანდუმით**.

აქტივების მმართველი კომპანია მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა **საინვესტიციო ფონდმა** დაიცვას შემდეგი რისკის აპეტიტის დონეები:

- მინიმალური DSCR აპეტიტი კონკრეტული **კორპორატიული საბანკო კრედიტისთვის** არის 1.0 **სინდიცირებამდე**;
- მაქსიმალური დეფოლტის ალბათობის აპეტიტი კონკრეტული **კორპორატიული საბანკო კრედიტისთვის** შეადგენს 10%-ს **სინდიცირებამდე**;
- **სინდიცირების** შედეგად მინიმალური პორტფელის პროპორცია Level-1² **სინდიცირებული კრედიტისთვის** უნდა იყოს სულ მცირე 10%;
- **სინდიცირების** შედეგად მაქსიმალური პორტფელის პროპორცია Level-2 **სინდიცირებული კრედიტისთვის** არ უნდა აღემატებოდეს 70%-ს;
- **სინდიცირების** შედეგად მაქსიმალური პორტფელის პროპორცია Level-3 **სინდიცირებული კრედიტისთვის** არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს.
- მაქსიმუმი ლიმიტი კონკრეტული **კორპორატიული საბანკო კრედიტის** მიმართ **სინდიცირებისთვის** შეადგენს **კორპორატიული საბანკო კრედიტის** სრული მოცულობის მაქსიმუმ 60%-ს;
- კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორში **საინვესტიციო ფონდის** კონცენტრაციის ლიმიტი არის საინვესტიციო პორტფელის მაქსიმუმ 50% შესაბამისი სექტორისთვის;
- მსესხებლის შესაბამისი ჯგუფის მიმართ მაქსიმალური კონცენტრაციის ლიმიტი არ გადააჭარბებს 35%;
- პორტფელში შემავალ ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ობლიგაციის კონცენტრაციის ლიმიტი არ გადააჭარბებს 15%.

იმ შემთხვევაში თუ დროის ნებისმიერ მომენტში დაირღვევა პორტფელის პროპორცია საკრედიტო მოთხოვნების Level-ების მიმართ შესაბამისი კრედიტების Level-ის ცვლილების გამო, **აქტივების მმართველი კომპანია** მიიღებს შესაბამის ზომებს როგორც რისკის აპეტიტით, ასევე რისკის ლიმიტებით გათვალისწინებული Level-ების შესანარჩუნებლად როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე დოკუმენტში, თუმცა, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **აქტივების მმართველმა კომპანიამ** შესაძლოა ვერ უზრუნველყოს აღნიშნული Level-ების შენარჩუნება **ფონდის** არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ან მათი აღდგენა ასეთი Level-ების დარღვევის შემთხვევაში.

ლიმიტების სტრუქტურა

მიმდინარე ლიმიტების სტრუქტურა არის შემდეგი:

² რისკის კატეგორიზება ხდება შიდა საკრედიტო სისტემით, სადაც Level-1 დაბალი რისკის მატარებელი კრედიტია, რომელიც შესაბამისა კრედიტებს რომელთა დეფოლტის ალბათობა არის 0.8% მდე, და ყოველ შემდეგ კატეგორიაში მაგალითად Level-2-ში ვარდება უფრო მაღალი რისკის კრედიტები, რომელთა დეფოლტის ალბათობა არის 0.8%-დან 4%-ის ჩათვლით. ხოლო Level-3 კრედიტების დეფოლტის ალბათობა აღემატება 4%-ს. ეს მაჩვენებლები დროთა განმავლობაში შეიძლება გადაიხედოს მონაცემების განახლების მიხედვით, თუმცა საშუალოდ ამ მაჩვენებლებთან ახლოს დარჩება.

- **სინდიცირებამდე** მინიმალური DSCR ლიმიტი კონკრეტული კორპორატიული საბანკო კრედიტისთვის უნდა იყოს 1.0;
- **სინდიცირებამდე** DEBT/EBITDA მაქსიმალური ლიმიტები ეკონომიკური სექტორის მიხედვით კონტროლდება აქტივების მმართველი კომპანიის მიერ შესაბამის სექტორებში ეკონომიკურ მდგომარეობის გათვალისწინებით;
- **სინდიცირებამდე** მაქსიმალური დეფოლტის ალბათობის ლიმიტი კონკრეტული კორპორატიული საბანკო კრედიტისთვის უნდა შეადგენდეს 5%-ს;
- მაქსიმალური დეფოლტის ალბათობის ლიმიტი პორტფელისთვის არ უნდა იყოს 5%-ზე მეტი ყოველი კონკრეტული სინდიცირების შედეგად;
- **სინდიცირების** შედეგად მინიმალური პორტფელის პროპორციის ლიმიტი Level-1 სინდიცირებული კრედიტისთვის არის სულ მცირე 20%;
- **სინდიცირების** შედეგად მაქსიმალური პორტფელის პროპორციის ლიმიტი Level-2 სინდიცირებული კრედიტისთვის არის 60%;
- **სინდიცირების** შედეგად მაქსიმალური პორტფელის პროპორციის ლიმიტი Level-3 სინდიცირებული კრედიტისთვის არის 20%;
- მაქსიმუმი ლიმიტი კონკრეტული კორპორატიული საბანკო კრედიტის მიმართ სინდიცირებისთვის შეადგენს კორპორატიული საბანკო კრედიტის სრული მოცულობის მაქსიმუმ 45%-ს;
- კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორში კონცენტრაციის ლიმიტი არის პორტფელის მაქსიმუმ 40% შესაბამისი სექტორისთვის;
- მსესხებლის შესაბამისი ჯგუფი მიმართ მაქსიმალური კონცენტრაციის ლიმიტი არის 25%;
- პორტფელში შემავალ ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ობლიგაციის კონცენტრაციის ლიმიტი არის 10%.

რისკის ლიმიტები დაცული იქნება **საინვესტიციო ფონდის** მიერ ინვესტიციის განხორციელებისას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ერთეულის მფლობელი** ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ შესაძლოა რისკის ლიმიტები ვერ იქნას დაცული **ერთეულის** ფლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, სხვა პირობების შეუზღუდავად, თითოეული **კორპორატიული საბანკო კრედიტის** დეფოლტის ალბათობის ცვლილების გამო.

პორტფელის სტრატეგიული ალოკაცია

კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირებას საინვესტიციო ფონდი მოახდენს სინდიცირების გზით.

საინვესტიციო ფონდის პორტფელი შესაძლოა შედგებოდეს შემდეგი ინსტრუმენტებისგან:

- კორპორატიული საბანკო კრედიტები: ფონდის მიზანია ინვესტიცია განახორციელოს კორპორატიულ უზრუნველყოფილ (მათ შორის, მხოლოდ თავდებობით უზრუნველყოფილ), ფიქსირებულ და ცვალებადი პროცენტის მქონე კორპორატიულ საბანკო კრედიტებში;
- ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციები;
- ფულის ბაზრის ინსტრუმენტები:
 - აშშ სახაზინო ობლიგაციები
 - საბანკო დეპოზიტები
 - სადეპოზიტო სერთიფიკატები
 - ფულადი ბაზრის სხვა ინსტრუმენტები

საინვესტიციო ფონდის მიერ მოზიდული სახსრების განაწილების დასაშვები მაქსიმალური ზღვრები შემდეგნაირი იქნება: 100%-მდე (100%-ის ჩათვლით) - კორპორატიული საბანკო კრედიტები, 50%-მდე (50%-ის ჩათვლით) კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტები (აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები, ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციები) და საბანკო დეპოზიტები/სადეპოზიტო სერთიფიკატები/ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.

საინვესტიციო ფონდში მოსალოდნელი ფულადი შემოსავლებისა და გასავლების შედეგად, ფონდის მიერ დაგეგმილი აქტივების განაწილების პროპორციები შესაძლოა შეიცვალოს. თუმცა აქტივების მმართველი კომპანია მის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით და საჭიროების მიხედვით, მოახდენს პორტფელის რებალანსირებას, რათა დაცული იყოს პორტფელის რისკიანობის და ლიკვიდობის პროფილი.

ანექსი:

რისკის აპეტიტის ცხრილი და შესაბამისი რისკის ლიმიტების სტრუქტურა:

ცხრილი 1:

დასახელება	რისკის აპეტიტი	რისკის ლიმიტი	საზომი	დანიშნულება
მინიმუმ DSCR	1.0	1.0	DSCR	საკრედიტო რისკი
მაქსიმალური დეფოლტის ალბათობა კონკრეტული კრედიტისთვის	10%	5%	წლიური დეფოლტის ალბათობა	საკრედიტო რისკი
მაქსიმალური დეფოლტის ალბათობა საკრედიტო პორტფელისთვის	NA	5%	წლიური დეფოლტის ალბათობა	საკრედიტო რისკი
მინიმალური კონცენტრაცია Level-1 კრედიტებში	10%	20%	პორტფელის პროპორცია	კონცენტრაციის რისკი
მაქსიმალური კონცენტრაცია Level-2 კრედიტებში	70%	60%	პორტფელის პროპორცია	კონცენტრაციის რისკი
მაქსიმალური კონცენტრაცია Level-3 კრედიტებში	30%	20%	პორტფელის პროპორცია	კონცენტრაციის რისკი
მაქსიმუმი სინდიკაცია	60%	45%	მთლიან კრედიტში ფონდის პროპორცია	საკრედიტო რისკი
მაქსიმალური სექტორის კონცენტრაცია	50%	40%	პორტფელის პროპორცია	კონცენტრაციის რისკი
ჯგუფის დონეზე მაქსიმალური კონცენტრაცია	35%	25%	პორტფელის პროპორცია	კონცენტრაციის რისკი
პორტფელში შემავალი	15%	10%	პორტფელის პროპორცია	კონცენტრაციის რისკი

ორგანიზაციის ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ობლიგაციის მაქიმუმი კონცენტრაცია				
Debt/EBITDA	Debt to EBITDA ლიმიტები სექტორების მიხედვით პერიოდულად გადაიხედება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ			საკრედიტო რისკი

ფონდის სტრატეგიული მიზანი

საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის მთავარი მიზანია წინასწარ განსაზღვრული საინვესტიციო რისკის აპეტიტის შესაბამისად და დივერსიფიცირებული ინვესტიციების მეშვეობით, გამჭვირვალე და კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით **საინვესტიციო ფონდის ამონაგების მიღება ერთეულის მფლობელთა მიერ.**

საინვესტიციო საქმიანობის მთავარი მიზნის მისაღწევად, **აქტივების მმართველი კომპანიის** მიერ მართული **საინვესტიციო ფონდისთვის** დადგენილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- საინვესტიციო პროცესის დაგეგმვისას მოხდეს **საინვესტიციო ფონდის** მომგებიანობის მაქსიმიზაცია ოპტიმალური რისკის აღების მეშვეობით;
- საინვესტიციო პორტფელის მართვა მოხდეს „კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპის“ დაცვით, რაც გულისხმობს **ერთეულის მფლობელთა** აქტივების ინვესტირებას გონივრულად და სათანადო გულისხმიერებით;
- **აქტივების მმართველი კომპანია** საინვესტიციო პროცესში შეეცდება ადეკვატური ლიკვიდობის შენარჩუნებას და ფულადი ნაკადების ვალდებულებების შესრულებას;

პასუხისმგებლიანი ინვესტირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინება და, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, **აქტივების მმართველი კომპანია**, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისას მოახდენს საინვესტიციო აქტივების შერჩევას ESG ფაქტორების მიხედვით.

საინვესტიციო სტრატეგია

ფონდი მიზნად ისახავს მოზიდული ფინანსური სახსრების 100%-მდე (100%-ის ჩათვლით) ინვესტიცია განახორციელოს **კორპორატიულ საბანკო კრედიტებში (სინდიცირებისგზით)** და 50%-მდე (50%-ის ჩათვლით) - კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებში, მათ შორის, საჯარო და კერძო ფიქსირებული შემოსავლის ფასიან ქაღალდებში, საბანკო დეპოზიტებში, სადეპოზიტო სერტიფიკატებში და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში.

კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირებას **საინვესტიციო ფონდი** მოახდენს **სინდიცირების** გზით.

ფონდი ცდილობს განახორციელოს ინვესტიციების დივერსიფიკაცია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში:

- უძრავი ქონების დეველოპმენტი;
- სასტუმრო/სარესტორნო;
- ენერჯეტიკა;
- წარმოება;
- მომსახურება;
- ჯანდაცვა;
- ტელეკომუნიკაცია;
- სხვა.

ფონდი არ განახორციელებს ინვესტირებას ისეთ სექტორებში, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსა და სოციალურ ზემოქმედებასთან ან დაკავშირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მაღალ რისკებთან, როგორცაა:

- სახიფათო მასალების წარმოება;
- იარაღით ვაჭრობა;
- თამბაქოს წარმოება ან გაყიდვა;
- აზარტული თამაშები.

პორტფელის ასაგებად და სამართავად **ფონდი** გეგმავს გამოიყენოს ქვემოდან-ზევით მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია ძირითადი **კორპორატიული საბანკო კრედიტების** და ფასიანი ქაღალდების ფუნდამენტურ ანალიზზე. როგორც წესი, **ფონდის** გეოგრაფიული დაფარვა შემოიფარგლება საქართველოთი. მხოლოდ ლიკვიდური აქტივების შემთხვევაში, **ფონდმა** შეიძლება დროდადრო ინვესტირება მოახდინოს არაქართულ აქტივებში/ობიექტებში.

ფონდის ინვესტიციები განხორციელდება მხოლოდ აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში. **ფონდი** აპირებს ინვესტირებას სხვადასხვა საკრედიტო სექტორში და გეგმავს გამოიყენოს არაერთი სტრატეგია. **ფონდს** არ მოეთხოვება მუდმივად ინვესტირება თითოეულ საინვესტიციო სექტორში და მისი ინვესტიცია თითოეულ საინვესტიციო სექტორში შეიძლება განსხვავდებოდეს დროთა განმავლობაში.

დამატებით, **ფონდი** ამ ეტაპზე არ განიხილავს სესხების აღებას და, შესაბამისად, არ გააჩნია წინასწარ განსაზღვრული მაქსიმალური დასაშვები დონე.

კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირება

კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირებას საინვესტიციო ფონდი მოახდენს შესაბამის კომერციულ ბანკთან დადებული საკუთრების მინდობის შეთანხმების საფუძველზე. კერძოდ, საინვესტიციო ფონდსა და საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკს შორის დადებულია/დაიდება შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საინვესტიციო ფონდი კომერციულ ბანკს გადასცემს ფულად რესურსს (გადაცემული თანხა) ნაყოფის/სარგებლის მიღების მიზნით, მოვალის სასარგებლოდ გაცემულ/გასაცემ კორპორატიული საბანკო კრედიტში მონაწილეობის მიზნით, ხოლო კომერციული ბანკი ასეთი შეთანხმების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, იღებს და მართავს გადაცემულ თანხას როგორც მინდობილ საკუთრებას, საკუთარი სახელით და შეხედულებისამებრ, მაგრამ ფონდის რისკითა და ხარჯით (სინდიცირება).

სინდიცირების საფუძველზე კომერციული ბანკი საინვესტიციო ფონდს გაუნაწილებს გადაცემული თანხის ნაყოფს/სარგებელს, რაც შეიძლება იყოს შესაბამისი კორპორატიულ საბანკო კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ან/და შესაბამისი კორპორატიულ საბანკო კრედიტის ფარგლებში მისაღები სხვა გადასახდელი და რაზეც და რომლის ოდენობაზეც შეთანხმება მოხდება საინვესტიციო ფონდსა და კომერციულ ბანკს შორის დადებული შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

კომერციული ბანკის მიერ კორპორატიული საბანკო კრედიტის ფარგლებში ძირითადი თანხის მიღების შემთხვევაში, კომერციული ბანკი საინვესტიციო ფონდს დაუბრუნებს გადაცემულ თანხას აღნიშნული ძირითადი თანხის შესაბამისი პროპორციით და პერიოდულობით, საინვესტიციო ფონდსა და კომერციულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

კომერციული ბანკის მიერ კორპორატიული საბანკო კრედიტის ფარგლებში საპროცენტო სარგებლის ან/და შესაბამისი კორპორატიულ საბანკო კრედიტის ფარგლებში არსებული სხვა გადასახდელის მიღების შემთხვევაში, კომერციული ბანკი საინვესტიციო ფონდს გაუნაწილებს გადაცემულ თანხის ნაყოფს/სარგებელს შესაბამისი პროპორციით და პერიოდულობით, საინვესტიციო ფონდსა და კომერციულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

კორპორატიული საბანკო კრედიტის დეფოლტის შემთხვევაში, კომერციული ბანკი მოახდენს ამგვარი კრედიტიდან გამომდინარე თანხის ამოღებას და ამოღებულ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროპორციულად გაუნაწილებს საინვესტიციო ფონდს საინვესტიციო ფონდსა და კომერციულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

სინდიცირების ფარგლებში ნებისმიერი თანხის (მათ შორის, შეუზღუდავად, გადაცემული თანხის ნებისმიერი ნაწილის ან/და გადაცემული თანხის ნებისმიერი ნაყოფის/სარგებლის) შესაბამისი კომერციული ბანკის მიერ საინვესტიციო ფონდისთვის გადახდა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი თანხა (ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი ან/და სხვა გადასახდელი) ფაქტობრივად არის/იქნება მიღებული შესაბამისი კომერციული ბანკის მიერ შესაბამისი კორპორატიული საბანკო კრედიტის ფარგლებში და საინვესტიციო ფონდს არ გააჩნია რაიმე დამატებითი მოთხოვნა შესაბამისი კომერციული ბანკის ან მისი ქონების მიმართ.

სინდიცირება არ მოხდება ისეთი კორპორატიული საბანკო კრედიტების მიმართ, რომლის მოვალეც იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №26/04 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული ბანკთან დაკავშირებული პირი.

სინდიცირების საგანი არ იქნება ისეთი სესხი/საბანკო კრედიტი, რომლის მსესხებელია მხოლოდ ფიზიკური პირი. ფიზიკური პირი სესხის/საბანკო კრედიტის ფარგლებში მოვალე შესაძლებელია იყოს მხოლოდ მაშინ/იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი **კორპორატიული საბანკო კრედიტის** ფარგლებში ფიზიკური პირი არის ამ **კორპორატიული საბანკო კრედიტის** თანამსესხებელი ან/და სხვა ფორმით სოლიდარულად პასუხისმგებელი პირი.

ინვესტიციების ღირებულების შეფასება

საინვესტიციო ფონდის ღირებულება დაითვლება **საინვესტიციო ფონდის** საინვესტიციო პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მიხედვით.

კანონმდებლობის შესაბამისად, ფონდის ფინანსური ანგარიშები უნდა მომზადდეს „სამართლიანი ღირებულების“ პრინციპის დაცვით, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), აგრეთვე სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პორტფელის შეფასების პრინციპებისა და საინვესტიციო პორტფელის შემოსავლიანობასთან დაკავშირებული გლობალური სტანდარტების (GIPS) გათვალისწინებით. შესაბამისად პორტფელში შემავალი აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივების (ე.ი. პორტფელში შემავალი აქტივების) კლასიფიკაცია ხდება ფასს 9 შესაბამისად საწარმოს ბიზნეს მოდელისა და სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების (SPPI)-ის გათვალისწინებით:

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ იგი შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

თუმცა, საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული იმ ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები, რომელიც, სხვა შემთხვევაში, შეფასებული

იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, როგორც ეს განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით N9.

წმინდა აქტივების ღირებულებას (NAV) აფასებს აქტივების მმართველი კომპანიის მიერ დაქირავებული (დასაქმებული) NAV შეფასების ოფიცერი, სულ მცირე, წლის ყოველი კვარტლის ბოლო **სამუშაო დღეს**.

ერთეულის ემისია ან **ფონდის** მიერ **ინვესტორებისგან ერთეულის** გამოსყიდვა ხდება **წმინდა აქტივების ღირებულების** გათვალისწინებით.

NAV შეფასების ოფიცერის მიერ განსაზღვრული **ერთეულის** ღირებულების შესახებ **ერთეულის მფლობელებს** ინფორმაცია მიეწოდებათ შეფასების დასრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

შეფასებული **საინვესტიციო ფონდის** ღირებულება აღირიცხება **ერთეულის** რეესტრში და შესაბამისი ბროკერის საინვესტიციო ანგარიშებზე.

მიუხედავად **აქტივების მმართველი კომპანიის** მიერ მობილიზებული რესურსის, პოლიტიკა/პროცედურების, რისკის დაზღვევის მექანიზმების და შეფასებაში ჩართული სხვადასხვა მხარის ძალისხმევისა, არსებობს **ფონდის ერთეულის** არასწორად შეფასების რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული **ინვესტორების** ზარალი ან ნამეტი ამონაგები. ამ ინციდენტების სამართავად განისაზღვრება შემდეგი რისკზე რეაგირების ნაბიჯები:

1. **ერთეულის** არასწორად შეფასების აღმოჩენის მომენტში **აქტივების მმართველი კომპანიის** შესაბამისი თანამშრომლის მიერ ხდება საკითხის ესკალაცია **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭოსთან.
2. **აქტივების მმართველი კომპანია** აგროვებს ინფორმაციას **ერთეულის** შეფასების ხარვეზის სიმძიმეზე და **ერთეულის** შეფასების არასწორად დათვლის მიზეზზე.
3. **ერთეულის** შეფასების სიმძიმის დადგენა ხდება რამდენიმე ფაქტორის, მათ შორის შეცდომით გამოქვეყნებული ფასის გამოყენების ხანგრძლივობის და შესაბამისი შეცდომის შედეგად ტრანზაქციებში დაფიქსირებული ხარვეზის მოცულობის გათვალისწინებით, რის შემდეგაც ხდება **ერთეულის** ფასის გასწორება არსებული ინვესტორებისთვის და დარიცხული სარგებლის ცდომილების გასწორება შემდგომში ჩასარიცხი სარგებლის კორექტირებით.
4. თუ დაგროვილი მოცულობის ტრანზაქციები გადააჭარბებს **ფონდის** მთლიანი ღირებულების 2%-ს, **აქტივების მმართველი კომპანია** ვალდებულია შესაბამისი ხარვეზის შესახებ შეატყობინოს **ფონდის ერთეულის მფლობელებს**, რის შემდეგაც მოხდება **აქტივების მმართველი კომპანიის** სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის განსაზღვრა შესაბამისი ინციდენტის მინიმალური ზიანით აღმოსაფხვრელად, რაც უნდა მოხდეს სამართლიანობის პრინციპების დაცვით და ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებით.

ანგარიშგება

ანგარიშგების ჩარჩო

ანგარიში/ინფორმაცია	მინიმალური ინფორმაცია	პასუხისმგებელი პირი	სიხშირე და ადრესატები
საინვესტიციო რისკის ანგარიში	მიმდინარე რისკის პროფილი საინვესტიციო რისკის აპეტიტთან მიმართებით	რისკის მთავარი ოფიცერი	კვარტალში ერთხელ / სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი
საოპერაციო რისკის ანგარიში	მიმდინარე რისკის პროფილი საინვესტიციო რისკის აპეტიტთან მიმართებით	რისკის მთავარი ოფიცერი	კვარტალში ერთხელ / სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი
პორტფელის შედეგების ანგარიში		მთავარი საინვესტიციო ოფიცერი/საინვესტიციო ოფიცერი	კვარტალში ერთხელ / სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი, ფონდის ერთეულის მფლობელები
საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში	<ul style="list-style-type: none"> საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა; კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა; რისკების ფუნქციის შეფასება. 	დირექტორი	წელიწადში ერთხელ / სამეთვალყურეო საბჭო

საინვესტიციო ფონდის ამონაგების განაწილება

აქტივების მმართველი კომპანია საინვესტიციო ფონდის მიერ გენერირებულ საინვესტიციო ამონაგებს მართვის საკომისიოს გამოკლებით გაანაწილებს საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელებზე.

ფონდის მიერ ამონაგების (ასეთის არსებობს შემთხვევაში) განაწილება მოხდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, თუმცა ფონდის მიზანია ამონაგების განაწილება მოხდეს ყოველკვარტლურად. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, საინვესტიციო ფონდი, საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია ამონაგები გაანაწილოს უფრო ხშირადაც.

ამონაგების განაწილების შესახებ წინასწარ ეცნობება ერთეულის ნომინალურ მფლობელს შესაბამისი საბროკერო კომპანიის მეშვეობით. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი საბროკერო კომპანიის მეშვეობით.

საინვესტიციო ფონდის ერთეულის მიყიდვის/გამოსყიდვის უფლება

გამოსყიდვის პროგრამა

ერთეულის მფლობელი უფლებამოსილია, **სადამფუძნებლო დოკუმენტით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით, **საინვესტიციო ფონდს** ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ, მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული **ერთეულების** არაუმეტეს 10%-ის გამოსყიდვა (შემდგომში - „გამოსყიდვის პროგრამა“).

ამავდროულად, **გამოსყიდვის პროგრამის** ფარგლებში **ფონდის** მიერ ჯამურად გამოსასყიდი **ერთეულების** რაოდენობა არ იქნება გამოსყიდვის შეთავაზების გაგზავნის მომენტისთვის არსებული წმინდა აქტივების ღირებულების (NAV) 10%-ზე მეტი.

საინვესტიციო ფონდი, **ერთეულის მფლობელების** მიერ **გამოსყიდვის პროგრამით** სარგებლობის მიზნით, **ერთეულის მფლობელებს**, სულ მცირე, **სადამფუძნებლო დოკუმენტით** განსაზღვრული პერიოდულობით, გაუგზავნის გამოსყიდვის შეთავაზებას **სადამფუძნებლო დოკუმენტით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. გარდა ამისა, **ერთეულის** გამოსყიდვის შეთავაზება **აქტივების მმართველი კომპანიის** დისკრეციული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლოა დამატებით ნებისმიერ დროს შეუზღუდავად არაერთგზის და ნებისმიერ მოცულობაზე გაეგზავნოთ **ერთეულის მფლობელებს**.

თუ **ერთეულის მფლობელი** სარგებლობს **ერთეულის გამოსყიდვის პროგრამით**, მაშინ მან/ასეთი **ერთეულის** ნომინალურმა მფლობელმა ამის შესახებ უნდა აცნობოს **აქტივების მმართველ კომპანიას** **სადამფუძნებლო დოკუმენტით** გათვალისწინებულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ერთეულის მფლობელი** **გამოსყიდვის პროგრამაში** ვერ მიიღებს მონაწილეობას **გამოსყიდვის პროგრამის** ამოქმედებამდე.

მიყიდვის ოფცია (Put Option)

გარდა **გამოსყიდვის პროგრამისა**, **ერთეულის მფლობელებს** ექნებათ ასევე მიყიდვის ოფციით (Put Option; შემდგომში - „**მიყიდვის ოფცია**“) სარგებლობის შესაძლებლობა. **ერთეულის მფლობელის** მიერ **ერთეულების** შექმნიდან ნებისმიერ დროს, კვარტალში ერთხელ, შესაბამისი კვარტლის პირველი 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს, **ერთეულის მფლობელს** შეუძლია **საინვესტიციო ფონდს** მოსთხოვოს მის საკუთრებაში არსებული **ერთეულების** გამოსყიდვა, არაუმეტეს 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით.

მიყიდვის ოფციის გამოყენების მიზნით **საინვესტიციო ფონდი** ან/და **აქტივების მმართველი კომპანია** არ განახორციელებს **ერთეულის მფლობელის** ინფორმირებას აღნიშნული შესაძლებლობის თაობაზე და **ერთეულის მფლობელმა** თავად უნდა მიმართოს **ერთეულების** შესაბამის ნომინალურ მფლობელს, **მიყიდვის ოფციით** სარგებლობის სურვილის თაობაზე შეტყობინების **საინვესტიციო ფონდის** ან/და **აქტივების მმართველი კომპანიისათვის** მიწოდების მიზნით.

ერთეულის მფლობელი შესაბამის თანხებს მიიღებს **მიყიდვის ოფციით** სარგებლობის ბოლო ვადიდან 3 (სამი) თვის ვადაში. **მიყიდვის ოფციით** სარგებლობის საფასურს წარმოადგენს იმ თანხის 1%, რა

თანხაც უნდა მიიღოს შესაბამისმა ერთულის მფლობელმა მიყიდვის ოფციით სარგებლობის ფარგლებში.

ლიკვიდურობის მოთხოვნები მიყიდვის ოფციითა (Put option) და გამოსყიდვის პროგრამით სარგებლობისათვის

მიყიდვის ოფციითა და გამოსყიდვის პროგრამით სარგებლობისა და უზრუნველყოფისთვის საინვესტიციო ფონდი უზრუნველყოფს, მიყიდვის ოფციის და გამოსყიდვის პროგრამის ფარგლებში გამოსასყიდი ერთეულების ჯამური მოცულობის ტოლი ოდენობა შედგებოდეს ისეთი აქტივებისგან:

1. რომლის გაყიდვა ადვილადაა შესაძლებელი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, დაახლოებით იმ ფასად, რა ფასადაც ფონდი აფასებს ასეთ აქტივს დროის შესაბამისი მონაკვეთისთვის; ან
2. რომელთა გამომდინარე მისაღები ძირი თანხა ვადამოსული ხდება გამოსყიდვის პროგრამისა და მიყიდვის ოფციის ფარგლებში დაფიქსირებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადის გასვლამდე.

საინვესტიციო ფონდი უზრუნველყოფს ლიკვიდობის არსებობას ისე, რომ ფონდმა შეძლოს ერთეულების მფლობელების მიერ წინამდებარე ქვეთავით განსაზღვრული წესების (მათ შორის, პერიოდულობისა და მაქსიმალური მოცულობის ლიმიტების დაცვით) შესაბამისად მიყიდვის ოფციითა და გამოსყიდვის პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში, ასეთი ერთულის მფლობელების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ფონდი გეგმავს ლიკვიდობის არსებობის უზრუნველყოფას ნაღდი ფულით ან პორტფელის ინსტრუმენტების ლიკვიდაციით/გასხვისებით. იმ შემთხვევაში, თუ ფონდს ერთულის მფლობელების მიერ მიყიდვის ოფციით სარგებლობის ფარგლებში დაფიქსირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დასჭირდება, გაყიდოს მისი ის აქტივები, რომლებიც ხასიათდება უფრო მაღალი ლიკვიდურობით ან არის პორტფელში შემავალი მაღალი ხარისხის ინსტრუმენტები, სხვა ერთულის მფლობელები დაექვემდებარებიან გაზრდილ რისკს და საინვესტიციო ფონდის შესაძლო გაზრდილ დანახარჯებს.

მიყიდვის ოფციისა და გამოსყიდვის პროგრამის შეჩერების შემთხვევები

აქტივების მმართველი კომპანია უფლებამოსილია, შეაჩეროს მიყიდვის ოფციით ან/და გამოსყიდვის პროგრამით სარგებლობა/გამოყენება, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დროით, შემდეგი შემთხვევების არსებობისას:

1. წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, დროებით შეუძლებელია ფონდის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასება (15% ან მეტი), ან არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ შეფასება არ იქნება ზუსტი;
2. შეჩერება საჭიროა ფინანსურ ბაზარზე წარმოშობილი პანიკის იმპულსური გაყიდვის ან სხვა ისეთი გარემოების გამო, რომელიც აქტივების მმართველი კომპანიის მოსაზრებით, დროებითია, მალე აღმოიფხვრება;
3. მიყიდვის ოფციის ან/და გამოსყიდვის პროგრამის გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროა საინვესტიციო ფონდის აქტივების ნაწილის რეალიზაცია და აქტივების მმართველი კომპანიის მოსაზრებით, ბაზარზე არსებული გარემოებების გამო, მსგავსი რეალიზაცია არსებითად დააზარალებს ერთულის მფლობელთა ერთობლიობის ინტერესებს;
4. მიყიდვის ოფციის ან/და გამოსყიდვის პროგრამის გამოყენების პროცესმა შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ერთულის მფლობელთა ინტერესთა ერთობლიობას ან თუ შეჩერება განპირობებულია ერთეულების მფლობელების საუკეთესო ინტერესებით.

გამოსყიდვის ოფცია (Call Option)

საინვესტიციო ფონდს დროის ნებისმიერ მომენტში ისეთი ერთეულის მფლობელის მიმართ, რომელიც არ არის გათვითცნობიერებული ინვესტორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან/და აქტივების მმართველი კომპანიის პროცედურით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, აქვს გამოსყიდვის უფლება (Call Option; შემდგომში - „გამოსყიდვის ოფცია“), სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

საინვესტიციო ფონდს, საინვესტიციო საქმიანობის დაწყების თარიღიდან მესამე წელს და მესამე წლის შემდეგ მუდმივად აქვს უფლება, გამოიყენოს გამოსყიდვის ოფცია და ერთეულის მფლობელებისგან გამოისყიდოს გამოშვებული ერთეულების მაქსიმუმ 100%-მდე წლიურად (Call Option), სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

სადამფუძნებლო დოკუმენტით მინიჭებული გამოსყიდვის ოფციის (Call Option) გამოყენება აქტივების მმართველ კომპანიას შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუზღუდავად, თავისი დისკრეციის ფარგლებში.

საინვესტიციო ფონდის მიერ ერთეულების გამოსყიდვა, მათ შორის, შეუზღუდავად, გამოსყიდვის პროგრამისა და მიყიდვის ოფციის (Put Option) მოქმედება, შესაძლოა შეჩერდეს სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

გამოსყიდვის პროგრამის, ერთეულების მიყიდვის ოფციის (Put Option) და გამოსყიდვის ოფციის (Call Option) მარეგულირებელი წესები და პირობები დეტალურად განსაზღვრულია სადამფუძნებლო დოკუმენტით. წინამდებარე თავი შედგენილია საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის საფუძველზე და მასთან შესაბამისობაში. წინამდებარე თავში მოცემული პირობები ექვემდებარება ცვლილებას და შეიცვლება სადამფუძნებლო დოკუმენტის ცვლილების შემთხვევაში. სადამფუძნებლო დოკუმენტისა და მემორანდუმის პირობებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადამფუძნებლო დოკუმენტის პირობებს. შედეგად, თითოეული ინვესტორი გულდასმით უნდა გაეცნოს სადამფუძნებლო დოკუმენტს და მის პირობებს.

აქტივების მმართველი კომპანიის საკომისიო

აქტივების მმართველ კომპანიას საინვესტიციო ფონდი გადაუხდის 3 ტიპის საკომისიოს:

1. ერთეულის გამოშვების საკომისიო (Placement Fee)
2. მართვის საკომისიო (Management Fee)
3. ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიო (Performance Fee)

ერთეულის გამოშვების საკომისიო (Placement Fee)

საინვესტიციო ფონდი ერთეულის გამოშვების სანაცვლოდ აქტივების მმართველ კომპანიას გადაუხდის ერთეულის გამოშვების საკომისიოს.

ერთეულის გამოშვების საკომისიო შეადგენს ერთეულის შეძენის სანაცვლოდ ინვესტორის მიერ გადახდილი თანხის 0.3%-ს.

ერთეულის გამოშვების საკომისიო გადაიხდება ერთეულის შესაძენად ინვესტორის მიერ თანხის გადახდის მომენტში, ამ თანხიდან აღნიშნული საკომისიოს ჩამოჭრის და აქტივების მმართველი კომპანიისთვის გადახდის გზით.

ერთეულის გამოშვების საკომისიოს შესაძლოა გამოაკლდეს საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი საინვესტიციო ფონდის ხარჯები.

მართვის საკომისიო (Management Fee)

საინვესტიციო ფონდი საინვესტიციო აქტივების მართვის სანაცვლოდ აქტივების მმართველ კომპანიას გადაუხდის მართვის საკომისიოს.

მართვის საკომისიო = $A * 1.5\% - B$, სადაც

- A არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიური წმინდა აქტივების ღირებულების (NAV) ჯამი გაყოფილი საანგარიშგებო პერიოდში არსებული დღეების რაოდენობაზე;
- B არის საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი საინვესტიციო ფონდის ხარჯები.

საანგარიშგებო პერიოდი არის პერიოდი წინა მართვის საკომისიოს გადახდიდან მიმდინარე მართვის საკომისიოს გადახდის დღის ჩათვლით პერიოდი.

მართვის საკომისიო გადაიხდება ერთეულების მფლობელებზე ამონაგების განაწილების თითოეულ თარიღზე.

აქტივების მმართველი კომპანია იტოვებს უფლებამოსილებას, ნებისმიერ დროს, შესაბამისი პერიოდისთვის, მისი დისკრეციის ფარგლებში, ცალმხრივად შეცვალოს მართვის საკომისიოს გამოთვლის ფორმულა ან/და მისი მოცულობა, თუმცა იმ დათქმით, რომ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ამგვარი ცვლილების შესაბამისად მოხდება საკომისიოს ოდენობის შემცირება. აქტივების მმართველი კომპანიის აღნიშნული უფლებამოსილება გულისხმობს, რომ მართვის

საკომისიოს გამოთვლის ფორმულის ან/და მისი მოცულობის ცვლილება არ საჭიროებს ერთეულის მფლობელთა ან/და სეზ-ის თანხმობას; აქტივების მმართველი კომპანია მართვის საკომისიოს გამოთვლის ფორმულის ან/და მისი მოცულობის ცვლილების (შემცირების) შესახებ ერთეულების მფლობელებს შეატყობინებს შესაბამისი განთავსების აგენტის მეშვეობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აქტივების მმართველი კომპანიის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის შეცვლილი მართვის საკომისიოს გამოთვლის ფორმულა ან/და მისი მოცულობა გავლენას იქონიებს მხოლოდ ასეთ შესაბამის პერიოდზე (შესაბამისი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ჩამოჭრაზე) და არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ ცვლილებას.

ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიო (Performance Fee)

საინვესტიციო ფონდი ამონაგების წარმატებით გენერირების სანაცვლოდ აქტივების მმართველ კომპანიას გადაუხდის ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს დაანგარიშება მოხდება თითოეული ერთეულის ჭრილში ცალკე და ინდივიდუალურად, შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიო = ნამეტი მოგება გამრავლებული 30%-ზე, თუმცა არაუმეტეს მინიმალური ოდენობისა

ნამეტი მოგება = ფაქტობრივი მოგება - საბაზისო მოგება

ფაქტობრივი მოგება = $A+B-C$, საიდანაც:

- A - ერთეულის საბოლოო ღირებულება;
- B - გადახდილი დივიდენდი;
- C - ერთეულის საწყის ღირებულება.

საბაზისო მოგება = $D \times C$, საიდანაც:

- D - საბაზისო განაკვეთი;
- C - ერთეულის საწყისი ღირებულება.

ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს გამომანგარიშების მიზნით, ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ერთეულის საბოლოო ღირებულება - შესაბამისი კალკულაციის პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით შესაბამისი ერთეულის წმინდა ღირებულება (რაც შეადგენს ამ თარიღის მდგომარეობით წმინდა აქტივების ღირებულება (NAV) გაყოფილი ფონდის ერთეულების რაოდენობაზე), საინვესტიციო ფონდის მიერ აქტივების მმართველი კომპანიისათვის გადასახდელი ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხვამდე/გაუთვალისწინებლად.

ერთეულის საწყისი ღირებულება -

- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ერთეული არ არის გამოშვებული ბოლო კალკულაციის პერიოდში - შესაბამისი კალკულაციის პერიოდის პირველი დღის მდგომარეობით, შესაბამისი ერთეულის წმინდა ღირებულება (რაც შეადგენს ამ თარიღის მდგომარეობით წმინდა აქტივების ღირებულება (NAV) გაყოფილი ფონდის ერთეულების რაოდენობაზე);

- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი **ერთეული** გამოშვებულია შესაბამის **კალკულაციის პერიოდში** - შესაბამისი **ერთეულის** განთავსების დღის მდგომარეობით, შესაბამისი **ერთეულის** წმინდა ღირებულება (რაც შეადგენს ამ თარიღის მდგომარეობით წმინდა აქტივების ღირებულება (NAV) გაყოფილი ფონდის ერთეულების რაოდენობაზე), **საინვესტიციო ფონდის** მიერ **აქტივების მმართველი კომპანიისათვის** გადასახდელი **ამონაგების** წარმატებით გენერირების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხვამდე/გაუთვალისწინებლად.

გადახდილი დივიდენდი - შესაბამისი **კალკულაციის პერიოდის** განმავლობაში კონკრეტული **ერთეულის** ფარგლებში **საინვესტიციო ფონდის** მიერ ფაქტობრივად გადახდილი **ამონაგები**.

საბაზისო განაკვეთი - (1) შესაბამისი **კალკულაციის პერიოდის** პირველი დღის მდგომარეობით არსებულ 6-თვიან Term SOFR განაკვეთს დამატებული 5.7 (ხუთი მთელი შვიდი მეათედი)% გამრავლებული (2) **კორექტირების კოეფიციენტი**.

კალკულაციის პერიოდი -

- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი **ერთეული** არ არის გამოშვებული შესაბამისი **ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს** კალკულაციის კალენდარულ წელს - პერიოდი **ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს** კალკულაციის კალენდარული წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი **ერთეული** გამოშვებულია შესაბამისი **ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს** კალკულაციის კალენდარულ წელს - პერიოდი შესაბამისი **ერთეულის** გამოშვებიდან **ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიოს** კალკულაციის კალენდარული წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კორექტირების კოეფიციენტი - შესაბამისი **კალკულაციის პერიოდის** განმავლობაში შესაბამისი **ერთეულის** არსებობის დღეები გაყოფილი **კალკულაციის პერიოდის** დღეების რაოდენობაზე.

ერთეულის შესყიდვის ღირებულება - შესაბამისი **ერთეულის** შეძენის სანაცვლოდ **ერთეულის მფლობელის** მიერ გადახდილი თანხა.

მინიმალური ოდენობა - (**ერთეულის საბოლოო ღირებულება** + **გადახდილი დივიდენდი** - **ერთეულის შესყიდვის ღირებულება**) გამრავლებული 30%-ზე.

თითოეული **ერთეულის მფლობელი** ვალდებულია გადაიხადოს მის საკუთრებაში არსებულ შესაბამის ყველა **ერთეულზე** დარიცხული შესრულების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაუშვებელია **ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიო** იყოს 0-ზე ნაკლები.

ხარჯები

საინვესტიციო ფონდი პასუხისმგებელია აქტივების მართვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ხარჯზე, რომელიც დაფინანსდება/გამოიქვითება **აქტივების მმართველი კომპანიისთვის** გადასახდელი **ერთეულის** გამოშვებისა (Placement Fee) და მართვის (Management Fee) საკომისიოებიდან.

გადასახადები

წინამდებარე მუხლი წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული **საინვესტიციო ფონდთან** დაკავშირებული რეგულირების მოკლე და ზოგად შეჯამებას. წინამდებარე შეჯამება არ არის ამომწურავი და ატარებს მარტოოდენ საინფორმაციო ხასიათს. **ინვესტორი** წინამდებარე თავში მითითებულ ინფორმაციას არ უნდა დაეყრდნოს და აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა იყოს მიჩნეული საგადასახადო რჩევად ან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საგადასახადო შედეგების სახელმძღვანელოდ. წინამდებარე ქვეთავში მოცემული ინფორმაცია ასევე ექვემდებარება ცვლილებას **კანონმდებლობაში** შესული ცვლილებების შესაბამისად, რომელთაც, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია ჰქონდეთ რეტროაქტიული ეფექტიც.

ვინაიდან **საინვესტიციო ფონდის** მიზანია საინვესტიციო კომპანიისთვის **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, მასზე გავრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23¹ მუხლი.

საინვესტიციო ფონდის მიერ **ამონაგების/დივიდენდის** განაწილება, თუ **ამონაგების/დივიდენდის** მიმღები საქართველოს არარეზიდენტი ან ფიზიკური პირია:

- დაიბეგრება მოგების გადასახადის 5%-იანი განაკვეთით თუ საინვესტიციო ფონდი ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ საბანკო დეპოზიტებში ან/და ფინანსურ ინსტრუმენტებში, გარდა რეზიდენტი საწარმოსაგან მიღებული მოგების განაწილების შემთხვევისა. თუ საინვესტიციო ფონდის მიერ გასანაწილებელი მოგება ასევე მოიცავს რეზიდენტი საწარმოსაგან მიღებულ მოგებას, ასეთი მოგება იბეგრება 15%-ით, თუმცა არ არის ცალსახად განსაზღვრული მოგების განაწილებისას 5% და 15% დასაბეგრი მოგების გამიჯვნის / რიგითობის დადგენის წესი.
- ყველა სხვა შემთხვევაში ამონაგები იბეგრება 15%-ით.

დამატებით, საინვესტიციო კომპანიის მიერ მოგების განაწილება ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, თუკი შემოსავალი, რომლისგანაც ნაწილდება/გადაიხდება ამონაგები: (1) არ არის ქართული წყაროსაგან მომდინარე; ან (2) განეკუთვნება რეზიდენტი იურიდიული პირის შემოსავალს, რომელიც მიღებულია სავალო/კაპიტალის ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვების გზით და დაშვებულია სავაჭროდ **სებ**-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე; ან (3) განეკუთვნება კაპიტალის ნაზარდს, რომელიც მიღებულია საქართველოს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან, ან შემოსავალს, რომელიც მიღებულია ამგვარი სავალო ფასიანი ქაღალდებზე ან კომერციულ ბანკში განთავსებულ დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის სახით.

საინვესტიციო ფონდის მიერ ფიზიკური პირის ან არარეზიდენტი საწარმოსათვის გადახდილი **ამონაგები/დივიდენდი** არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა იქნას გათვალისწინებული მიმღების ერთობლივ შემოსავალში.

არარეზიდენტის (იგულისხმება ფიზიკური და იურიდიული პირი) ან ფიზიკური პირის (იგულისხმება რეზიდენტი და არარეზიდენტი) მიერ საინვესტიციო ფონდის ერთეულის მიწოდებით ან გამოსყიდვით მიღებული ნამეტი შემოსავალი იბეგრება:

- 5%-იანი განაკვეთით, თუ **საინვესტიციო ფონდი** ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ საბანკო დეპოზიტებში ან/და ფინანსურ ინსტრუმენტებში, გარდა **საინვესტიციო ფონდის** მიერ რეზიდენტი საწარმოს წილებში/აქციებში ინვესტიციის განხორციელების (წილის/აქციის ფლობის) შემთხვევისა.
- სხვა შემთხვევაში 15%-იანი განაკვეთით,

საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან გათავისუფლებულია შემოსავალი, რომელიც მიღებულია:

- საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებული და **სებ**-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული საინვესტიციო ფონდის ერთეულის რეალიზაციით
- ერთეულის რეალიზაციით ან საინვესტიციო ფონდის ერთეულის გამოსყიდვით, თუ საინვესტიციო ფონდი ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს საბანკო დაწესებულებებში განთავსებულ დეპოზიტებში, საქართველოს მთავრობის ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში ან/და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებულ და **სებ**-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებში.

განცხადებები და გარანტიები

ერთეულის მფლობელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

- მას აქვს და ერთეულის ფლობის პერიოდში ექნება სრული საშუალება და უფლება შეისყიდოს და ფლობდეს ერთეულებს და განახორციელოს ერთეულის ფლობიდან გამომდინარე/მისგან თანმდევი უფლებები;
- დეტალურად იცნობს **სადამფუძნებლო დოკუმენტს**;
- თუ ერთეულის მფლობელი წარმოადგენს კომპანიას ან სხვა რომელიმე კორპორატიულ ორგანოს, მას გააჩნია/მოპოვებული აქვს ერთეულის შეძენასთან, მიწოდებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა საჭირო თანხმობა/გადაწყვეტილება;
- ერთეულის მფლობელის მიერ ერთეულის ფლობით რაიმე ფორმით არ ირღვევა რომელიმე იურისდიქციის კანონმდებლობა, რეგულაცია, მოთხოვნა, წესი ან/და **მემორანდუმით** განსაზღვრული რომელიმე მოთხოვნა/წესი;
- ერთეულის მფლობელის მიერ სრულად დაცულია და მისი ნებისმიერი ქმედება/გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის, რეგულაციის ან/და წესის ან/და **მემორანდუმის** ნებისმიერ და ყველა მოთხოვნასთან მიმართებით;
- ერთეულის მფლობელმა მიიღო ყველა სახის კონსულტაცია (**აქტივების მმართველი კომპანიის** გარდა სხვა პირების კონსულტაციების ჩათვლით), რომელიც ჩათვალა საჭიროდ ან მისაღებად, მანამ სანამ შეიძენდა ერთეულს; და
- **მემორანდუმის** ყველა პუნქტი, მუხლი და პირობა შეესაბამება ერთეულის მფლობელის ნებას და არის სამართლიანი, გონივრული, ობიექტური და რაციონალური.

მემორანდუმის ფარგლებში ერთეულის მფლობელის მიერ გაცემული განცხადებების ან/და გარანტიების ზოგადი ბუნების და გამოყენების შეუზღუდავად, ერთეულის მფლობელის მიერ **მემორანდუმში** გაცემული თითოეული განცხადება ან/და გარანტია იქნება გამეორებული მის საკუთრებაში არსებულ ერთეულთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტრანზაქციასთან მიმართებით ან/და ყველა ერთეულის მფლობელთა საერთო კრებისთვის.

სანქციებთან დაკავშირებული პირობები

იმ შემთხვევაში, თუ: (i) **ერთეულის მფლობელზე** ვრცელდება ან/და გავრცელდება **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა, მოთხოვნა ან/და აკრძალვა, ან/და (ii) **ერთეულის მფლობელი** ან/და **ერთეულის მფლობელის მაკონტროლებელი პირი**, ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის **ერთეულის მფლობელი** ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს **ერთეულის მფლობელი**, არის ან/და მოხვდება ნებისმიერი სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და სანქცირებული პირების სიაში (მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომელიც გამოცემულია/წარმოებულია **სანქციების ორგანოს** მიერ, **საინვესტიციო ფონდისთვის** ან/და **აქტივების მმართველი კომპანიისთვის** მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, **საინვესტიციო ფონდი** ან/და **აქტივების მმართველი კომპანია** უფლებამოსილია:

- იმოქმედოს **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და
- დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას **ერთეულის მფლობელისთვის** ნებისმიერი და ყველა გადასახადის (მათ შორის, **ერთეულების** გამოსყიდვის საფასურის ან/და **ამონაგების**) გადახდაზე.

მიუხედავად ნებისმიერი სხვა ჩანაწერისა/დებულებისა, **საინვესტიციო ფონდი** ან/და **აქტივების მმართველი კომპანია** უფლებამოსილია ნებისმიერ შემთხვევაში იმოქმედოს **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება და **საინვესტიციო ფონდის** ან/და **აქტივების მმართველი კომპანიის** მოქმედება **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან/და **ერთეულის მფლობელისთვის** ნებისმიერი და ყველა გადასახადის (მათ შორის, **ერთეულების** გამოსყიდვის საფასურის ან/და **ამონაგების**) გადაუხდელობა არ ჩაითვლება **საინვესტიციო ფონდის** ან/და **აქტივების მმართველი კომპანიის** მიერ **ერთეულის მფლობელის** წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და **საინვესტიციო ფონდს** ან/და **აქტივების მმართველ კომპანიას** არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის ან/და **ერთეულის მფლობელისთვის** ნებისმიერი და ყველა გადასახადის (მათ შორის, **ერთეულების** გამოსყიდვის საფასურის ან/და **ამონაგების**) გადაუხდელობისთვის.

კონფიდენციალურობა

თუკი სხვაგვარად არ იქნა გადაწყვეტილი აქტივების მმართველი კომპანიის მიერ, ერთეულის მფლობელები ვალდებული არიან არ გამოიყენონ, გამოაქვეყნონ, გაავრცელონ ან განუცხადონ რომელიმე პირს, გარდა აქტივების მმართველი კომპანიის იმ თანამდებობის პირებისა ან თანამშრომლებისა, ვის კომპეტენციაშიც ეს შედის, ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია საინვესტიციო ფონდის საქმიანობის, ხარჯების, ფინანსური ან საკონტრაქტო გარიგებების ან სხვა შეთანხმებების, ტრანზაქციების ან საქმიანი ურთიერთობების შესახებ, რომელიც შესაძლოა მათთვის გახდეს ცნობილი. მათ უნდა მიმართონ ყველა გონივრულ ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება ან გავრცელება.

კონფიდენციალურობის ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ შეეხება იმ ინფორმაციას, რომელიც:

- შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად ითვლება საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარება გაცხადებას;
- საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა სხვა წყაროებიდან.

ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება ერთეულის მფლობელს, და რომელმაც, აქტივების მმართველი კომპანიის აზრით, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს ერთეულის მფლობელთა საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, აუცილებლად იმავე მოცულობით უნდა ეცნობოს დანარჩენ ერთეულის მფლობელებსაც.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

საინვესტიციო ფონდი და აქტივების მმართველი კომპანია საქმიანობას ახორციელებენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან სრული შესაბამისობით.

საინვესტიციო ფონდისა და აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ინვესტორთა პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის, ინვესტორისთვის მომსახურების გასაწევად, საკანონმდებლო ვალდებულებების შესასრულებლად ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით და მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ერთეულის მფლობელი თანახმაა საინვესტიციო ფონდმა ან/და აქტივების მმართველმა კომპანიამ:

- გაუზიაროს ერთეულის მფლობელების პერსონალური მონაცემები იმ მესამე პირებს (მაგ. შუამავალ კომპანიებს), რომელთა ჩართულობაც და რომელთა მიერ ამ ინფორმაციის ფლობაც აუცილებელია ერთეულის მფლობელებისთვის მომსახურების გასაწევად;
- ნებისმიერ დროს, ინვესტორის მხრიდან დამატებითი თანხმობის გარეშე, გამოითხოვონ შესაბამისი საბროკერო კომპანიისგან (რომელიც ერთეულის ნომინალური მფლობელია) ერთეულის მფლობელთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია;
- მომსახურების გაწევის ან/და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ნებისმიერ დროს, ინვესტორის დამატებითი თანხმობის გარეშე, გაუზიარონ შესაბამის საბროკერო კომპანიას, სებ-ს, სხვა სახელმწიფო ორგანოს ან/და კონკრეტულ ბროკერს ინვესტორის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია;
- საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ფარგლებში/მიზნებისთვის, მესამე პირებისგან აუდიტორული, საკონსულტაციო, საშემფასებლო, კვლევითი ან სხვა მსგავსი მომსახურების მიღების ფარგლებში/მიზნებისთვის ან/და საინვესტიციო ფონდის მიერ მესამე პირების წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების (მათ შორის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და ანგარიშგების ფარგლებში) მიზნით, ერთეულის მფლობელის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ან/და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება) მიაწოდოს ნებისმიერ მესამე პირს (მათ შორის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს, კვლევით ორგანიზაციებს ან მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა მესამე პირებს), ამასთან, ასეთი გადაცემული ინფორმაციის/ხელშეკრულების კონფიდენციალურობის დაცვას უზრუნველყოფს, შესაბამისი ინფორმაციის/ხელშეკრულების მიმღები მესამე პირი.

ერთეულის მფლობელის პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების პირობები:

- ერთეულის მფლობელის აცხადებს თანხმობას, რომ საინვესტიციო ფონდი უფლებამოსილია დაამუშაოს (მათ შორის, უფლებამოსილი პირის მეშვეობით) ერთეულის მფლობელის პერსონალური მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნებისთვის;
- ერთეულის მფლობელის აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ერთეულის მფლობელის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი. ასეთ შემთხვევაში,

საინვესტიციო ფონდი შეწყვეტს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ერთეულის მფლობელის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა და ერთეულის მფლობელი აღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებებს.

ტერმინთა განმარტებები

1. **ამონაგები** - შესაბამისი პერიოდის განმავლობაში **საინვესტიციო ფონდის** მიერ საინვესტიციო აქტივების მართვის შედეგად მიღებული საპროცენტო სარგებელი და ყველა სხვა საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაყოფილი **ერთეულების** რაოდენობაზე გამოკლებული მართვის საკომისიო და ამონაგების წარმატებით გენერირების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. **აქტივების მმართველი კომპანია** - შპს „ბი ოუ ჯი აქტივების მართვა“ (ს/ნ: 404696389), „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №167/04 ბრძანების შესაბამისად, **სეზ**-ის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც მართავს **საინვესტიციო ფონდს**.
3. **ბენჩმარკ პორტფელი** - პორტფელი, რომელიც წარმოადგენს **საინვესტიციო ფონდის** აქტივების განაწილების გრძელვადიან სტრატეგიას რისკის აპეტიტის, საინვესტიციო მიზნებისა და საინვესტიციო ჰორიზონტის გათვალისწინებით. ის გამოიყენება ფაქტობრივი საინვესტიციო პორტფელისა და **საინვესტიციო ფონდის** მიერ განხორციელებული შესაბამისი ნამატი ღირებულების მომტანი საქმიანობის ეფექტიანობისა და რისკების შეფასებისათვის.
4. **გადაცემული თანხა** - აქვს **მემორანდუმის** „კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირების“ თავით განსაზღვრული მნიშვნელობა.
5. **ერთეულის მფლობელი** - პირი, რომელსაც ეკუთვნის **ერთეული საინვესტიციო ფონდში**.
6. **ერთეულის მფლობელის მაკონტროლებელი პირი** - პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს **ერთეულის მფლობელს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში შემავალი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი სასამართლოს, არბიტრაჟის, სამთავრობო ორგანოს, მარეგულირებელი ორგანოს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, საქართველოს ეროვნული ბანკის) ან სხვა მსგავსი ორგანოს ნებისმიერი მოთხოვნა, ინსტრუქცია/მითითება, დირექტივა, ბრძანება ან გადაწყვეტილება.
8. **კორპორატიული საბანკო კრედიტი** - კომერციული ბანკს (როგორც გამსესხებელს) და მის კორპორატიულ კლიენტს (კომერციულ ბანკში დადგენილი შიდა პოლიტიკის შესაბამისად) (როგორც მსესხებელს) შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული უზრუნველყოფილი ან/და არაუზრუნველყოფილი კრედიტი, რომლიდან გამომდინარე კრედიტის დაფარვის ვალდებულებაც არ არის სუბორდინირებული კლიენტის ნებისმიერ სხვა ვალდებულებასთან.
9. **მემორანდუმი** - წინამდებარე დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია **ფონდის ერთეულების** შეთავაზების პირობები.
10. **მოვალე** - **კორპორატიული საბანკო კრედიტის** მოვალე.
11. **სადამფუძნებლო დოკუმენტი** - **საინვესტიციო ფონდის** წესდება, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
12. **საინვესტიციო საქმიანობის დაწყების თარიღი** - **საინვესტიციო ფონდის** მიერ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდის ლიცენზიის მიღების მომდევნო **სამუშაო დღე**.
13. **საინვესტიციო ფონდი/ფონდი** - სს „კორპორატიული საკრედიტო პორტფელის ფონდი“ (ს/ნ: 404724134).

14. **საინვესტიციო ფონდის ერთეული/ერთეული** - ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არის აქცია საინვესტიციო ფონდში.
15. **საინვესტიციო ფონდის ინვესტორი/ინვესტორი** - კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთეულის (ერთეულების) არსებული ან პოტენციური მფლობელი, ფიზიკური ან იურიდიული პირი ან იურიდიული სტატუსის არ მქონე წარმონაქმნი.
16. **სამუშაო დღე** - კალენდარული დღე, გარდა შაბათის, კვირის და კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღისა.
17. **სანქციების ორგანო** - გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისი (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ (OFSI)), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახური (OFAC) ან/და ევროპის კავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო (UNSC) ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრე.
18. **საქართველოს ბანკი** - სს „საქართველოს ბანკი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი კომერციული ბანკი, ს/ნ: 204378869).
19. **საქართველოს ბანკის ჯგუფი** - საქართველოს ბანკი და მისი კონსოლიდირებული შვილობილები ერთად.
20. **სებ** - საქართველოს ეროვნული ბანკი.
21. **წმინდა აქტივების ღირებულება (NAV)** - შესაბამისი დღის მდგომარეობით, საინვესტიციო ფონდის აქტივების ჯამური ღირებულება შემცირებული ნებისმიერი და ყველა დარიცხული (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი) ვალდებულებით.
22. **სინდიცირებული კრედიტი** - ის კორპორატიული საბანკო კრედიტი, რომელთან მიმართებითაც განხორციელდა სინდიცირება.
23. **სინდიცირება** - აქვს მემორანდუმის „კორპორატიულ საბანკო კრედიტებში ინვესტირების“ თავით განსაზღვრული მნიშვნელობა.